4) 844/4 N13-823
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

IX (105)

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №223 (2923) სამშაბათი, 1 სექტემბერი, 1998 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისს გარეთ – 45 თეთრი.

„საქართველო გულწრფელად ისწრაფვის ევროპისაკენ, რათა საბოლოოდ შეუერთდეს მას ზნეობრივ და პოლიტიკურ ღირებულებათა საერთო სისტემის საფუძველზე“

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 31 აგვისტოს რადიოინტერვიუ

— ხვალ პირველი სექტემბერია, რას ეტყოდით პატარებს, ახალგაზრდებს, რომლებიც მოუთმენლად ელიან პირველ ზარს? — ჟურნალისტ ნატო ონიანის ამ შეკითხვაზე პასუხით დაიწყო საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თავისი ტრადიციული ორშაბათის რადიოინტერვიუ (პრეზიდენტის მილოცვა ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ცალკე იბეჭდება).

იხ. მე-2 გვ.

პარლამენტის თავმჯდომარე

ევროსაბჭოს წესდებასთან სრულ ჰარმონიაში

30 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია შეხვდა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს დანიელ ტარშისს და ევროპის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის, საბერძნეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს იანოს კრანიდიოტისს.

პარლამენტის თავმჯდომარესთან ევროსაბჭოს წარმომადგენელთა საუბრის ძირითადი თემა ევროპის საბჭოში საქართველოს გაწევრიანება იყო. განსაკუთრებული ყურადღება აფხაზეთის პრობლემებზე გამახვილდა.

დავით ხიზანიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

1 სექტემბერი ცოდნის დღეა

ამ დღის ნათელით...

ნათელი დღე უთენდება საქართველოს, პირველი სექტემბერი, — დღე, რომელიც ტრადიციულად სასიამოვნო ფორიაქით ავსებს ჩვენს სულს.

აქ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თავად მიდიხარ სასწავლებელში, შვილსა და შვილიშვილს აცილებ თუ სხვებს ულოცავ ამ მშვენიერ გზას.

ეს დღე ყველას ავსებს ერთობლივი სიხარულით, ერთობლივი საზრუნავით და ერთობლივი იმედით, აერთიანებს ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს, ქართველსა თუ აფხაზს, სომეხსა თუ ოსს, აზერბაიჯანელსა თუ რუსს.

მე, როგორც საქართველოს პრეზიდენტი, ყველას მივესალმები — მასწავლებლებსაც და მშობლებსაც, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, სიყვარულითა და იმედით მივესალმები და მივეფერები იმ თვალანთებულ მოსწავლეებს, რომელნიც ჩვენი ქვეყნის მომავალს განასახიერებენ.

კეთილი ყოფილიყოს მათი ფეხი ცოდნის ტაძარში. განსაკუთრებული სიყვარულით, ნდობითა და სითბოთი მივმართავ ჩვენს სახელოვან სტუდენტობას; მოდის უნიჭიერესი თაობა, რომელმაც უკვე დაადასტურა, რომ ერთგულია დიდ წინაპართა ანდერძისა — სწავლით, შრომით, დაუოკებელი ძიების წყურვილით ასახელოს დედასამშობლო. გულითადი მადლობა პროფესორ-მასწავლებლობას, საქართველოს მეცნიერებს, რომლებსაც თავიანთ უპირველეს მოვალეობად ახალ თაობათა აღზრდა-განათლება, დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის მომზადება მიაჩნიათ.

სამწუხაროდ, დიდი ტკივილიც ახლავს ამ დღეს, ბევრი მოსწავლე და სტუდენტი თავის საკუთარ სკოლაში, სასწავლებელში ვერ შეაბიჯებს, ვერც თავის ეზო-კარში შეხვდება პირველ სექტემბერს.

ეს ჩვენი გაუსაძლისი ტკივილია, მეოცე საუკუნისათვის შეუფერებელი არაადამიანობაა, და სიმახინჯე. მე, რა თქმა უნდა, იმედი მაქვს, რომ მესამე ათასწლეულის დადგომამდე კაცობრიობა ჩამოირეცხავს ამ სირცხვილს და მსგავსი ძალადობა ყველგან შესაბამისად აღიკვეთება.

ყველა ბავშვს უნდა ავუსრულოთ წმინდა ოცნება, იცხოვროს თავის სახლში, ისწავლოს თავის სკოლაში, დედაენაზე, არ შიოდეს, არ სწყუროდეს, არ ეშინოდეს.

ჩვენ ვესწრაფით ასეთი ქვეყნის აშენებას და თუმცა, როგორც თავისუფალი საქართველოს მშენებლები, ჯერ კიდევ დაწყებით კლასებში ვართ, მაინც ბევრი რამ უკვე გავაკეთეთ, რაც უკეთესი მომავლის იმედს გვისახავს.

პირველ სექტემბერს თბილისში, ვამლიჯვარში, ახალი სკოლის შენობა იხსნება. თითქოს რა არის ამაში საგანგებო, მაგრამ იგია სკოლის პირველი შენობა, რომელიც თავისუფალ საქართველოში ჩვენივე სახსრებით აშენდა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ უკვე დავიწყეთ ჩვენი სკოლების, ჩვენი ბაგა-ბაღების, ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების მატერიალური ბაზის პატრონობა. აქ ხომ უამრავი რამ გასაკეთებელია, ასაშენებელია და შესაკეთებელი.

ახალ წელს ბევრი ბავშვი ახალი სახელმძღვანელოთი შეხვდება, მაგრამ აქაც უამრავი საზრუნავია, მე იმედი მაქვს, რომ განათლების სამინისტრო ახალი მინისტრით დროულად გააკეთებენ იმას, რაც უნდა გააკეთონ. ბოლოს და ბოლოს, განათლების რეფორმა, განათლების განახლება, უპირველეს ყოვლისა ხომ სახელმძღვანელოების პრინციპულ განახლებას ნიშნავს. ისევე, როგორც —განსაკუთრებულ ზრუნვას მასწავლებელზე, რომელსაც იგი ნამდვილად იმსახურებს, მასწავლებელზე, რასაც ძნელი ცხოვრების მიუხედავად, ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი საქმისა, სკოლისა და მოსწავლისა.

ჩვენ ქედს ვიხრით ჩვენი მასწავლებლების წინაშე. დღეს მათ კიდევ ერთხელ მინდა ვუთხრა დიდი მადლობა გმირული ღვაწლისა და უსაზღვრო ჭირთათმენისათვის.

მასწავლებელი ნებისმიერ ცივილიზებულ საზოგადოებაში ცენტრალური, ხელისგულზე სატარებელი მოღვაწეა. მას უდიდესი ეროვნული სახელმწიფოებრივი მისია ეკისრება აღზარდოს მოქალაქე, ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტი, ჩაუნერგოს მას კეთილისა და ბოროტის გარჩევის უნარი, განუმტკიცოს რწმენა უმაღლესი საკაცობრიო და ეროვნული იდეალებისა: ერთგულება დამოუკიდებელი ქვეყნისა, მეგნება ჭეშმარიტი მოქალაქისა. ბევრს ჯერ კიდევ არა აქვს გაცნობიერებული, რას ნიშნავს დამოუკიდებელი სახელმწიფო. ალბათ იმიტომ, რომ ჩვენ სხვა საქართველოში დავიბადეთ, გავიზარდეთ და ვმოღვაწეობდით, თუმცა ხშირად ერთგულად და პატიოსნად.

ის პატარები კი, ვინც პირველ სექტემბერს პირველად შეაბიჯებენ სკოლაში, დამოუკიდებელ საქართველოში დაიბადნენ. თავისუფლება მათთვის ჩვეულებრივი, ჰაერივით ბუნებრივი მოვლენა იქნება. მით უფრო მეტია მთელი საზოგადოების, მასწავლებლის, ხელისუფლების პასუხისმგებლობა, რათა ეს უმანკო, წმინდა რწმენა და ოცნება არ გაუცრუვდეთ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს, რომელთა წილხვედრია 21-ე საუკუნის საქართველო.

დაბოლოს, ეს დღე, პირველი სექტემბერი, კვლავ მინდა ყველას მოგილოცოთ.

ამ დღის ბრწყინვალებით განათებულიყოს თქვენი ცხოვრების ყოველი დღე.

ედუარდ შევარდნაძე.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1998 წლის 31 აგვისტო ქ. თბილისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი მუშაობისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები:

ირინე გოცირიძე — აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი; **ლია დევდარიანი** — უფროსი იურისკონსულტი; **თამაზ დვალი** — ასპირანტურის განყოფილების გამგე; **მერაბ ვაჩნაძე** — ისტორიის ფაკულტეტის დეკანი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი; **ლაზარე ზამბახიძე** — მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ნოდარ კაკაბაძე** — საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **დავით კაციტაძე** — აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი; **ვახტანგ კვარაცხელია** — ზუგდიდის ფილიალის დირექტორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი; **თეიმურაზ კოპალეიშვილი** — მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის თეორიული განყოფილების გამგე, ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის კათედრის პროფესორი, ნ. მუსხელიშვილის და პ. მელიქიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი; **ჯანსუღ კორძაია** — ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი; **რევაზ კორძაძე** — გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგე, პროფესორი; **გურამ ლორთქიფანიძე** — ისტორიის ფაკულტეტის კულტურის ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი; **ნინო მახარაძე** — ჟურნალისტიკის ისტორიის კათედრის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; **პარმენ მარგველაშვილი** — პრორექტორი არასაბიუჯეტო საგანმანათლებლო საქმიანობისა და პერსპექტიული დაგეგმვის დარგში, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი; **ჯემალ მებონია** — ფიზიკის ფაკულტეტის დეკანი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ჰამლეტ მელაძე** — გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **როინ მეტრეველი** — რექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; **ელგუჯა მექვაბიშვილი** — ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ოთარ მიმინოშვილი** — ეთნოგრაფიის კათედრის დოცენტი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი; **ტარიელ მურუსიძე** — მთავარი ინჟინერი.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1998 წლის 26 აგვისტო ქ. თბილისი

გ. ნანაზაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ომის ვეტერანთა მოძრაობის განვითარების, ქართველი და ებრაელი ხალხების ურთიერთობის განმტკიცებისათვის გაწეული პირადი წვლილის, აგრეთვე ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი **გაბრიელ ნანაზაშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

მინისტრი

ალეკო კარტოზია: პირადი ინიციატივა ახლა ძალიან ძვირად ფასობს

განათლების ახალ მინისტრს პირველი ინტერვიუ ცოდნის დღის წინ მის სამუშაო ოთახში ჩამოვართვი. მისალმების შემდეგ ვკითხე: როგორ ფიქრობთ, ბედის მინიშნება ხომ არ უნდა იყოს, რომ ჯერ დანგრევის და დაქცევის პირას მისულ საჯარო ბიბლიოთეკაში გაგამწესეს, ახლა კი ამ ნახანძრალ და იავარქმნილ სამინისტრომი-მეთქი?

ვფიქრობ, ეს ჩემი ბედისწერაა, — მიპასუხა მან და გულიანად გაიცინა. და მაშინვე გაქრა ის დაძაბულობა თუ უხერხულობა, უცნობ ადამიანთან პირველი შეხვედრისას რომ გეუფლება.

თუმცა მთლად უცნობი ბატონ ალეკოს არ ეთქმოდა. მართალია, პირისპირ არ შევხვედრივარ, მაგრამ ამ ათიოდე წლის განმავლობაში მისი სახელი როგორც თვალსაჩინო გერმანისტისა, ხშირად მესმოდა: ვიცოდი, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობდა გერმანული ფილოლოგიის კათედრაზე ჯერ დოცენტად, შემდეგ კათედრის გამგედ. ამ კათედრასთან ჩამოაყალიბა ინტერკულტურულ კვლევათა ლაბორატორია. რამდენიმე წლის წინათ გერმანიიდან აცნობეს, რომ ჰუმბოლდტის სახელობის სტიპენდია მიანიჭეს.



იხ. მე-4 გვ.

ტერორი!

კონკრეტულ დამნაშავემდე მისასვლელი გზა თანდათან მოკლდება

გუშინ ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა ზუგდიდში მომხდარ დივერსიულ აქტთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე შექმნილი საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელს, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილეს მალხაზ სალაყაიას. მან გვაცნობა: — მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს წამოყენებულ ვერსიებზე მუშაობა, რომელთაგან ყველა აქტიურია.

იხ. მე-3 გვ.

სახელდახელოდ!

შავი ორშაბათი გათენდა: რუსეთში კრიზისი მწვავდება

წუხელ რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ დოკუმენტურად (ფაქტობრივად) დაადასტურა გუშინდელი სხდომის განმავლობაში დომინირებული მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურისადმი.

ვიქტორ ჩერნომირდინმა მიიღო 94 ხმა, მისი დამტკიცებისთვის კი საჭირო იყო 253 ხმა. წინააღმდეგი იყო 224 დეპუტატი. თავი არავის შეუკავებია.

სხვას გული გაუტყდებოდა, ან თავმოყვარეობა შელახული დატოვებდა სხდომის დარბაზს.

იხ. მე-3 გვ.

ინფორმაცია

კიდევ ერთი სერიოზული იმპულსი

30 აგვისტოს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი შეხვდა ევროპის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის, საბერძნეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს იანოს კრანიდიოტისს და ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს დანიელ ტარშისს.

სტუმრებმა ინტერესით მოისმინეს ინფორმაცია საქართველოში არსებული ვითარების შესახებ.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ქვეყნის წინსვლას არსებითად აფერხებს რეგიონული კონფლიქტები. მათი მოწესრიგების საქმეში ევროპულ სტრუქტურებს გაეროსთან ერთად მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ. ამის კარგი მაგალითია სერიოზული პროგრესი, რომელიც ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებაში საქართველოში ეუთოს მისიის აქტიური ძალისხმევითაა მიღწეული.

ჰუმანიტარული დახმარება მიეწოდებათ

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო გვაუწყებს, რომ საფრანგეთის მთავრობის დახმარებით გამოყოფილი 1,3 მლნ. ლარიდან ზუგდიდში პირველ ეტაპზე 59,4 ათასი ლარის პროდუქცია გაიგზავნა. კერძოდ, 20 ტონა შაქრის ფხვნილი, 150 ტონა კარტოფილი, 2500 ტონა შესქელებული რძე. მეორე ეტაპზე ზუგდიდში გაიგზავნება 10 ტონა ბურღული და 10 ტონა მაკარონის ნაწარმი. უახლოეს დღეებში ლტოლვილებს მიეწოდება 25 ტონა მცენარეული ზეთი.

მეჩაიეებმა არნახული მოსავალი მიიღეს

30 აგვისტოსათვის მოკრეფილია და გადასამუშავებლად ჩაბარებულია 38,2 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, რაც შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელს 14 ათასი ტონით სჭარბობს. აქედან, სამეგრელოს რეგიონში მოკრეფილია 17,6 ათასი ტონა, იმერეთის რეგიონში – 3.9 ათასი ტონა, გურიაში – 13,2 ათასი ტონა.

ს/ს „ქართული ჩაის“ მიერ მოკრეფილია 8.000 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც პროგნოზით გათვალისწინებულის 69 პროცენტს შეადგენს. ფოთლის კრეფა გრძელდება.

ივსება ქვეყნის ბეღელი

30 აგვისტოსათვის საქართველოში აღებულია თავთავიანი მარცვლოვანი კულტურების მოსავალი 150 ათას ჰექტარზე და მიღებულია 177 ათასი ტონა მარცვალი, ანუ საშუალოდ ერთი ჰექტარიდან 11,8 ცენტნერი. თავთავიანი მარცვლოვანი კულტურების აღება გრძელდება წალკის, თიანეთის, ჯავახეთის და დმანისის რაიონებში. მიმდინარეობს საშემოდგომო თავთავიანი კულტურების მარცვლის დასათესად ნიადაგის მოსამზადებელი სამუშაოები.

დღიური შემოსავლები გაორმაგდა

საგადასახადო ინსპექციის შეფასებით, განვლილ კვირაში ინსპექციის მიერ ბიუჯეტში აკრეფილი საშუალო დღიური შემოსავლები წინა პერიოდთან შედარებით ფაქტობრივად, გაორმაგდა და 2 მლნ. ლარს მიაღწია. 27 აგვისტოს მდგომარეობით, ინსპექციის მიერ ბიუჯეტში აკრეფილია 18,2 მლნ. ლარი, ხოლო წლის დასაწყისიდან 197 მლნ. ლარი, რაც 11,9 პროცენტით აღემატება შარშანდელ შესაბამის პერიოდში მიღწეულ დონეს. საგადასახადო ინსპექცია მაქსიმალურადაა მობილიზებული, რათა თვის დარჩენილ დღეებში უდანაკარგოდ მიიღოს კუთვნილი შემოსავლები.

შეიქმნა საიუბილეო ჰიმნის მუსიკა

კომპოზიტორმა ჯემალ სეფიაშვილმა რევაზ ამაშუკელის ლექსზე დაწერა ჰიმნის მუსიკა, რომელიც ქართველ და ებრაელ ხალხთა მეგობრობის 26-საუკუნოვან იუბილეს ეძღვნება.

ჰიმნს, სახელწოდებით „ლეხაიმ“, ქართველი ესტრადის ვარსკვლავები შეასრულებენ.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, იბერიამ და პრაიმ-ნიუსმა.

სულიერება

პრეზიდენტის გადარჩენით ღმერთმა ყველას დაანახა, რომ საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა არ შეიძლება



დავით გარეჯი. ბესარიონ უნზიაძის ფოტო.

ისეთი სიჩუმე იდგა გარეჯის უდაბნოს უსასრულობაში, თითქოს არ არსებობდა, ისეთი სიცხე, თითქოს იგი არისო ყოფიერების აზრი. სხვა არაფერი...

29 აგვისტოს, ამ შაბათს ავტომანქანების ქარავანი გარეჯის ლავრისკენ მიმავალ მოასფალტებულ (შემორჩენილ!) გზაზე უფრო არარეალური იყო, ვიდრე თავად ირეალობა.

მთვარის პეიზაჟი ამობრუნებული ქანების პასტელურ ფერთა გამის უფერულობით. ადგილნი ხორშაკნი და უდაბურნი და — დიდებულება გარეჯის ლავრის.

იხ. მე-3 გვ.

ენერგეტიკა

7100 ლარი „თბილსრესის“ ანგარიშზე ჩაირიცხა

ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტის ოპერატიული სარეიდო ჯგუფების მიერ გასული კვირის მანძილზე ჩატარებულმა შემოწმებებმა კვლავ მრავალი დარღვევის ფაქტი გამოავლინა.

შემოწმებული 25 ობიექტიდან 19 სხვადასხვა სახის დარღვევების ფაქტზე იქნა მხილებული.

შემოწმებული ობიექტებიდან 5-ს 11515 ლარის დავალიანება აღმოაჩნდა. 16 ობიექტს ვალის – 3849 ლარის დაფარვამდე შეუწყდა დენის მიწოდება. გაფრთხილების სახით გარკვეული დრო მიეცა 3 ობიექტს, რომლებსაც ენერგეტიკოსების ვალი – 10835 ლარი აღმოაჩნდათ

დეპარტამენტის მიერ მიღებული ზომების შედეგად მევალეების მიერ „თბილსრესის“ ანგარიშზე ჩარიცხულია 7100 ლარი, 2700 ლარი კი უშუალოდ შემოწმების დროს ადგილზე იქნა ამოღებული.

უკანასკნელ საათს

ამშ პრეზიდენტის ბილ კლინტონის მოსკოვში ვიზიტის წინ, რომელიც დღეს დაიწყება მოსკოვში, ბილ კლინტონმა და ტონი ბლერმა გუშინ განაცხადეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი ყოველმხრივ მხარს დაუჭერენ რუსეთს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქ დემოკრატიულ და ეკონომიკურ რეფორმებს განავითარებენ.

გუშინ კი ამშ სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი ოფიციალურ ვიზიტით მოსკოვს ეწვია.

საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი ხვალ ოფიციალური ორდღიანი ვიზიტით უკრაინის დედაქალაქში ჩავა.

ჩრდილოეთ კორეამ გუშინ ბალისტიკური რაკეტა გაუშვა, რომელმაც გადაუფრინა იაპონიას და ვლადივოსტოკიდან 300 კილომეტრის მანძილზე ოკეანეში ჩავარდა.

მიაჩნიათ, რომ ეს იყო დემონსტრაცია ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ ბილ კლინტონის მოსკოვში ვიზიტის წინ.

გუშინ ევროპაში უელსის პრინცესა დაიანას ხსოვნის დღე აღინიშნა.

ლარის კურსი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1998 წლის 28 აგვისტოდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

გირვანქა სტერლინგი	1	2. 2181 ლარი
გერმანული მარკა	1	0.7478 ლარი
აშშ დოლარი	1	1.3500 ლარი
ფრანგული ფრანკი	1	0.2231 ლარი
თურქული ლირა	10,000	0.0484 ლარი
რუსული რუბლი	1	0.1216 ლარი

დღეს

ამინდი



დასავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა.
დაბლობში: ღამით +17+22; დღისით +26+31.
მთაში: ღამით +14+19; დღისით +23+28.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა.
ბარში: ღამით +19+24; დღისით +30+35.
მთაში: ღამით +13+18; დღისით +26+31.

თბილისში ცვალებადი მოღრუბლულობა.
ღამით +22+24; დღისით +33+35.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

ორშაბათს ცის მნათობზე მოხდა ძლიერი აფეთქება, რომელმაც ოთხშაბათს ღამით ქარიშხალი გამოიწვია. მზის აქტიურობის მეორე პიკი დაემთხვა პარასკევსა და შაბათს, მაგრამ მზე კვლავ ბორგავს და, შესაძლოა, გეომაგნიტური ჩქეფები კიდევ რამდენიმე დღეს გაგრძელდეს.

მაგნიტური ქარიშხლების დროს მწვავდება ყველა დაავადება, მათ შორის ფსიქიკური.

საქართველოს რესპუბლიკა
№223. სამშაბათი, 1 სექტემბერი, 1998 წელი.

„საქართველო გულწრფელად ისწრაფვის ევროპისაკენ, რათა საბოლოოდ შეუერთდეს მას ზნეობრივ და პოლიტიკურ ღირებულებათა საერთო სისტემის საფუძველზე"

(პირველი გვერდიდან)

— გასულ კვირას რამდენიმე საინტერესო შეხვედრა გქონდათ ევროსაბჭოს გენერალურ მდივანთან დანიელ ტარშისთან, ესაუბრეთ, აგრეთვე, ამერიკის ელჩს გაეროში ნენსი სოდერბერგს, ცნობილ ამერიკელ სენატორს ლუგარს, აკადემიკოს როალდ საგდეევს. ალბათ, ყველა ამ შეხვედრის საერთო მნიშვნელი იყო ძალისხმევის გააქტიურება მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში საქართველოს ინტეგრირებისათვის. თქვენი აზრით, რამდენად იქნება წარმატებული ეს ძალისხმევა, შევძლებთ თუ არა უახლოეს მომავალში ევროსაბჭოში გაწევრიანებას, შემდგომი თანამშრომლობის გაძლიერებას ევროპულ და ამერიკულ ეკონომიკურ სტრუქტურებთან, რამდენად იძლევა საამისო საფუძველს ეკონომიკურ რეფორმათა მიმდინარეობა და მათი პერსპექტივა?

— დავიწყებ სენატორ ლუგართან შეხვედრით, რომლის დროსაც ყურადღება გავამახვილეთ ორმხრივ და მრავალმხრივ კავშირურთიერთობათა განმტკიცების ეკონომიკურ ასპექტებზეც. ამერიკის სენატმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა წელს საქართველოსათვის 100 მილიონამდე დოლარი დახმარების გამოყოფის საკითხის დადებითად გადაწყვეტაში. ამ ქვეყნის ხელისუფლება ყოველმხრივ უჭერს მხარს სხვადასხვა ორგანიზაციათა თანამშრომლობას საქართველოსთან. მათ შორის არიან ამერიკის ვაჭრობის განვითარების სააგენტო, „ექსიმბანკი", „ოპიკი" და სხვა. მათთან ურთიერთობას არსებითი მნიშვნელობა აქვს რეფორმათა პროცესის დაჩქარებისა და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნის თვალსაზრისით. დარწმუნებული ვარ, ამერიკელი სენატორები, მათ შორის ბატონი ლუგარი, მომავალშიც გაგვიწევენ დახმარებას.

საქართველოში სტაბილურობა უკვე არა მარტო ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეა, არამედ სხვა სახელმწიფოთა, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ინტერესების შემადგენელი ნაწილიც არის.

ევრაზიის დერეფნის რეალიზაციის ხელშემწყობი კოსმოსური ტელეკომუნიკაციების სისტემის დანერგვის კონკრეტული პროექტი წარმოადგინა კოსმოსურ ტექნოლოგიათა მსოფლიო რანგის სპეციალისტმა, აკადემიკოსმა როალდ საგდეევმა. ევრაზიის დერეფნის მძლავრი სატრანსპორტო ნაკადების მართვა — რეგულირება შეუძლებელია შესაბამისი უმაღლესი დონის ევრაზიის საკომუნიკაციო დერეფნის გარეშე. ამას კი სატელიტური, ტელესატელეფონო და ელექტრონული ფოსტის სისტემების დანერგვა უზრუნველყოფს. შემოთავაზებული სისტემა მოემსახურება აბრეშუმის გზის ქვეყნებს — უკრაინას, აზერბაიჯანს, ყაზახეთს, უზბეკეთს, საქართველოს.

უაღრესად საინტერესო იყო შეხვედრა ევროსაბჭოს გენერალურ მდივანთან ბატონ დანიელ ტარშისთან, რომელსაც ახლდა საბერძნეთის საკმაოდ მაღალი რანგის დელეგაცია. საუბრის ძირითადი თემა, რა თქმა უნდა, ევროსაბჭოში საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივა გახდა. მოხარული ვარ, რომ სტუმრებმა თავად აღნიშნეს: საქართველოს გარეშე ევროპული ოჯახი, ევროპული გაერთიანება არასრული იქნება, ვინაიდან საქართველო კულტურულად ცივილიზაციური თვალსაზრისით ოდითგანვე ევროპის განუყოფელი ნაწილიაო. ევროსაბჭოს დელეგაციამ აღნიშნა, რომ ბოლო დროს შესანიშნავი პროგრესია მიღწეული დემოკრატიული გარდაქნის რამდენიმე მიმართულებით. ჩემი მხრივ, დავძინე: შესაძლოა, ზოგირამ ვერ მოესწრო ამ თვალსაზრისით საქართველოში, მაგრამ ევროპის საბჭოში გაწევრიანება თავისთავად უდიდესი სტიმული იქნება წინსვლის კიდევ უფრო დასაჩქარებლად. მით უმეტეს, რომ ევროსაბჭოს ექსპერტებსა და თავად გენერალურ მდივანს იოტისოდენადაც არ ეპარებათ ეჭვი, რომ საქართველო გულწრფელად ისწრაფვის ევროპისაკენ, რათა საბოლოოდ შეუერთდეს მას ზნეობრივ და პოლიტიკურ ღირებულებათა საერთო სისტემის საფუძველზე.

შეხვედრისას მე გულწრფელად ვთქვი, რომ ევროპის საბჭომ გალში მაისის მოვლენების შემდეგ გავრცელებულ განცხადებაში შენიშნა ის, რაც მხედველობიდან გამორჩათ გაეროს უშიშროების საბჭოში. კერძოდ, საქართველომ ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედება, დიდი სისხლისღვრა, თუმცა ეს ძალიან ძნელი იყო. იმავდროულად, რა თქმა უნდა, არავინ აკნინებს და ვერც დააკნინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მნიშვნელობას, მის მომავალ პოზიტიურ როლს აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებაში. ქალბატონ სოდერბერგთან შეხვედრისას საგანგებოდ აღვნიშნეთ, რომ გაეროსა და უშიშროების საბჭოს წარმატებული საქმიანობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ექნება სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების, სხვა დიდი სახელმწიფოების აქტიურ პოზიციას. საყოველთაოდ ცნობილია: გაერო უმალვე გადაიქცევა ხოლმე უაღრესად ეფექტიან და წარმატებულ ორგანიზაციად, როგორც კი უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები თანხმობით მოქმედებენ, აქტიურ პოზიციას იკავებენ, ძალისხმევას აერთიანებენ რომელიმე პრობლემის გადასაჭრელად. ამერიკის სიტყვას კი ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული წონა აქვს.

მაგრამ ვერანაირი გარეშე დახმარება და მხარდაჭერა ვერ გვიშველის, თუ შინაგანად არ ვიქნებით მოწესრიგებული და თავად არ გადავწყვეტთ ძირეულ პრობლემებს. ამიტომ ნურავინ გაიკვირებს, რომ, ზემოთქმულის შემდეგ, მიზანშეწონილად მიმაჩნია რამდენიმე სიტყვა ვთქვა ეკონომიკურ პრობლემატიკაზე. საგადასახადო ინსპექციის ოპერატიული მონაცემებით, 26 აგვისტოსათვის მის მიერ აკრეფილია 18 მილიონ 200 ათასი ლარი, ხოლო წლის დამდეგიდან — 197 მილიონ 100 ათასი ლარი საბიუჯეტო შემოსავალი. ეს დონე, მართალია, 20 მილიონ 800 ათასი ლარით, ანუ 12 პროცენტით აღემატება შარშანდელს, მაგრამ ბიუჯეტის კუთვნილი სახსრების სრულად აკრეფისათვის აშკარად არ არის საკმარისი.

საბაჟო დეპარტამენტის სისტემიდან 28 აგვისტოსათვის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხულია 16 მილიონ 100 ათასი ლარი, აქედან, ცენტრალურ ბიუჯეტში — 9 მილიონ 700 ათასი ლარი. წლის დასაწყისიდან საბაჟოს მიერ ბიუჯეტში ჩარიცხული შემოსავალი 136 მილიონ ლარს შეადგენს. ეს შარშანდელ შესაბამის მაჩვენებელზე 21 პროცენტით მეტია. მიღწეული ტემპი აქაც დაჩქარებას მოითხოვს.

სამწუხაროდ, ცალკეულ რეგიონებში კვლავ სერიოზული შეფერხებებით მიმდინარეობს ხელფასების, პენსიების, დახმარების გაცემა, რაც, უწინარესად, ისევ და ისევ საგადასახადო სფეროში, მთლიანად საფინანსო სისტემაში არსებული ჩავარდნებით აიხსნება. დადგა დრო გულწრფელად ითქვას, რაოდენ უსიამოვნო მოსასმენიც უნდა იყოს: საქართველოში ძალიან დაბალია საგადამხდელო კულტურა — ელექტროენერგიის გადასახადით დაწყებული და საშემოსავლო და მოგებიდან გადასახადით დამთავრებული. სანამ ეს პრობლემა იარსებებს, რაოდენ „გენიალური" საგადასახადო კოდექსიც უნდა შევიმუშავოთ, იგი უსარგებლო იქნება. გადაუჭარბებლად ვიტყვი: ათიათასობით ადამიანი, მეწარმე, ბიზნესმენი უმალავს შემოსავალს სახელმწიფოს და არ შეაქვს ბიუჯეტში შესაბამისი თანხები. რა გასაკვირია, თუ სერიოზულ პრობლემებს ვაწყდებით ბიუჯეტის შევსებისას. შესაბამისად, პენსიების, ხელფასების, შემწეობათა დარიგებაც უჭირს სახელმწიფოს. ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფოს აქვს მხოლოდ ის, რასაც ჩვენ ყველანი ვაძლევთ, — არც მეტი, არც ნაკლები.

თუმცა, ამ მდგომარეობას, რა თქმა უნდა, ვერ შევურიგდებით და არც ფარ-ხმალის დაყრას ვაპირებთ. საჭიროა ძირეული, თვისებრივი რეფორმები თვით საგადასახადო სისტემაში, შესაბამისი სამსახურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, თანამშრომელთა მატერიალური სტიმულირება, მაგრამ, მეორე მხრივ, ვერც კანონის გამკაცრებასა და იმ ბიზნესმენთა თუ მეწარმეთა სასტიკად დასჯას ვერ ავცდებით, რომლებიც გადასახადებს უმალავენ სახელმწიფოს. ინფორმაცია სათანადო ორგანოებს საკმარისი ექნებათ და სანამ ვინმე ძალიან მწარედ დასჯილა, ვთხოვ ყველას, სახელმწიფოს კუთვნილი თანხა დროულად შეიტანოს ბიუჯეტში.

რეპრესია და ვინმეს დასჯა ჩვენთვის არც სასიხარულოა და არც თვითმიზანი, ამიტომ უპირატესობას ყველა შემთხვევაში სისტემურ ცვლილებებს ვანიჭებთ, ბოლომდე გვინდა ამოვწუროთ ეს შესაძლებლობა, რათა [illegible] ღლესი კვალიფიკაციის, გამოცდილ ექსპერტთა რჩევა, მათი რეკომენდაციები დიდად წაგვადგება ამ საქმეში.

ამასთან დაკავშირებით, შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ გალში განვითარებული მოვლენების, ლტოლვილთა ახალი ტალღის, მათს დასახმარებლად დიდძალი თანხებისა და მატერიალური რესურსების გამოყოფის გამო ძალიან სერიოზული ხარჯების გაწევა მოგვიხდა. მათთვის არაფერი დაგვიშურებია და არც დავიშურებთ, მაგრამ ფინანსური რეზერვები ამოუწურავი არ არის. ამიტომ, სუბიექტურ მიზეზებთან ერთად, დღევანდელ სირთულეებს ობიექტური საფუძველიც აქვს — ესეც პირუთვნელად უნდა ითქვას.

თუმცა უიმედობისათვის არანაირი საფუძველი არ არსებობს, გამოსავალი არის, ჩვენ მას მკაფიოდ ვხედავთ და ვაცნობიერებთ. მთავარია, არ მოვყვეთ იმ ფინანსური კრიზისის ტალღაში, რომელმაც მრავალი ქვეყანა მოიცვა.

— ეს თემაც ძალზე აღელვებს ჩვენს მოქალაქეებს. რუსეთში განსაკუთრებული ძალით იფეთქა ფინანსურმა კრიზისმა. მოახდენს თუ არა იგი ზეგავლენას ლარის სტაბილურობაზე, ჩვენი მოსახლეობის დანაზოგის შენარჩუნებაზე, საბანკო სისტემის სიმყარეზე?

— უკანასკნელი რამდენიმე კვირის განმავლობაში ამ საკითხს ჩვენ (ვგულისხმობ მთლიანად საქართველოს ხელისუფლებას) განსაკუთრებული გულისყურით ვეკიდებით. გულმოდგინე და კომპეტენტური, კვალიფიციური ანალიზის შედეგად იმ დასკვნამდე მივედით, რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, განსაკუთრებით რუსეთში განვითარებული ნეგატიური პროცესები საქართველოს ფინანსურ სისტემაზე ზეგავლენას ვერ მოახდენს. ეს არ არის, იცით, ჩვენი სურვილი ან სუბიექტური გადაწყვეტილება, ეს რეალობაა, რომელიც არსებულ ვითარებას ობიექტურად ასახავს.

ალბათ, გახსოვთ დებატები და დისკუსიები ამ რამდენიმე წლის წინათ, როდესაც პირველ ნაბიჯებს ვდგამდით სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზაზე. მაშინ ზოგიერთები მოითხოვდნენ საქართველოს დატოვებას სამანეთო ზონაში, უფრო ზუსტად, რუსეთის ფინანსურ სისტემაში ინტეგრირების შენარჩუნებას, რუბლის ზონასთან შეერთებას. კიდევ კარგი, ეს კაპიტულანტური იდეა მაშინ არც ხელისუფლებამ გაიზიარა და არც საზოგადოებამ, თორემ ძნელი წარმოსადგენი არ არის, ახლა რა მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა სა- [illegible] ქართველოს ყველა რეგიონში როგორც ერთადერთი საგადამხდელო საშუალება. ეს ერთ-ერთი გზაა საქართველოს მეზობლად განვითარებულ მოვლენათა, ფინანსურ კატასტროფასთან ნეგატიური შედეგების თავიდან აცილებისათვის.

როგორც მოგეხსენებათ, შექმნილია და ფუნქციონირებს მთავრობის საგანგებო კომისია ქვეყნის პრეზიდენტის ხელმძღვანელობით, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს ქვეყნის გარეთ თუ ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებს, უზრუნველყოს ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება.

აქვე მინდა შევეხო ერთ თემას ჩვენი მოქალაქეების საყურადღებოდ: დღეს საქართველოში ბანკებს გარეთ მიმოქცევაშია 600-700 მილიონი დოლარი, აგრეთვე, დიდი ოდენობით ეროვნული ვალუტა. ჩემი კეთილი რჩევა იქნებოდა ყველა მოქალაქის მიმართ, ვისაც დანაზოგი ან თავისუფალი ფულადი სახსრები აქვს, გამოიყენოს ბანკების შესაძლებლობანი და შეიტანოს თანხა საბანკო სისტემაში. ამჟამად, საბედნიეროდ, უკვე გვაქვს მყარი და სტაბილური საბანკო სისტემა, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს შესაბამისი დივიდენდების მიღება და სათანადოდ დაიცვას კიდეც თანხა თუნდაც მცირედი ინფლაციისაგან. მოგეხსენებათ, მცირედი ინფლაცია თვით ყველაზე მყარ ვალუტებსაც კი ახასიათებთ. ამდენად, ეს ხელსაყრელია მოქალაქეთათვის და ხელსაყრელია სახელმწიფოსთვისაც. საჭიროა, ფინანსთა სამინისტრომ, ეროვნულმა ბანკმა გააძლიერონ მუშაობა მოსახლეობაში თანხების საბანკო სისტემაში მოსაზიდად, თვით ბანკებშიც (ეს, პირველ რიგში, ეროვნულ ბანკს ეხება) ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ მოსახლეობას შეუქმნან ანაბრების განთავსების იდეალური პირობები. ამ შემთხვევაში, ბანკებსაც ექნებათ საშუალება, დღეს ყოვლად გაუმართლებელი, უმაღლესი საპროცენტო განაკვეთებიდან (ვგულისხმობ კრედიტებს) გადავიდნენ ნორმალურ საპროცენტო განაკვეთზე. ამით მოსახლეობაც მოიგებს, საბანკო სისტემაც, და ეკონომიკაც ახალ სტიმულს შეიძენს.

— ზუგდიდში განხორციელებული ტერორისტული აქტის შემდეგ კვლავ ვრცელდება ჭორები, რომ უახლოეს მომავალში ძალისმიერი მინისტრები გათავისუფლდებიან თანამდებობიდან, რომ ხელისუფლება უძლურია იღონოს რაიმე ტერორის შესაჩერებლად და ასე შემდეგ. რამდენად სამართლიანია ეს მოსაზრებანი?

[illegible] საკადრო ცვლილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს აზრი, თუ დარწმუნებული ხარ, რომ ახალი კადრი წინამორბედზე უკეთ გაუძღვება საქმეს, იმ ამოცანების გადაწყვეტას, ესოდენ სიმწვავით რომ დგას ჩვენ წინაშე. აქ საქმე მხოლოდ ამა თუ იმ ხელმძღვანელის ერთგულება როდია, მე არც მათს პროფესიონალიზმში მეპარება ეჭვი, ამიტომ არ მივიღე ემოციური გადაწყვეტილება 29 აგვისტოსა და 9 თებერვლის ტერაქტების შემდეგ. დარწმუნებული ვარ, ბატონები ჯემალ გახოკიძე, კახა თარგამაძე, ავთანდილ იოსელიანი, ჯამლეთ ბაბილაშვილი ყველაფერს იღონებენ დამნაშავეთა გამოსავლენად, მათი ადგილსამყოფლის დასადგენად და, როგორც იტყვიან, დღის სინათლეზე გამოსათრევად. თუ, რასაკვირველია, ისინი კვლავ ისეთ ადგილას არ მიიმალნენ, სადაც ჯერჯერობით საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს ხელი არ მიუწვდებათ.

ამრიგად, „ძალისმიერი ხელმძღვანელების მიმართ" მკაცრ გადაწყვეტილებათა მიღებას არ ვჩქარობ, სიმკაცრესაც მოზომვა და გონიერება უნდა. არ შეიძლება ადამიანი, მინისტრი მუშაობდეს მუდმივი შიშის, მოლოდინის ვითარებაში, რომ მას დღეს თუ არა ხვალ უეჭველად დაითხოვენ სამსახურიდან და ა. შ. ასეთი გნიასი ძალიან ცუდ ზეგავლენას ახდენს იმ სახელმწიფოებრივ სისტემებზე, რომელთაც ყველაზე მეტად სჭირდებათ სტაბილურობა ნორმალურ ფუნქციონირებისათვის. მეტი პატივისცემა და სიფხიზლე, ფაქიზი მიდგომა გვმართებს იმ ადამიანების მიმართაც, რომლებიც საფრთხეში აგდებენ სიცოცხლეს დამნაშავეობისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას.

ამასთანავე, მე კატეგორიულად არ ვეთანხმები იმ აზრს, თითქოს ტერორისტული აქტები საქართველოში ხელისუფლების სისუსტეზე მეტყველებდეს, რომ, თუ ხელისუფლებას არ ძალუძს მათი პროფილაქტიკა, თავიდან აცილება, იგი სუსტი ხელისუფლებაა და სხვა.

ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დამთავრდეს ასეთი პროვინციული, არაკომპეტენტური აზროვნების ეპოქა საქართველოში! მიმოვიხედოთ, რა ხდება ჩვენს ირგვლივ. რამდენიმე დღის წინათ ჩვენსავით პატარა ისრაელში ანალოგიური ტრაგედია დატრიალდა — ხალხმრავალ ადგილას ტერორისტთა გადამალული ნაღმი აფეთქდა. ამ ქვეყანაში ეს მწარე სინამდვილეა და არცთუ იშვიათია ამგვარი ექსცესები. არადა, ისრაელის სპეცსამსახური (მოსადი), საყოველთაო აღიარებით, ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში, ხოლო ისრაელის სახელმწიფო ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, ტერორისტული აქტების პროფილაქტიკისათვის ლამის მთელი საქართველოს ბიუჯეტის ტოლ თანხას ხარჯავს ყოველწლიურად. მიუხედავად ამისა, მაინც ვერ ხერხდება ტერორისტული აქტების თავიდან აცილება.

ზოგიერთი არაკომპეტენტური პოლიტიკანი ამაზეც შემედავება: რატომ ადარებთ საქართველოს ისრაელს? კი, მაგრამ, გაუგებარია, რატომ არ უნდა შევადარო? იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ საქართველო ნაკლებად რთულ გეოპოლიტიკურ რეგიონში იმყოფება ან უფრო იოლი სახელმწიფოებრივი პრობლემები აქვს? ამდენად, ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად მთელი საზოგადოების, მთელი ქვეყნის შეკავშირებაა საჭირო, თორემ, თუ ყოველი მძიმე დანაშაულის შემდეგ მინისტრები თანამდებობიდან გავათავისუფლეთ, ამით სწორედ იმას გავაკეთებთ, რაც მტერს უნდა, — შევარყევთ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ სტრუქტურათა სტაბილურობას. დარწმუნებული ვარ, ზუგდიდის ტერაქტის ერთ-ერთი მიზანი ესეც იყო, მაგრამ ამ პროვოკაციას არ ავყვებით. ტერორისტები და მათი მხარდამჭერნი კი საკადრის პასუხს უეჭველად მიიღებენ.

— გასულ კვირას თქვენ შეიწყალეთ ნუგზარ მოლოდინაშვილი, მას ეპატია დარჩენილი 3 წელი და 9 თვე. ეს ფაქტი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა და სენსაციად იქნა აღქმული. რამ განაპირობა თქვენი გადაწყვეტილება და მოსალოდნელია თუ არა მსგავსი პრეცენდენტები მომავალში?

— ნუგზარ მოლოდინაშვილის ვადამდე გათავისუფლებაში, ვფიქრობ, განსაკუთრებული არაფერია. საქართველოს პრეზიდენტს კონსტიტუციით მინიჭებული აქვს მსჯავრდადებულთა შეწყალების უფლება. ეს უფლება წარსულშიც ბევრჯერ გამომიყენებია და მომავალშიც ვაპირებ მის გამოყენებას. მხოლოდ ბოლო ორი წლის განმავლობაში პრეზიდენტმა 2500-ზე მეტი მსჯავრდადებული შეიწყალა. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ოჯახებს დაუბრუნდა და პატიოსნად ცხოვრობს.

არაერთხელ მითქვამს: ჩვენ ავირჩიეთ ეროვნული თანხმობის კურსი და ამ კურსს არ გადავუხვევთ. ოპონენტებთან კონსტრუქციული დიალოგი, პლურალიზმი, აზრის თავისუფლება ჩვენი საზოგადოების მამოძრავებელი ძალა უნდა გახდეს.

შერიგებისა და თანხმობის პროცესში დიდი როლი უნდა შეასრულოს საზოგადოებრიობამ, ადამიანის უფლებათა დამცავმა ინსტიტუტებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

ნუგზარ მოლოდინაშვილის საკითხის განხილვისას მე მხედველობაში მივიღე საქართველოს სახალხო დამცველის, ბატონ დავით სალარიძისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის, ქალბატონ რუსუდან ბერიძის შუამდგომლობა, გავითვალისწინე შეწყალების საკითხთა კომისიის წინადადება და მივიღე გადაწყვეტილება. თუ ეს აქტი წაადგება ნუგზარ მოლოდინაშვილს, მის ოჯახს, ახლობლებს, რათა ყოფილი პატიმარი დაუბრუნდეს საზოგადოებას, დაიწყოს მშვიდი, სრულფასოვანი ცხოვრება, მაშასადამე, კიდევ ერთხელ გაამართლა „შერიგების პოლიტიკამ", რომელიც წამოვიწყეთ საზოგადოებრიობის მხარდაჭერით და კვლავაც გავაგრძელებთ სხვადასხვა დროს მსჯავრდებულ სხვადასხვა დაჯგუფების წევრთა მიმართ. შერიგება არ ეხება მხოლოდ ეგრეთ წოდებულ „ზვიადისტებს" თუ მხოლოდ ეგრეთ წოდებულ „მხედრიონელებს" — იგი საყოველთაო უნდა იყოს და იქნება კიდეც.

საქინფორმი.

ადამიანის უფლებებს ნაკლებად არღვევენ

საქართველოს უშიშროების მინისტრად ჯემალ გახოკიძის დანიშვნის შემდეგ, ამ სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ სასიკეთო ძვრები შეიმჩნევა, უთხრა პრაიმ-ნიუსს საქართველოს სახალხო დამცველმა დავით სალარიძემ.

„ადამიანის უფლებების დაცვისათვის ძალოვან სტრუქტურებში არსებული ვითარების გაუმჯობესებაა საჭირო. აღნიშნული ორგანოთა ხელმძღვანელების გადაყენების თაობაზე მუდმივი დავა მნიშვნელოვნად გააუფასურებს ამ მიმართულებით გადადგმულ ყველა ნაბიჯს", — თქვა სალარიძემ ზუგდიდში მომხდარი ტერაქტის შემდეგ გახოკიძის თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე გავრცელებულ ხმებთან დაკავშირებით.

შესაძლოა ერთობლივი საწარმო შეიქმნას

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების მიწვევით ბათუმში იმყოფებოდნენ იტალიის სამშენებლო ფირმის ხელმძღვანელები რობერტო ჯერარდო და მარიო კამარასი. როგორც სტუმრებმა აღნიშნეს, ისინი შორიდან ეცნობოდნენ აჭარის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის პოტენციალს, ამჯერად კი სიტუაციის ადგილზე შემოწმება გადაწყვიტეს.

სხვადასხვა საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ იტალიელმა ბიზნესმენებმა გეა-ს განუცხადეს, რომ შესაძლებელია, ბათუმში შეიქმნას საქართველო-იტალიის ერთობლივი საწარმო, რომელიც კაფელის წარმოებაზე იმუშავებს.

„თურქულთან" დაკავშირებით

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ინფორმაციით, ამჟამად, დაავადება „თურქული" მძვინვარებს სომხეთის საქართველოს მოსაზღვრე რაიონებში, სადაც ორივე ქვეყნის პირუტყვია შერეული. ნინოწმინდის რაიონში საზაფხულო საძოვრებზეა წალკის, დედოფლისწყაროს და საგარეჯოს რაიონების ცხვარი.

დაავადების თავიდან ასაცილებლად ვეტერინარიის საერთაშორისო ბიუროს რეკომენდაციით, სომხეთის სასაზღვრო ზოლში კარანტინი გამოცხადდა. აღნიშნულის გამო, საქართველოში აიკრძალა ვეტკონტროლქვემდებარე საქონლის იმპორტი. მიმდინარეობს ვეტერინარულ-პროფილაქტიკური ღონისძიებები.

საქართველოში კლუბი „შალომი" დაარსდა

გუშინ თბილისში ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული საერთაშორისო განვითარების ცენტრი „მაშავის" კლუბი „შალომი" დაარსდა.

საერთაშორისო განვითარების ცენტრი „მაშავი" 40 წელია არსებობს. იგი დახმარებას უწევს ასობით სახელმწიფოს. დახმარება გულისხმობს ისრაელის უახლესი ტექნოლოგიების დანერგვას, კვალიფიციური კადრების მომზადებას და ქვეყნის სპეციფიკური მოთხოვნების გათვალისწინებით მისი განვითარების გზების ძიებას.

თბილისში, მიმდინარე წლის პირველი თებერვლიდან, ფუნქციონირებს „მაშავის" მიერ შექმნილი სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო ცენტრი. მისი მიზანია ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის სექტორში პრივატიზაციას და მოდერნიზაციას, თანამედროვე ტექნიკის დანერგვას, ბუნებრივი რესურსების მიზნობრივად გამოყენებას.

„ოქროს აკვანი – 98" გუშინ დასრულდა

ახალგაზრდობის დღეები „ოქროს აკვანი – 98", რომელიც ახალგაზრდულ საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის ეგიდით ეწყობოდა, გუშინ დასრულდა.

„ოქროს აკვანი – 98" უკვე მეორე წელია იმართება. ახალგაზრდულ დღეებში წელს საქართველოს ყველა რეგიონიდან 180 ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა. სტუმრებს ბორჯომის ხეობის დაბა წაღვერმა უმასპინძლა.

გუშინ გაიმართა გალა-კონცერტი და საზეიმო დახურვის ცერემონიალი. „ოქროს აკვანი – 98"-ისათვის საგანგებოდ შეიქმნა ჰიმნი, რომლის ავტორია ნიკა მემანიშვილი.

ახალგაზრდული დღეების სპორტული, გასართობი, შემეცნებითი ღონისძიებების პრიზიორებს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

საქართველოს ახალგაზრდულ საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური ჯილდო — „ოქროს აკვანის" მედალი, ამ დღეების მონაწილეთა გადაწყვეტილებით, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორეს გადაეცემა. შარშან ეს მედალი საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს ხვდა წილად.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა, იბერიამ და გეამ.

პრეზიდენტი

ევროსაბჭოში საქართველოს გაწევრიანების გზაზე იმდენად სერიოზული ნაბიჯებია გადადგმული, რომ დღეს ჩვენ ვიხილავთ არა ამ პროცესის ხელშეწყობის, არამედ უკვე გაწევრიანების შემდეგ ევროსაბჭოში საქართველოს როლისა და ფუნქციის საკითხებს



ეს განაცხადა 30 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრაზე ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა დანიელ ტარშისმა. გენერალური მდივნის შეფასებით, საქართველომ გააკეთა იმის მაქსიმუმი, რაც შესაძლებელი იყო ამ მოკლე პერიოდში და დღეს მისი მთავარი ამოცანაა, არ გადაუხვიოს ამ გზას. ამაში კი ევროსაბჭოს და მის საპარლამენტო ასამბლეას ეჭვი არ ეპარებათ: „ჩვენ ვხედავთ და ვაფასებთ საქართველოს დიდ სურვილს თანასწორუფლებიან წევრად შევიდეს ევროპის სამართლებრივ და კულტურულ ფასეულობათა სივრცეში", აცხადებს ევროსაბჭოს გენერალური მდივანი და აქვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველო ისტორიულად ამ სივრცის განუყოფელი ნაწილია. „ჩვენ ვიცნობთ თქვენს ისტორიასაც და ვიცნობთ და ვიზიარებთ იმ დიდ სიბრძნესა და გამოცდილებასაც, რომელიც აქვს თანამედროვე საქართველოს". ჩვენი ქვეყანა ევროსაბჭოში არა მარტო თავისი ისტორიითა და კულტურით შედის, არამედ იმ უდიდესი, შეიძლება ითქვას, უნიკალური გამოცდილებითა და კომპეტენციითაც, რომელიც მას ეროვნებათა და რელიგიათა თანაცხოვრების თვალსაზრისით აქვს შეძენილი. ამ მხრივ, საქართველოს ევროსაბჭოს პრაქტიკაში უაღრესად ფასეული როლი შეუძლია შეასრულოს.

— ევროპა ვერ იქნება სრულყოფილი, თუ მისი თანაბარუფლებიანი წევრები არ იქნებიან საქართველო, კავკასიის რეგიონის სახელმწიფოები. ამიტომაც ევროსაბჭო თავის მოვალეობად მიიჩნევს, დაეხმაროს საქართველოს რაც შეიძლება სწრაფად დააკმაყოფილოს ყველა ის კრიტერიუმი, რომელიც აუცილებელია საერთო ევროპული ოჯახის წევრის სტატუსის ოფიციალურად მიღებისათვის, — განაცხადა ევროსაბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის, საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ იანოს კრანიდიოტისმა და აღნიშნა, რომ სწორედ ეს არის საქართველოში ევროსაბჭოს უმაღლესი დონის დელეგაციის ვიზიტის მიზანი. დელეგაციის ვიზიტის შედეგები აისახება მოხსენებაში საქართველოს შესახებ, რომელსაც დელეგაცია ევროსაბჭოს ხელმძღვანელ ორგანოებს წარუდგენს.

საქართველოს პრეზიდენტმა, უწინარეს ყოვლისა, მადლობა გადაუხადა ევროსაბჭოს წარმომადგენლებს იმ მხარდაჭერისა და თანადგომისათვის, რომელსაც საქართველო მუდმივად გრძნობს ამ საერთაშორისო ორგანიზაციისაგან და აღნიშნა, რომ ევროსტრუქტურებთან თანამშრომლობის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა იმ წარმატებების მიღწევა, რომლებსაც თავად ეს სტრუქტურები დღეს ერთმნიშვნელოვნად აღიარებენ. ამავე დროს, ედუარდ შევარდნაძეს მიაჩნია, რომ საქართველოში სამართლებრივ, საგანმანათლებლო, ადამიანის უფლებათა სფეროებში შემდგომი პროგრესი, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება შეუძლებელი იქნება ამ თანამშრომლობის გაგრძელებისა და გაღრმავების გარეშე. აქედან გამომდინარე, იგი მიესალმება ევროსაბჭოს მოქმედების არეალის გაფართოებას, რის შედეგადაც საგრძნობლად ძლიერდება ამ არეალის ქვეყნებში მიმდინარე პროცესებზე ევროსაბჭოს პოზიტიური გავლენა.

რაც შეეხება საკუთრივ ევროსაბჭოში ინტეგრაციას, ეს სურვილი, სახელმწიფოს მეთაურის აზრით, თვითმიზანი არ არის. დემოკრატიის მშენებლობის გზაზე მდგარ სახელმწიფოს ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა უხდება და სწორედ ამ თვალსაზრისით მისთვის ერთიანი ევროპული ოჯახის წევრობა დემოკრატიის მშენებლობისა და დაცვის მნიშვნელოვანი გარანტი იქნება. ამავე დროს, „ეს არის დამოუკიდებელი სახელმწიფოს იდეალი, რომელიც გულისხმობს ევროპულ ღირებულებებზე აგებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას ადამიანებსა თუ სახელმწიფოებს შორის, თავისუფლების იდეის ხორცშესხმას, ადამიანის უფლებათა განუხრელ დაცვას". ყოველივე ეს კი, სრულყოფილ საკანონმდებლო ბაზასთან ერთად, მოითხოვს სერიოზულ ძვრებს ადამიანთა შეგნებაში.

ამავე დროს, ევროპაში ინტეგრაცია არ არის ცალმხრივი პროცესი — ევროპას სჭირდება დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო, როგორც ევრაზიის ერთიანი სივრცის ერთ-ერთი საკვანძო ქვეყანა, რომელზეც გადის აღორძინებული „აბრეშუმის გზის" მთავარი მაგისტრალები. ასე რომ, წინაპირობები სრული ინტეგრაციისათვის ობიექტური რეალობაა.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

ფელიქს პრიმაკის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარლამენტის თავმჯდომარე

მსგავსი ინტერესი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ ფინეთის პარლამენტის — ედუსკუნტას საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მარკუს აალტონენი და ფინეთის პარლამენტის წევრების დელეგაცია მიიღო.

როგორც ბატონმა მარკუს აალტონენმა შეხვედრაზე აღნიშნა, საქართველოსა და ფინეთს მსგავსი გეოპოლიტიკური მახასიათებელი აქვთ — ორივე სახელმწიფოს დიდი იმპერიის მეზობლად უწევდათ არსებობა და ახლაც მრავალი სახელმწიფოს ინტერესთა გადაკვეთის გზაჯვარედინზე ახორციელებენ საკუთარ სტრატეგიულ პოლიტიკას. მისი თქმით, სწორედ ამ ფაქტორმა და ევროსაბჭოში საქართველოს ინტეგრაციის საკითხმა განაპირობა ფინეთის პარლამენტის ინტერესი სამხრეთ კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოსადმი. სტუმრის თხოვნით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ვრცლად ისაუბრა საქართველოში მიმდინარე რეფორმებისა და საბჭოური ტოტალიტარული რეჟიმის უმწვავეს მემკვიდრეობაზე — რეგიონულ კონფლიქტებზე.

როგორც ბატონმა ზურაბ ჟვანიამ აღნიშნა, დასავლეთის სამყაროსთან და, კერძოდ, ევროპასთან ყველა მიმართულებით თანამშრომლობა და ინტეგრირება საქართველოს პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტია.

გუშინვე ფინეთის პარლამენტის — ედუსკუნტას საგარეო საქმეთა კომიტეტის წევრები საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის ლიდერს ლანა ღოღობერიძეს, საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს კახა ჩიტაიას, საპარლამენტო ფრაქცია „მაჟორიტარ-სოციალისტის“ თავმჯდომარეს იური ჩიხრაძესა და ფრაქციის წევრს, სოციალისტური პარტიის თავმჯდომარეს ვახტანგ რჩეულიშვილს შეხვდნენ.

პარლამენტის პრესსამსახური.

კანონმდებლები

მხარი დაუჭირეს მალხაზ კაკაბაძის კანდიდატურას

გუშინ მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების კომიტეტში განიხილეს რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად მალხაზ კაკაბაძის კანდიდატურა.

მალხაზ კაკაბაძე დაიბადა თბილისში 1951 წელს; 1973 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომისტ-გეოგრაფის სპეციალობით; 1973-90 წლებში იყო კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზე; თბილისის საქალაქო კომიტეტში ინსტრუქტორად; პარტიის მთაწმინდის რაიკომის მეორე მდივნად; 1990 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ. მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

— მე ვარ ხელისუფლების ნაწილი და ის უნდა შევასრულო, რასაც სახელმწიფო გადაწყვეტს, — განაცხადა ბატონმა მალხაზ კაკაბაძემ, — იმედი მაქვს, რომ გავარღვევთ ბარიერს და ჩამოვაყალიბებთ ისეთ ურთიერთობებს, რასაც კეთილმეზობლური ურთიერთობები ჰქვია, — აღნიშნა მან.

კომიტეტის წევრებმა წარმოდგენილ კანდიდატურას მხარი დაუჭირეს.

კომიტეტმა დადებითად გადაწყვიტა

ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტში განიხილეს საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრის თანამდებობაზე თამარ ბერუჩაშვილის კანდიდატურა.

თამარ ბერუჩაშვილი დაიბადა 1961 წელს თბილისში; 1992 წელს დაამთავრა იუნესკოს საერთაშორისო მენეჯმენტის ცენტრი; მიღებული აქვს ქიმიკოსის, ფრანგული ენის თარჯიმნის, სახელმწიფო მმართველობის მაგისტრის სპეციალობა; 1991-93 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროში მთავარ სპეციალისტად; იმავე წელს დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საქმეთა მმართველობის ევროგაერთიანების ტექნიკური დახმარების პროგრამა ტასისის საკოორდინაციო ბიუროში სახელმწიფო მრჩევლად; 1994-96 წლებში მუშაობდა ამავე ბიუროს პროექტის ადმინისტრატორ-მრჩევლად, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილედ; 1996 წელს წარგზავნეს აშშ ინდიანას უნივერსიტეტში, სადაც გაიარა მაგისტრატურა და სახელმწიფო მმართველობის დარგში მაგისტრის წოდება მიენიჭა. სწავლის პერიოდში დაამთავრა ინტერნატურა ვაშინგტონის სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრში.

თამარ ბერუჩაშვილი კომიტეტის წევრებს სამინისტროს მომავალ გეგმებზე ესაუბრა.

კომიტეტის წევრებმა საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრის თანამდებობაზე წარმოდგენილ კანდიდატურას მხარი დაუჭირეს.

პარლამენტის პრესსამსახური.

დოკუმენტი

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1998 წლის 22 აგვისტო ქ. თბილისი

ნიადაგის საფარის ეროზიისაგან დაცვის პირველი რიგის ღონისძიებათა შესახებ

ბოლო პერიოდში ნიადაგთდამცავი ღონისძიებებისადმი ყურადღების შესუსტების გამო საქართველოს მთელ რიგ რაიონებში კრიტიკულ ზღვარს მიაღწია ეროზიული პროცესების ინტენსივობამ. უდიდესი ზიანი ადგება ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ბუნებრივ სიმდიდრეს — ნიადაგს.

ქვეყანაში ფაქტობრივად შეწყვეტილია ნიადაგის საფარის ეროზიისაგან დაცვის სამუშაოები; უგულებელყოფილია ფართობების ეროზიისაგან დაცვის ელემენტარული მოთხოვნები; იშვიათად ხორციელდება ეროზიის საწინააღმდეგო აგროტექნიკური ღონისძიებები; მკვეთრადაა შემცირებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ეროზიისაგან დაცვის კომპლექსური მექანიზაციის სამუშაოები ფერდობებზე სხვადასხვა კულტურის მოყვანის თავისებურების გათვალისწინებით. შეწყდა ტერასების მშენებლობა, თვითდატერასება; აღარ შენდება ხევებისა და მდინარეების ნაპირების გასამაგრებელი საინჟინრო ნაგებობები; არ სრულდება ნიადაგების ეროზიული გამოკვლევები, შეჩერებულია შესაბამისი რუკებისა და კარტოგრამების შედგენა და სხვ.

ბუნების ეკოლოგიური სტაბილურობის შენარჩუნების, ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის უზრუნველყოფისა და მათი ნაყოფიერების შენარჩუნების მიზნით:

1. ეროვნული მეურნეობის შემდგომ განვითარებაში ეროზიული მოვლენებისაგან ნიადაგის საფარის, მოსახლეობისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო ეროზიული პროცესებისაგან ნიადაგთდამცავი ღონისძიებების დაფინანსება ძირითადად განხორციელდეს ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯზე.

2. ნიადაგის ეროზიისაგან დაცვაში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და ოპერატიულად განხორციელების მიზნით საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 6 თებერვლის №160 ბრძანებულებით დამტკიცებულ „საქართველოს მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომისიის დებულებაში“ შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებანი:

„2.4. ეროზიის პროცესების ინტენსივობისა და ნიადაგის ნაყოფიერების მკვეთრი შემცირების პროცესების რეგულირება.

2.5. მმართველობის ადგილობრივ ორგანოთა წარმომადგენლების მონაწილეობით ეროზიული პროცესების გავრცელების მხრივ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობისა და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელების მიმდინარეობის განხილვა, შესაბამისი ღონისძიებების დასახვა და მათი განხორციელების კონტროლი“.

დებულების 2.4 პუნქტი ჩაითვალოს 2.6 პუნქტად, 2.5 — 2.7 პუნქტად, 2.6 — 2.8 პუნქტად და 2.7 — 2.9 პუნქტად.

3. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ (ბ. გულუა) გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან (ნ. ჩხობაძე) და მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტთან (ზ. გეგეჭკორი) ერთად უზრუნველყოს:

ა) ნიადაგების ეროზიისაგან დაცვის 1999-2005 წლების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის შემუშავება დაინტერესებული უწყებების მონაწილეობით და წარმოდგენა ორ თვეში;

ბ) შემუშავებული პროგრამის შესაბამისად ნიადაგების ეროზიისაგან დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისადმი მკაცრი კონტროლის დაწესება;

გ) სათანადო დასაბუთებისა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების გარეშე 15 გრადუსზე მეტი დახრილობის ფერდობების ათვისების კატეგორიულად აკრძალვა;

დ) ეროზიული პროცესების შემცირებისა და დარღვეული ნიადაგის საფარის ნაყოფიერების აღდგენისათვის საჭირო სამუშაოთა განხორციელება საკუთარი სახსრებით მოქმედი კანონმდებლობით დაეკისროს იმ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომელთა საქმიანობაც იწვევს ნიადაგების ეროზიული პროცესების ინტენსივობას;

ე) საქართველოს ტერიტორიაზე ნიადაგების ეროზიის ინტენსივობის შემცირებისა და მათი ნაყოფიერების შენარჩუნების პროცესების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის, ნიადაგის დაცვის ნორმატიული აქტების, მისი დეგრადაციითა და დაბინძურებით გარემოსათვის მიყენებული ზარალის დაანგარიშების დებულებებისა და მიწათსარგებლობის თანამედროვე წესების მომზადება;

ვ) ქვეყნის ნიადაგების ეროზიისაგან დაცვის პროგრამის განხორციელებაში სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა და მათი საქმიანობის კოორდინირება.

4. საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ (ვ. პაპავა), ფინანსთა სამინისტრომ (მ. ჭკუასელი) სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს განაცხადის საფუძველზე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატური გეგმებისა და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ყოველწლიური პროექტების ფორმირებისას ფინანსური შესაძლებლობის კვალობაზე გაითვალისწინონ ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის სამუშაოთა დაფინანსება.

5. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ, შესაბამისმა სამეცნიერო დაწესებულებებმა მათთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში შეასრულონ სათანადო თეორიული, ლაბორატორიული და საველე კვლევითი სამუშაოები საქართველოს ნიადაგის საფარის ეროზიისაგან დაცვის საკითხთა შესასწავლად და შესაბამის რეკომენდაციათა შესამუშავებლად.

6. საქართველოს განათლების სამინისტრომ (ა. კარტოზია) არასრული საშუალო და საშუალო სკოლების, კოლეჯების, ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებში გაითვალისწინოს ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სიმდიდრის — ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის მოთხოვნების შესწავლის საკითხი.

7. ეთხოვოთ საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციას (ა. გოგელია) და საქართველოს საინფორმაციო-საგამომცემლო კორპორაციას — „საქინფორმი“ (ვ. აბაშიძე) განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ნიადაგების ეროზიისაგან დაცვის საკითხთა გაშუქებას.

ე. შევარდნაძე.

სულიერება

პრეზიდენტის გადარჩენით ღმერთმა ყველას დაანახა, რომ საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა არ შეიძლება

(პირველი გვერდიდან)

„სიჩუმე მარტოობაა, და სიჩუმეს ვერსად დაემალები“. განსამარტოებლად და ღვთის სადიდებლად სამოღვაწეოდ ადგილი იდეალური — ხორცის დასათრგუნად, სულის ასამაღლებლად...

მოგონებათა საგზლით მივედით ლავრას:

— გახსოვთ, მედიკო?

— გახსოვთ, ნელი?

— გახსოვთ, ოთარ?

ვიხსენებთ: გაზაფხული 1976-ის. გარეჯობა. პირველი. სიმრავლე ხალხის. სახელოვანთა სიმრავლეც.

მწვანე ბალახის ფონზე ფიროსმანის ნახატებივით — ჩარდახიანი ურმები, გავარვარებული თონე და ეს-ესაა ამოყრილი დედას პურები, ჩურჩხელების აკიდოები და გაშლილ სუფრაზე დადგმული ბოთლები ახალი ღვინით — „გარეჯი“, მწვადის ოხშივარი და — მობრძანდით, მიირთვით! კახელთა გულუხვი მასპინძლობა. ჩოხიანი ბიჭები და ჩიხტიკოპიანი ქალბატონები, „ქართული“ და „მრავალჟამიერი“.

სიცოცხლე, ახალგაზრდობა, სიყვარული, და აზრი და არსი ამ თავყრილობის — გადავარჩინოთ, მოვუაროთ ეროვნულ ძეგლებს.

ეროვნულს!.. მაშინ ითქვა ეს, იმ, ახლა ასე შორეულ 76-ში, და თქვა ეს ედუარდ შევარდნაძემ, იმ დღეობაზე ქრისტიანობის უძველეს ციტადელში.

მერე — 80 წელი, 1980. არხის შემოყვანა, სარწყავი არხის, სოფელ უდაბნოს აგება, დასახლება და მხრის გაშლა.

მოგონება და გულდაწყვეტა — არა იმიტომ, რომ გავიდა წლები (იქნებ, ამიტომაც?), უფრო იმიტომ, რომ მიტოვებული, დავიწყებული და იავარქმნილია ის დიდი დასაწყისი, რომელსაც საფუძველი ჩვენმა დღევანდელმა პრეზიდენტმა ჩაუყარა.

ახლა — ელდასავით: ჩალამებული ფანჯრები, მიტოვებული ეზო-კარი, გაუგებარი მილები — მიწიდან ამოჩრილი ნარჩენი სარწყავი სისტემის...

და მითხარით, რომელია ეროვნული საქმე — სიცოცხლის აღდგენა უდაბნოში, თუ აღდგენილის გატიალება?

ამას ვუპასუხოთ ჯერ და მერე ვილაპარაკოთ პატრიოტობაზე...

ამაზე — შემდეგ.

ახლა კახეთის გუბერნატორი გია არსენიშვილი შეგვიძღვება გარეჯის ლავრის ფერიცვალების ეკლესიაში, ავანთებთ სანთლებს და განათდება, კიდევ უფრო განათდება და მაინც შეინარჩუნებს სირბილეს არაკონტრასტულს, ცოტა არარეალურს, როგორც მინიშნებას წარმავლობისა ყველაფრის ამქვეყნიურის, კლდეში ნაკვეთი ეს მცირე სამლოცველო, მაგრამ არც ისეთი, პატარა ეთქმოდეს.

ეკლესია — სადა და ძლიერი, როგორც ორი სიტყვა ლოცვისა — უფალო, შეგვიწყალენ...

მესამე წელია, ტრადიციად დამკვიდრდა (მედეა მეზვრიშვილის წინადადებით) ფერიცვალების ამ ეკლესიაში 29 აგვისტოს სამადლობელი პარაკლისის გადახდა ედუარდ შევარდნაძის მტრის ხელთაგან დაფარვის გამო, გადარჩენის გამო, საქართველოს სამომავლო მშვიდობისათვის.

სულიერი მოთხოვნა იყო. საკუთარი სურვილი. არავის დაუვალებია. გულმა უკარნახათ, და ამიტომ არიან აქ მკვიდრნი კახელნი.

ორი სტუმარია მათ შორის — ნავთობის კომპანია „რამკოს“ პრეზიდენტი საქართველოში ლოლა ჩერნი და ამ სტრიქონების ავტორი. ცოტა მოგვიანებით ვახტანგ აბაშიძე, არჩილ გოგელია და დემურ მიქაძე მოვლენ.

ლოცვად დადგება იღუმენი მამა გერასიმე, წარმოსადეგი, ძლიერი და სათნო ღვთისმსახური:

— აცხოვნე, უფალო, ერი შენი, და აკურთხე სამკვიდრებელი შენი...

— აცხოვნე, უფალო, და შეიწყალენ ღვთივ-დაცული ერი ჩვენი, მთავრობა და მხედრობა მისი...

— აცხოვნე, უფალო, და შეიწყალენ დიდი მეუფე ჩვენი, უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, მამაი ჩვენი ილია...

უფალს შეავედრა ედუარდ (გიორგი) შევარდნაძე, მეუღლე მისი ნანული, მათი ოჯახის წევრები იღუმენმა მამა გერასიმემ.

ილოცა მათთვის.

ილოცა დამსწრეთათვის...

უფალო, შეგვიწყალენ! უფალო, შეგვიწყალენ! უფალო შეგვიწყალენ! — ბუბუნებდა ეკლესიის მსახური. ინავლებოდა წმინდა სანთლები ფერიცვალების ეკლესიაში, და ვიდექით ცოდვილნი იმედად მიტევებისა, რამეთუ მოწყალე და კაცთმოყვარეა ღმერთი.

მცირედი ქადაგება თქვა ლოცვის შემდგომ მამა გერასიმემ: მადლობა უფალს, რომ ქართველობა არ ივიწყებს სამადლობელ პარაკლისს, რომელიც ღმერთის მოვლენილი განსაცდელის გადატანის შემდეგ ყოველთვის აღსრულდებოდა ჩვენთა წინაპართა მიერ.

სამი წლის წინათ ასეთ განსაცდელს გადაურჩა ქართველი ერი, როდესაც ერისა და ქვეყნის მტრები თავს დაესხნენ ქვეყნის პრეზიდენტს.

მადლობა უფალს, მადლობა ღვთისმშობელს, რომლებმაც დიდ უბედურებას გადაარჩინეს ქართველობა.

— ამით ღმერთმა კიდევ ერთხელ დაანახა ყველას, რომ საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა არ შეიძლება, — თქვა მამა გერასიმემ.

არ შეიძლება! და მიაქციეთ ამას ყურადღება.

საკმევლის სურნელებით აივსო ფერიცვალების ეკლესია გარეჯის ლავრის...

უფალო, შეგვიწყალენ!...

* * *

წლის ამ დროს გახელებული ქვეწარმავალნი, შხამიანი ისარივით რომ გამოვარდებიან გარემოსთან შერწყმულ-მიმიკრირებულნი, ეტყობა, გაეცალნენ აქაურობას...

ბებერი აფრიკული ლომივით იწვა გარეჯის უდაბნო, ცოტა შელახული, მაგრამ ჯერ კიდევ ძლიერი სიძლიერითა დაფარულით...

საღამოს ერთ ჭიქა ღვინოსაც ასწევენ კახელები და დალოცავენ სამშობლოს და მის გუთნისდედას, ღვთის წყალობით გადარჩენილებს.

არმაზ სანებლიძე,
დავით გარეჯი — თბილისი.

სურათზე: სამადლობელ პარაკლისს იხდის იღუმელი მამა გერასიმე.

ავტორის ფოტო ფირმა „კონიკას“ ტექნიკური უზრუნველყოფით.



სახელდახელოდ!

შავი ორშაბათი გათენდა: რუსეთში კრიზისი მწვავდება

(პირველი გვერდიდან)

ჩერნომირდინი კერკეტი კაკალია. მართალია, სხდომა დამთავრებისთანავე დატოვა, მაგრამ ჟურნალისტებს თავისი მტკიცე გადაწყვეტილება გააცნო. კონკრეტულად, ის, რომ პირადად დაიწყებს მთავრობის პერსონალურ ჩამოყალიბებას და ფრაქციათა ლიდერებს არავითარ რჩევას არ დაეკითხება, რადგან სახელმწიფო სათათბირომ ხელიდან გაუშვა „თანხმობის მთავრობის“ შექმნის უნიკალური შემთხვევა.

ამრიგად, შეურიგებელი მხარეების შერიგების ცდა კრახით დამთავრდა, თანხმობის დოკუმენტი, რომელზეც ერთი კვირის განმავლობაში მუშაობდნენ ქვედა პალატის ფრაქციების სრულუფლებიანი წარმომადგენლები, მხოლოდ ფარატინა ქაღალდი აღმოჩნდა.

ამ ერთი კვირის მანძილზე რუსეთის ხელისუფლებამ ვერც ერთი კონკრეტული ნაბიჯი ვერ გადადგა რუბლის გასამყარებლად, მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის. მთელი იმედები შემრიგებლურ დოკუმენტზე გადაიტანეს, რომელსაც, როგორც ვარაუდობდნენ, მთავრობის მოღვაწეობისთვის პოლიტიკური უზრუნველყოფის ატმოსფერო უნდა შეექმნა.

არაფერი მსგავსი!

ოპოზიციამ, რადიკალურმა, კომუნისტების მეთაურობით, პრეზიდენტის სისუსტე, როგორც იტყვიან, მთელი სხეულით იგრძნეს და არა მარტო შეუტიეს, არა მარტო მთავრობაზე კონტროლის უფლების მოპოვებისთვის გაისარჯნენ, არამედ, ყველაფრიდან ჩანს, ხელისუფლების სათავეში მოქცევა განიზრახეს.

ამას პრეზიდენტი არ დათანხმდება — წუხელ მან სახელმწიფო სათათბიროში ხელახლა წარადგინა ვიქტორ ჩერნომირდინის კანდიდატურა პრემიერ-მინისტრის პოსტზე. რა თქმა უნდა, უკან არც ოპოზიცია დაიხევს. შუბლებით ეჯახებიან ერთმანეთს. საბედისწერო შეჯახებას ჰგავს.

ამ მდგომარეობით ყველაზე უკეთ ისარგებლა ბელორუსიის პრეზიდენტმა ლუკაშენკომ და რუსეთის ხელისუფალთ მოუწოდა — გავერთიანდეთო!

შავი კვირა დაიწყო რუსეთში.

მორიგე რედაქტორი.

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციამ წუხელ სთხოვა ოპოზიციური პარტიების ლიდერებს თავიანთი აზრი გამოეთქვათ რუსეთში შექმნილ ვითარებაზე. ვისაც ხმა მივაწვდინეთ, მათ შეფასებებს აქვე გთავაზობთ.

საქართველოში კრიზისი არ მოჰყვება

რუსეთს აქვს იმისი პოტენციალი, რათა ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი დაძლიოს. საერთოდ, კრიზისი იმ ქვეყანაში ხდება, რომელსაც ეკონომიკა გააჩნია. ჩვენ ეს არ გვემუქრება, რადგანაც ჩვენთან დინამიკური ეკონომიკა არ არსებობს. სოფლებში ლარი საერთოდ არც უნახავთ.

ჩვენი ეკონომიკა დღეს რუსეთზე არ არის ორიენტირებული, ამდენად იქ მიმდინარე მოვლენები საქართველოზე არ იმოქმედებს. შესაძლოა მხოლოდ ცალკეულ ბიზნესმენებზე იქონიოს გავლენა, რომლებიც რუსეთთან არიან დაკავშირებული.

ასე რომ, რუსეთში მიმდინარე მოვლენებს, ვფიქრობ, საქართველოში ეკონომიკური კრიზისი არ მოჰყვება.

ვახტანგ რჩეულიშვილი,
სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე.

თუ ამბოხება მოხდება, ჩაახშობენ

ის, რაც რუსეთში ხდება, კანონზომიერია. საკომანდო ეკონომიკაზე ხელის ჩაქნევა არის აუცილებელი პირობა, რომელსაც დასავლეთი რუსეთს უყენებს. თუ ამ ამბებს ამბოხება მოჰყვა, მას წარმატების პერსპექტივა არა აქვს, ამბოხებას ჩაახშობენ და მსოფლიო ტაშს დაუკრავს.

სანამ ჩვენ რუსეთის ორბიტაში ვიმყოფებით, სანამ დსთ ვართ და რუსების სამხედრო ბაზები ჩვენთან დგას, საქართველოს მიმართ არ განხორციელდება ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობის პოლიტიკა. ეს პოლიტიკა მხოლოდ მაშინ „იცოცხლებს“, როცა რუსეთის სიერციდან გამოვალთ.

სიტუაციის ახსნის მეორე ვარიანტი ასეთია: მსოფლიოსთვის სასურველია მეორე, ხანმოკლე, ე. წ. ცივი ომი, რომელიც საბოლოოდ დაასამარებს რუსეთის აგრესიულ პოტენციალს. თუ ასეა, მაშინ რუსეთში სოციალური აფეთქება, წითლების მოსვლა ხელსაყრელია, მაგრამ ეს მხოლოდ თეორიული ვარაუდია, რომელსაც პრაქტიკულად რეალობის მცირე ალბათობა აქვს.

ნოდარ ნათაძე,
საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე.

ტერორი!

კონკრეტულ დამნაშავემდე მისასვლელი გზა თანდათან მოკლდება

(პირველი გვერდიდან)

ყველა სამართალდამცავ ორგანოსთან ერთად მიმდინარეობს დადგენა იმისა, თუ რა ასაფეთქებელი მოწყობილობითა და რა სიმძლავრით განხორციელდა დივერსიული აქტი. ჯერდება დაზარალებულთა და თვითმხილველთა ჩვენებები, რათა დადგინდეს, ვინ არის შემკვეთი და უშუალო განმხორციელებელი.

როგორც მალხაზ სალაყაიამ თქვა, წინასწარი მოძიებით, გამოყენებული იყო სასუქოვანი წარმოშობის ასაფეთქებელი მოწყობილობა სხვადასხვა მექანიკური ან ელექტროხელსაწყოს გამოყენებით. კონკრეტულ დამნაშავემდე მისასვლელი გზა თანდათან მოკლდება. ამ მიზნით გამოთხოვილია და შესწავლილია სამართალდამცავ ორგანოებში არსებული ის სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც აფეთქების გზით არის ჩადენილი. მუშაობის ასეთმა ფორმამ კი ის შედეგი გამოიღო, რომ უკვე გაიხსნა 1998 წლის 1 იანვარს რუხში მომხდარი აფეთქებით დაღუპული კოდუას საქმე.

და კიდევ: შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაშაულთან დაკავშირებით რამდენიმე პირი ჰყავს დაკავებული. უშიშროების სამსახურის საგამოძიებო ჯგუფი ახლა იძიებს, აქედან რომელიმე ხომ არ არის დაკავშირებული ზუგდიდში მომხდარ დივერსიულ აქტთან.

რედაქცია შეეცდება გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე სისტემატურად მიაწოდოს მკითხველებს ოპერატიული ინფორმაცია.

კონკურსი

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტისაგან

საქართველოს ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი აცხადებს საკონკურსო ნამუშევრების მიღებას საქართველოს 1998 წლის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად.

პრემიები დაწესებულია:

1. ლიტერატურის, 2. მუსიკის, 3. თეატრის, 4. სახვითი ხელოვნების, 5. კინოს, 6. არქიტექტურის, 7. რადიო-ტელევიზიის, 8. პუბლიცისტიკისა და 9. საყმაწვილო ლიტერატურისა და ხელოვნების დარგებში.

საკონკურსოდ მიიღება ნამუშევრები, რომლებიც დასრულებული სახით გამოქვეყნებულია (ნაჩვენებია, აგებულია, შესრულებულია) უკანასკნელი ორი წლის მანძილზე — 1996 წლის 1 სექტემბრიდან 1998 წლის 1 სექტემბრამდე.

წარდგინებათა მიღების უკანასკნელი ვადაა 30 სექტემბერი. ლაურეატობის კანდიდატთა სიის გამოქვეყნების შემდეგ, ოქტომბრიდან დეკემბრის ბოლომდე, პრესა და ტელევიზია ფართოდ გააშუქებს პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილ ნამუშევრებს, ხოლო კონკურსის შედეგები გამოცხადდება საახალწლოდ.

სახელმწიფო პრემიების კომიტეტი სთხოვს შემოქმედებით კავშირებს და სხვა შემოქმედებით ორგანიზაციებს — გამომცემლობებს, რედაქციებს, თეატრებს, აგრეთვე კულტურის სამინისტროს, დროულად იზრუნონ საკონკურსო მასალების შერჩევასა და წარმოდგენაზე.

ცნობა საჭირო დოკუმენტაციის შესახებ

1. წარდგინება, ანუ აღწერა-დახასიათება ნაწარმოებისა, რომლის გამოც წარმოადგენთ მის ავტორს სახელმწიფო პრემიაზე. დოკუმენტს ხელს აწერს წარმომდგენი;
2. პრესაში გამოქვეყნებული რეცენზიები საკონკურსო ნაწარმოებების შესახებ;
3. კანდიდატის მოკლე შემოქმედებითი ბიოგრაფია;
4. კადრების აღრიცხვის ფურცელი;
5. ლიტერატურული ნაწარმოები 10 ეგზემპლარად, დანარჩენ დარგებში საჭირო ფოტომასალა და სხვა მასალები ნაწარმოებზე წარმოდგენის შესაქმნელად;
6. კანდიდატის ორ-ორი ფოტოსურათი (3X4 სმ. და 6X9 სმ).

ავტორთა კოლექტივების წარდგინებისას წესდებით დასაშვებია წარდგენა არა უმეტეს 4 კანდიდატისა.

დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ ტელეფონებით:
99-06-36. 99-64-82.

წლის საუკეთესონი

პედაგოგიური გალერეის ვარსკვლავები — 98

კარგი ტრადიცია დამკვიდრდა დედაქალაქში, პირველი სექტემბრის წინა დღეს თბილისის განათლების მუშაკები, მასწავლებლობა „ცოდნის ზეიმზე“ იკრიბებიან.

თბილისის მერიის განათლების მთავარმა სამმართველომ მუსიკალურ-კულტურულ ცენტრს ასტუმრა დედაქალაქის მასწავლებლობა.

დარბაზში სკოლის ზარი დაირეკა. ფეხზე ადგომით პატივი მიაგეს მასწავლებლობას. დიპლომებით, ფასიანი საჩუქრებით, ფულადი პრემიებით დასაჩუქრდნენ წლის საუკეთესო მასწავლებლები, საპატიო მასწავლებლები, ნომინაციებში გამარჯვებული განათლების მუშაკები, საუკეთესო სასწავლო დაწესებულებები, საუკეთესო განათლების განყოფილება, საგანმანათლებლო პოლიტიკისადმი მხარდამჭერი გამგეობა. ზეიმის მონაწილეთ მიესალმა მოსკოვის განათლების მუშაკთა დელეგაცია. კონკურსში გამარჯვებულთ ჯილდოები გადასცეს აკადემიკოსებმა ალეკო თავხელიძემ, როინ მეტრეველმა, მარიამ ლორთქიფანიძემ, განათლების მინისტრმა ალექსანდრე კარტოზიამ, ქალაქის განათლების მთავარი სამმართველოს უფროსმა ზაზა მარუაშვილმა, თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ, ვიცე-პრემიერმა გიგი წერეთელმა.

შეკრებილთ მიესალმა, საქართველოს პრეზიდენტის მილოცვა და პრეზიდენტის ბრძანებულება ღირსების ორდენებითა და მედლებით დედაქალაქის მასწავლებლების დაჯილდოების შესახებ გააცნო სახელმწიფო მინისტრმა ვაჟა ლორთქიფანიძემ.

დედაქალაქის მასწავლებლობა დალოცა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II.

ცოდნის ზეიმში მონაწილეობდნენ თბილისის სიმფონიური ორკესტრი ჯანსუღ კახიძის და სახელმწიფო კაპელა გივი მუნჯიშვილის ხელმძღვანელობით, ნაძალადევის რაიონის ბავშვთა ანსამბლი „ორქიდეა“...

31 აგვისტოს, საღამოს, სიონის ტაძარში პატრიარქმა ახალი სასწავლო წლისადმი მიძღვნილი პარაკლისი გადაიხადა.

ნათელა ფაილოძე.

1 სექტემბერი ცოდნის დღეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრი

ალექსანდრე კარტოზია: პირადი ინიციატივა ახლა ძალიან ძვირად ფასობს

(პირველი გვერდიდან)

ახლა, ინტერვიუს დროს, ბატონ ალექსანდრე კარტოზიას მისი ბიოგრაფიის სხვა, ჩემთვის საინტერესო დეტალებიც გამოვკითხე. კერძოდ, გერმანიაში სწავლისა და მუშაობის შესახებ.

პირველად გერმანიაში, ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში სასწავლებლად თბილისის უნივერსიტეტმა მიავლინა ორი წლით. შემდეგ სწავლა თბილისში გააგრძელა და აქვე გაასრულა. გაიარა წლებმა და ის დასავლეთ გერმანიაში თსუ — საარბრიუკენის უნივერსიტეტის საერთაშორისო კონფერენციაზე მიიწვიეს.

ამის შემდეგ მიწვევები გახშირდა. 1991 წელს საარბრიუკენის უნივერსიტეტში მთელი სემესტრის განმავლობაში ლექციებს უკითხავდა სტუდენტებს. კიდევ 20 თვე მუშაობდა გეტინგენის უნივერსიტეტში, გერმანული ფილოლოგიის ინსტიტუტში, მსოფლიოში აღიარებულ გერმანისტთან, პროფესორ ტურკთან. აქ საუცხოო საერთაშორისო გუნდი მუშაობდა — ამერიკელები, ინდოელები, კორეელები, პოლონელები და ბევრი კარგი მეგობარი შეიძინა.

1995 წელს თბილისში, ალექსანდრე კარტოზიას ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, საერთაშორისო, მეტად მასშტაბური სიმპოზიუმი გაიმართა თემაზე „ინტერკულტურული მეხსიერება“, რომელიც მან თავისი მასწავლებლის პროფესორ რეზო ყარალაშვილის ხსოვნას მიუძღვნა. შარშან უკვე მეორე, ასევე წარმომადგენლობითი სიმპოზიუმი (თემა — „ლიტერატურული სალონი“) ჩატარდა. გეტინგენში დღე-დღეზე უნდა გამოვიდეს ამ სიმპოზიუმის მუშაობის მასალები.

საკანდიდატო დისერტაცია 1986 წელს დაიცვა („სიტყვის ობიექტივაცია მხატვრულ ტექსტში“), სადოქტორო — 1995 წელს („ენა, ტექსტი, თარგმანი“).

ერთი სიტყვით, ბატონი ალექსანდრე მეცნიერული ინტერესებით ცხოვრობდა და, ალბათ, სხვაგვარი ცხოვრება ვერც წარმოედგინა, რომ, სრულიად მოულოდნელად, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობა შესთავაზეს. დაიყოლიეს კიდეც, მისი კოლეგებისა და მეგობრების გასაოცრად, და, კაცმა რომ თქვას, საოცარი არც უნდა იყოს (ჩვენს ამჟამინდელ ყოფაშიც კი!), მეცნიერმა და წიგნიერმა ადამიანმა თავისი ქვეყნის ეროვნული განძის გადარჩენისათვის თავი რომ გადადოს.

სულ ერთი წლის, უფრო ზუსტად — 13 თვის მანძილზე მან ძალიან ბევრის გაკეთება მოასწრო ქვეყნის ხელისუფლების თანადგომითა და უცხოელი მეგობრების შემწეობით. და, რა თქმა უნდა, ნიადაგ მხარში ედგა თავისი იმედგაუცრუებელი კოლექტივი.

სწორედ ამ კოლექტივისთვის მეხის გავარდნას უდრიდა ალექსანდრე კარტოზიას ბიბლიოთეკიდან მოცილება. ერთი კვირის მანძილზე ამ ამბის პერიპეტიებს გადმოსცემდა ყველა ჩვენი ტელეარხი: როგორ უგზავნიდნენ სახელმწიფო კანცელარიას პეტიციას (სამასკაციანი ხელმოწერით) საჯარო ბიბლიოთეკის გამწარებული თანამშრომლები, როგორ იმუქრებოდნენ პარლამენტის კიბეებზე ჩამოჯდომით. დირექტორის მოადგილემ, ქალბატონმა ლეილა ზამბახიძემ ინტერვიუზე მისულ ტელეჟურნალისტს ნაღვლიანად უთხრა: „რა ვქნათ, არ შეგვარგეს დირექტორიო“.

— ბატონო ალეკო, თქვენ როგორ მიიღეთ ეს ამბავი?

— გული დამწყდა. მაგრამ ბედნიერ კაცად მიმაჩნია თავი, იმ კოლექტივში რომ მომიწია მუშაობა, ისეთ ხალხთან, სულ მცირე სიკეთეს ათმაგად რომ მოგიზღავენ. უნდა გითხრათ, რომ საჯარო ბიბლიოთეკას მაინც არ მოვწყდები. და ამით განათლების სისტემა მხოლოდ მოიგებს.

— ახლადდანიშნულმა მინისტრმა საინსპექციო მოგზაურობა სამეგრელოდან დაიწყეთ.

— დიახ. სწავლის დაწყების წინ ყველაზე მძიმე ვითარება ზუგდიდში იყო: იქ 42 სკოლის შენობა აფხაზეთიდან ლტოლვილებს ჰქონდათ დაკავებული. სასწრაფო ზომები იყო მისაღები ჩვენ გაჭირვებულ მოძმეთა სხვა, საცხოვრებლად ვარგის (გასაძლის!) შენობებში გადასაყვანად. ბატონები ბონდო ჯიქია, ვალერი ვაშაკიძე, ქალაქების მერები, ვიცე-მერები ბევრს მუშაობენ ამ საკითხის მოსაგვარებლად. ახლა სოფლებში უკვე მოხერხდა სკოლების გამოთავისუფლება. უარესად გვაქვს საქმე ქალაქებში — ზუგდიდში, ინგირში... შენობები რომ იცლება, სასწრაფოდ უნდა მოხდეს მათი სათანადო დამუშავება — შეკეთება, სანიტარიულ-ჰიგიენური ღონისძიებების გატარება. დრო არ იცლის.

— შემდეგ მოგზაურობას საით გეგმავთ?

— ამ დღეებში ცხინვალში მივემგზავრები. იმ მხარეს თავისი დიდი პრობლემები აქვს.

— დიახ, პრობლემები საკმაოზე მეტია. და მაინც, როგორ ფიქრობთ, მუშაობა საიდან უნდა დაიწყოთ?

— საიდან დავიწყო... იცით, ამ კითხვას მე თვითონ ვუსვამ ხოლმე საკუთარ თავს. ყველგან იმდენი რამ არის მოსაგვარებელი... და ეს არავის ბრალი არ არის. ეს ჩვენი ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის შედეგია.

— და მაინც, გარკვეული პრიორიტეტული მიმართულებები თქვენთვის, ალბათ, განსაზღვრული გაქვთ.

— ყველაზე მთავარი — მასწავლებლების გასაძლისი სამუშაო და საცხოვრებელი პირობების შექმნაა. ალბათ, მოგეხსენებათ, ბევრგან პედაგოგებს რამდენიმე თვეა, ხელფასი არ მიუღიათ. ის მათ ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა გადაუხადოს, მაგრამ ვერ (თუ არ) უხდის. და მაშინ მასწავლებლები სამინისტროს მიმართავენ, მაგრამ ეს მისამართი სწორი არ არის. თუმცა ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ სამინისტრო შორიდან მაყურებლის როლში იყოს. უნდა გავააქტიუროთ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ურთიერთობა. ეს პრობლემა ჩვენთვის ძალზე აქტუალურია.

— თუ ნებას მომცემთ, ერთ აქტუალურ პრობლემას მეც შეგახსენებთ: მეათე, მეთერთმეტე კლასებში სწავლის საფასურის გადახდა ბევრ ოჯახს, განსაკუთრებით, — მრავალშვილიანს, არ შეუძლია. მშობლებს ფული არა აქვთ, ყმაწვილს კი სწავლა სწყურია...

— ამის თაობაზე კანონი უკვე მიღებულია. სწორია? არა სწორი? მაგრამ ასეთია რეალობა. ისევ და ისევ ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელი მდგომარეობის გამო. სხვათა შორის, სწავლის მოყვარული, წარჩინებული მოსწავლეები გათავისუფლებულნი არიან გადასახადისაგან.

— მაგრამ არის კი გარანტია, რომ სკოლებში ყოველთვის ობიექტურად შეარჩევენ ნიჭიერებს და ბეჯითებს, არ იქნება მიკერძოება, უპოვართა დაჩაგვრა?

— ეს არ უნდა მოხდეს. მერწმუნეთ, თუ ამგვარი ფაქტები გამოვლინდა, რეაგირება უმკაცრესი იქნება.

ვიცი სკოლას უჭირს და ბევრი მისი ნაკლი, ხარვეზი ამ გაჭირვებით არის გამოწვეული. მაგრამ ისიც უნდა გითხრათ, რომ თვით სკოლებზე — მათ დირექტორებზე, მასწავლებლებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ჩვენში ისევ ძველი მენტალიტეტი ცოცხლობს, საბჭოეთის დროინდელი.

მაგრამ ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ახლა ჩვენც, მისმა მოქალაქეებმა უნდა ვისწავლოთ დამოუკიდებელი ცხოვრება და აზროვნება. თუ სულ გულხელდაკრეფილი ვისხედით და ვიძახეთ, რა ვქნათ, ბიუჯეტში ფული არ არისო, ნამდვილად არაფერი გვეშველება. პირადი ინიციატივა ახლა ძალიან ძვირად ფასობს, — თითქოს გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსავლის მოძებნა, უჩვეულო გზით (თითქოს არსაიდან!) რაღაცის მოპოვება. ყველა ეპოქაში, ყველა სახელმწიფოში, მით უმეტეს — ძნელბედობის ჟამს, ასეთი ადამიანები გადაარჩენდნენ ხოლმე ქვეყანას, და, საბოლოოდ, ისინი წარმართავდნენ კაცობრიობის პროგრესს. ჩვენთან კი როგორ ხდება? კაცმა რაღაც მოიფიქრა, კარგად აწონ-დაწონა, დარწმუნდა თავისი იდეის ღირებულებაში და ახლა საქმეს უნდა შეუდგეს, მაგრამ... ახლა იმაზე დაიწყებს ფიქრს: კი მაგრამ, დამრთავს კი ამის უფლებას ესა და ეს უწყება, ესა და ეს ადამიანიო? ფიქრობს, ფიქრობს... ამასობაში ძვირფასი დრო იკარგება. იკარგება იმ იდეის ხორცშესხმის შესაძლებლობაც...

უნდა ვისწავლოთ დამოუკიდებელი აზროვნება, უნდა ვისწავლოთ წინააღმდეგობის გადალახვა, მე, ჩემდა თავად, ვეცდები, რომ ყველა ახალი, ღირებული იდეის განხორციელებას წინ ვერაფერი აღუდგეს, ყველაფერს შემოქმედებითად მივუდგეთ.

განათლების სფეროში საბოლოო ინსტანცია განათლების სამინისტრო კი არა — სკოლაა. მასწავლებელი რომ კლასში შევა და კარს მიიხურავს, ეს იმის ნიშანია, რომ მას სახელმწიფოსგან უდიდესი ნდობა აქვს გამოცხადებული.

— ...თქვენ პრიორიტეტულ მიმართულებებზე მეკითხებოდით. ერთ-ერთი გამოკვეთილი ჩემთვის პროფსასწავლებლებია, ხომ გახსოვთ, არც ისე შორეულ წარსულში პროფტექსასწავლებლების რა შესანიშნავი სისტემა გვქონდა, საერთაშორისო მასშტაბით თავმოსაწონი სისტემა. ახლა ის უმძიმეს დღეშია: უქმდება, ერთმანეთს ერწყმის სასწავლებლები, არადა, ისინი ქვეყნისთვის ესოდენ აუცილებელ, მაღალპროფესიონალ ოსტატებს უშვებდნენ. გავა წლები და თითზე კბენას დავიწყებთ: სანთლით საძებარი გაგვიხდება სპეციალისტი, ხელოსანი. შეიძლება მათი იმპორტიც დაგვჭირდეს... ჩემი უპირველესი მიზანია, როგორმე გადარჩეს პროფსასწავლებელთა ქსელი. როგორ, რა ხერხებით, ამაზე ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. თქვენ იცით, რა მოულოდნელი იყო ჩემთვის მინისტრის პოსტი. მე ჯერ სრულყოფილი პროგრამაც არა მაქვს, მხოლოდ მონახაზები, ცალკეული პრობლემების მოგვარების გზები. მოგეხსენებათ, სახლს რომ აშენებ, ჯერ საძირკველი უნდა მოამზადო.

— თუ თქვენი წინანდელი სამსახურით ვიმსჯელებთ, დიდხანს საძირკვლის ჩაყრას (შემდგომ — შენობის ამოყვანასაც) არ უნდა მოუნდეთ.

— ღმერთმა გისმინოთ. მაგრამ, მოდით, ისევ პრობლემებს მივუბრუნდეთ.

— ...თუნდაც ფასიან უმაღლეს სასწავლებლებს.

— ამ საკითხზე მე ჩემი შეხედულება მაქვს. თუმცა ფასიან (ეგრეთწოდებულ საერო) სასწავლებლებს ოპონენტები გაცილებით მეტი ჰყავს, ვიდრე მომხრეები, მაგრამ მათ, გარკვეულ ეტაპზე მაინც, ცუდი სამსახური როდი გაუწიეს საზოგადოებას ჯერ ერთი იმით, რომ საყოველთაო სიდუხჭირის ჟამს, იმ მძიმე წლებში, მათ სამუშაო, დამატებითი სახსრები მისცეს და ამით გადაარჩინეს ბევრი ჩვენი სახელოვანი მეცნიერი, პედაგოგი. ასევე გადაარჩინეს ქუჩის დამღუპველ გავლენას, უსაქმურობას (საყოველთაო უმუშევრობისას სკოლადამთავრებული ყმაწვილი რა სამუშაოს იშოვნიდა!) ახალგაზრდები. ჩვენი მშობლები ხშირად უკანასკნელს გაიღებენ ხოლმე იმისათვის, რომ შვილს განათლება მიაღებინონ. ჩვენს საზოგადოებაში მათ ამ სურვილს მეტწილად ნეგატიურ ასპექტში უყურებენ, დასცინიან კიდეც (და ეს ლამის ტრადიციად იქცეს!). მე კი ვფიქრობ, რომ ბედნიერებაა, როცა ქვეყანაში ასეთი ტენდენცია არსებობს: მშობელს სურს განათლებული შვილი ჰყავდეს! სხვათა შორის, საქართველო ამ მხრივ ძალიან დადებითად გამოირჩევა მსოფლიოს მრავალი ქვეყნისაგან.

სხვა საკითხია, თუ ფასიან სასწავლებლებში სასწავლო პროცესი უხეიროდ წარიმართება: ლექტორები ლექციებს აცდენენ, სტუდენტებს არ სურთ ლექციებზე დასწრება, ოჯახი ტყუილად ხარჯავს სახსრებს, ყმაწვილი დროის ფლანგვას ეჩვევა. მაგრამ ამგვარი სასწავლებლები დიდხანს ვერ იარსებებენ. საამისო მექანიზმი არსებობს აკრედიტაციის საბჭოს სახით. სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომის გაცემა მხოლოდ აკრედიტირებულ სასწავლებლებს შეეძლებათ.

— უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში, კოლეჯებში სულ უფრო და უფრო მეტი ახალგაზრდა მიემგზავრება განათლების მისაღებად. ამაზე რა აზრისა ბრძანდებით?

— პასუხი შეიძლება მხოლოდ ასეთი იყოს: მივესალმები. მივესალმები, რადგან უცხოეთში ჩვენი ყმაწვილები მარტო ჩინებულ განათლებას კი არ იძენენ, — ისინი ყოველდღიურ ყოფაში ჭეშმარიტ დემოკრატიას სწავლობენ.

— ღმერთმა ხელი მოუმართოთ. იმ სვებედნიერი ყმაწვილების გარდა, საქართველოს ჰყავს უდედმამო, უპატრონო ბავშვებიც.

— დიახ, საუბედუროდ, ჰყავს, და არც თუ ცოტა, ჩვენი დიდი საზრუნავი და სატკივარიც ეს არის... წინათ, თუ გახსოვთ, ეს საკითხი გაბუნდოვნებული იყო. მასზე წერა, ლაპარაკი არ შეიძლებოდა. ახლა უდედმამო ბავშვები სასაუბრო თემად იქცა. თუ გნებავთ, ერთ-ერთ თემად სალონურ საუბარში და მაინც, ეს ბევრად უკეთესია იმასთან შედარებით, რაც იყო, რადგან იმის საწინდარია, რომ ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემა მართლაც საზრუნავი შეიქნას თითოეული ჩვენი მოქალაქისათვის, ყველა ჩვენგანისათვის. დადგება თუ არა ეს მომენტი, ერთბაშად მოგვარდება ყველაფერი. მთავარია, ეს დრო მოვიახლოოთ. მე ვეცდები, ყველაფერი გავაკეთო ამისათვის.

— ორიოდ დღეში სექტემბრის ზარებს ჩამორეკავენ. თქვენთვის — განათლების მინისტრისთვის — პირველი სასწავლო წელი იწყება. როგორც გავიგე, გუშინ ორი სკოლის დირექტორი დაგინიშნავთ: კახეთში — ქვემო მაჩხაანში და რაჭაში — ჭრებალოში.

— დიახ, ჩვენ, სამივენი, დიდ და ქვეყნისთვის მნიშვნელოვან სამუშაოს შევუდექით. ჩვენთან ერთად კი მთელი საქართველოს მოსახლეობა: პედაგოგები, დირექტორები, განათლების სისტემის ყველა მუშაკი, მოსწავლე ახალგაზრდობა, მშობლები. დასაწყისისათვის ერთი კონკრეტული რჩევა მინდოდა მიმეცა მშობლებისთვის: ნუ იყიდით სახელმძღვანელოს, თუ მასზე განათლების სამინისტროს გრიფი არ იქნება.

ხომ არ გადავღალეთ გაზეთის მკითხველი ამდენ პრობლემაზე საუბრით? მაგრამ ახლა სახელმძღვანელო ვახსენე და უნდა მოგახსენოთ: კარგია, რომ დადგა დრო, როცა არსებობს ალტერნატიული სახელმძღვანელოები და ჩვენს მასწავლებლებს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მიეცათ. ეს მიღწევაა.

— მგონი, პრობლემებზე საუბარი უკვე დავამთავრეთ, არა? მოდით, ახლა მხოლოდ სასიხარულოზე ვილაპარაკოთ. ასეა თუ ისე, ხვალ-ზეგ პირველი სექტემბერია.

— და მაინც ერთზე არაფერი მითქვამს — მთის სოფლის სკოლაზე. ეს ძალიან სერიოზული და გადაუდებელი საქმეა. დიდი ძალისხმევა უნდა მოვახმაროთ მაღალმთიან რეგიონში სკოლების შენარჩუნებას. სამინისტროში არსებობს ამ საკითხისადმი გარკვეული კონცეპტუალური მიდგომა. ეს სკოლები თუ ვერ გადავარჩინეთ, მთა დაიცლება.

ახლა პირველი სექტემბრის ზარები ხმიანებს საქართველოში. რიხიანად რეკავს ელექტროზარი პრესტიჟულ სკოლაში, რომლის ფართო და ნათელ ოთახებში ორმოცდახუთი და ზოგჯერ მეტი მოსწავლეც მიჯდომია სასწავლო მერხს; წკრიალებს ძველი და პატარა ზარი ასეთივე ძველი და პატარა სკოლის პარმაღზე, სადაც საკლასო ოთახებში ყმაწვილები სულაც ერთი ხელის თითებზე ჩამოითვლება. მაგრამ განა მთავარი ეს არის? მთავარია, სოფელში ზარი მაინც წკრიალებს.

რეკავენ ზარები და მათი მრავალხმიანობა, როგორც მშვენიერი სიმფონია, ეფინება ჩვენი მრავალჭირგადანახადი ქვეყნის ზეცას. და მე ვიცი, არის დირიჟორი, რომელიც დაჟინებით მიაყურადებს ამ დიდ და თვალითუხილავ ორკესტრს, რომ არც ერთი საკრავი, სულ, სულ პატარა სალამურიც არ გამოაკლდეს ამ დიდებულ მრავალხმიანობას.

ნანული ბარათაშვილი.

ღირსების ორდენის კავალერი

მასწავლებელთა მასწავლებელი

ჭიათურის განათლების სფეროს წლების მანძილზე ხელმძღვანელობს საქართველოს დამსახურებული პედაგოგი ნანული წერეთელი. მას კარგად იცნობს 15 საკრებულოს 70000-მდე მცხოვრები. იცნობს თავისი გარჯით, პასუხისმგებლობით და განათლების სისტემისადმი ერთგულებით.

მის დამსახურებაზე ადრეც მინდოდა მომეთხრო, რომ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებამაც მომისწრო. ჭიათურის განათლების განყოფილების გამგე ნანული წერეთელი აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების საქმეში პირადი დიდი წვლილის შეტანისათვის, სწორედ ახლახან, ივლისის თვეში ღირსების ორდენით დაჯილდოვდა:

ნანული წერეთელი ჭიათურაში კარგად ცნობილი გრიგოლ და ნინა წერეთლების სათნო ოჯახში გაიზარდა. მშობლიური ქალაქი მხოლოდ ერთხელ დატოვა, როცა უმაღლესი განათლების მისაღებად თბილისში ჩამოვიდა. თითქმის 4 ათეული წელიწადია პედაგოგის მძიმე ტვირთს ატარებს. კარგა ხანს, გერმანული ენის სპეციალისტი, ჭიათურის საშუალო სკოლის დირექტორი გახლდათ. 15 წლის წინათ განათლების განყოფილების გამგედ გადაიყვანეს, ამ ხნის მანძილზე 1200 მასწავლებელს მასწავლებლობს და 11200 მოსწავლის აღზრდა-განათლების საქმეს განაგებს ჭიათურის რაიონში. მისი ყურადღება, კონტროლი თუ დახმარება სწვდება 28 საშუალო, 16 საბაზო, 13 დამოუკიდებელ სკოლას. 2 გიმნაზიას, 2 ლიცეუმს და 3 ელემენტარულ სკოლას. 20 სკოლამდელი დაწესებულებიდან 7 საბავშვო-ბაღი სოფლადაა, ხოლო 13 თავად ქალაქ ჭიათურასა და მაღაროელთა დასახლებაშია.

განათლების განყოფილების გამგეს არც ერთი სიახლე არ რჩება ყურადღების მიღმა. თვალს ადევნებს რეფორმის მიხედვით სად რა ინერგება განათლების სისტემაში. შეიტყო თუ არა, თემურ შაშიაშვილის ქუთაისის მერობის დროს საქართველოში ყველაზე უწინ ქუთაისმა დაიწყო ქალაქის განათლების სისტემის გარდაქმნა რეფორმის მიხედვით, რომ უპირველეს ადგილს ქუთაისელები ამ დარგს უთმობდნენ, მაშინვე გააცნო კოლეგებს „ქუთაისური მოდელი“. მოწინააღმდეგეც ბევრი ჰყავდა, მაგრამ თავისი გაიტანა და სასკოლო რეფორმას ჭიათურაში ნოყიერი ნიადაგი მოუმზადა და ღრმადაც გაადგმევინა ფესვები. მოკლე დროში განათლების სისტემის გარდაქმნის მტკივნეულ პროცესსაც უწამლა შეძლებისდაგვარად და ყველასა და ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა. სწორად წარმართა პედაგოგთა ატესტაციის პროცესი და დღეს ჭიათურაში უმაღლესი და პირველი კატეგორიის 330 პედაგოგია.

პედაგოგთა შრომის დროული ანაზღაურება ერთ დროს, აქაც დაუძლეველ პრობლემად იქცა, მაგრამ ყველაფერი გაკეთდა საქართველოს პრეზიდენტის ყურადღებითა და ადგილებზე მისი რწმუნებულის დახმარებით; არადა იყო შემთხვევები, როცა მასწავლებლებს 5-6 თვის ხელფასი არ ჰქონდათ მიღებული, მაგრამ პედაგოგებს სკოლა და მოსწავლეები არ მიუტოვებიათ. ამის გამო გაფიცვის მცდელობაც იყო, მაგრამ საბოლოოდ საღმა აზრმა გაიმარჯვა. ამჟამად ხელფასები, ზაფხულის შვებულების ჩათვლით, ჭიათურელმა მასწავლებლებმა უკვე მიიღეს.

ახალ სასწავლო წელს სიახლეებით ხვდება განათლების განყოფილება. ქალაქში დაფუძნდა კიდევ ერთი გიმნაზია. ლიცეუმისათვის შეირჩა ბაზა. ქალაქში გაიხსნა პირველი ელემენტარული სკოლა. მოსახლეობის მოთხოვნით მალე გაძლიერებული უცხოური ენების დაწყებითი სკოლაც გაიხსნება. სექტემბრიდან დაიწყება კონკურსისთვის მზადება — „წლის საუკეთესო პედაგოგი“. განათლების განყოფილება სექტემბრის თვიდან ახალი გაზეთის „ლამპარის“ გამოშვებასაც იწყებს.

ჭიათურელებმა ყველა დამსახურებისათვის ნანული წერეთელი ქალაქის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს. იგი ხელმძღვანელობს „ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ საქალაქო ორგანიზაციასაც.

სოზარ კუპატაძე,
„სრ“ საკ. კორ.

სურათზე: ნანული წერეთელი.

დედაკაცი

ხელმძღვანელის ხელი

წარსულში დიდი ტრადიციების მქონე მანგლისის ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელობის პირველი ქართული საშუალო სკოლა ლამის საუკუნეს აღწევს. მესამე წელიწადია, მას სათავეში მზია აბულაძე ჩაუდგა. საქმიანი ქალია სკოლის დირექტორი, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული. საოცრად ენერგიულია და კარგი ავტორიტეტითაც სარგებლობს მანგლისის მოსახლეობაში. კოლეგების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების სიყვარულით არის გარემოსილი.

სკოლის ეზოდანვე იგრძნობა წესრიგი, — მარტო მე რას გავხდებოდი, გვერდით კარგი პედკოლექტივი და ტექნიკური პერსონალი რომ არ მყავდესო, — ამბობს იგი და უკვე გაკეთებულსა და სამომავლო საქმეებზე მიამბობს, კაბინეტ-ლაბორატორიებს მიჩვენებს.

მანგლისის პირველი სკოლა კაპიტალურად აგებულ ორსართულიან შენობაშია განთავსებული. ნათელ საკლასო ოთახებს, კაბინეტ-ლაბორატორიებს — ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიის, ისტორიის, ბიოლოგიის, უცხო ენის, ინფორმატიკის, სამხედრო მომზადების, შრომის, ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტებს... ყველაფერს ატყვია მზრუნველი ხელი.

სკოლას აქვს მშვენიერი ფიზკულტურის დარბაზი, საკუთარი სტადიონი, საცდელი ნაკვეთი. ჰყავს საკუთარი სასწავლო სატვირთო ავტომანქანაც. აქ მოსწავლეები ავტოსაქმეს ეუფლებიან.

ბევრი რამ კეთდება მისი მცდელობით, რაც მთავარია გარემონტდა დაზიანებული ნაგებობა, კაბინეტ-ლაბორატორიები, შეიცვალა კანალიზაციის მილები. ყველაფერ ამას სახსრები სჭირდებოდა, სკოლას კი ის არ გააჩნდა, ამიტომ მასწავლებლებს ბევრი რამის მოტანა შინიდან უწევდათ. მაგალითად — შიფერის, დაზიანებული სახურავის შესაკეთებლად, საკანალიზაციო მილების, ცემენტისა და სხვა საჭირო მასალების მოძიება-მოტანა. თვითონ აღადგინეს დაზიანებული კედლები და შეღებეს კიდეც. ფანჯრების შესამინი თანხა სკოლას მანგლისის გამგებელმა ვახტანგ მჭედლიძემ გამოუყო.

— მხარში გვიდგას მანგლისში არსებული ყველა სამსახური, — ამბობს მზია აბულაძე, — პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა საკუთარი მანქანებით მოგვიზიდეს შეშა, დახერხეს და სათავსშიც დაგვიწყვეს. გვეხმარებიან მოსწავლეთა მშობლებიც, თეთრი წყაროს გამგებელი ვახტანგ ზანგურაშვილი დაგვპირდა ხელფასებს დროულად მიიღებთ და სკოლისათვის სარემონტო თანხებსაც გამოგიყოფთო.

მზია აბულაძემ, თავდაპირველად, პროფესიად იურისტობა აირჩია, შემდგომ მოწოდებამ გადასძალა და თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა ისტორიის სპეციალობით. მანგლისელების რძალია, ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

დირექტორს მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში გვერდით ნამდვილი პროფესიონალი პედაგოგები უდგანან. წარმატებას მარტო ცოდნით კი არა, კოლეგიალობითა და ურთიერთთანადგომით აღწევენ, ისინი ბევრნი არიან და, დირექტორის თხოვნის მიუხედავად, მათ აქ ვერ ჩამოვთვლი.

მათი მცდელობით თავად სკოლა საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობს: ეწყობა შიდა სასკოლო საგნობრივი ტურები ქართულ ენაში, მათემატიკაში, ისტორიაში, გეოგრაფიასა და ბიოლოგიაში; შარშან აქაურმა მოსწავლეებმა ქართული ენისა და ისტორიის რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე გაიმარჯვეს. მუშაობს ცეკვის, საგუნდო მუსიკის წრეები, სპორტული სექცია კარატეში. უფროსკლასელებთან ექიმი კონსულტანტი მუშაობს, გარდატეხის ასაკის თავისებურებების გათვალისწინებით ესაუბრება მოსწავლეებს, სამართლებრივი აღზრდის საკითხებზე კი მოზარდებთან მანგლისის ბავშვთა ოთახის ინსპექტორი მუშაობს.

თეთრი წყაროს რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა რომან დალაქიშვილმა მანგლისის ქართული საშუალო სკოლის მოსწავლეები პარლამენტს ასტუმრა. იმავე დღეს ყმაწვილებმა დაათვალიერეს საქართველოს ხელოვნების მუზეუმი, მცხეთის ღირსშესანიშნაობები.

— თქვენზე ამბობენ მკაცრია, მაგრამ ობიექტურიო, — ვეუბნები ქალბატონ მზიას.

— თუ ასე ამბობენ, გამოდის უქმად არ მივლია სამსახურში. 400 მოსწავლისათვის პასუხისმგებლობა მაიძულებს, მარტო სხვების მიმართ კი არა, საკუთარი თავისადმიც მკაცრი და მომთხოვნი ვიყო.

სამი შვილის დედამ, დირექტორობის დროსაც, საკუთარი შვილების მაყურებელი თვალით უნდა უყუროს მოსწავლეებსაც: არც მომთხოვნელობა უნდა მოაკლოს და არც სიყვარული.

ვალენტინ მელიქოვი,
მანგლისი.

პირველი წარწერა დაფაზე

„გმადლობთ ამ სიხარულისთვის!“

დედაქალაქი სიახლით ხვდება პირველ სექტემბერს, 12 წელიწადია ახალი სკოლა არ აშენებულა თბილისში. და აი, პირველი სექტემბრის პირველი სიხარული, — ახალი თანამედროვე ტიპის სამსართულიანი სკოლის შენობა შეემატა. რიგით 158-ე საშუალო სკოლა დღეს ახალ მოსახლეობას ზეიმობს (დირექტორი ნადია ზაკალაშვილი).

ვაშლიჯვარელები კარგა ხანია ელოდნენ წლების წინ დაწყებული მშენებლობის დასრულებას. თავდაპირველად გათვალისწინებული იყო სკოლის რამდენიმე კორპუსის აშენება. წელს კი მერიამ მშენებლობას 350 ათასი ლარი გამოუყო და ერთი კორპუსის დასრულება მოხერხდა: სკოლა მთლიანად ჩეხეთიდან ჩამოტანილი ინვენტარით, ავეჯით დაკომპლექტდა. სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტი 600-მდე გაიზარდა. საკლასო ოთახში დაფაზე პირველი წარწერაც გაჩნდა: — „გმადლობთ, ამ სიხარულისთვის!“.


გმადლობთ, ამ სიხარულისთვის!

ჯემალ კასრაძის ფოტო.

რწმენა

ბავშვის სული ღიაა „სტუმრის“ მისაღებად

სათნო გარეგნობის ახალგაზრდა პედაგოგი ხათუთი ხვედელიძე მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით რესპუბლიკურ კონფერენციაზე მოსწავლეებმა წარმოაჩინეს. ისინი „რელიგიისა და კულტურის“ სექციებში აქტიურობით გამოირჩნენ, ხოლო 8 წლის მანძილზე საქართველოს სასწავლებლებში ღრმად ფესვგადგმული მოსწავლეთა შემოქმედებით კონფერენციებში აქტიური მონაწილეობისათვის, მათი პედაგოგი საორგანიზაციო კომიტეტმა დიპლომითა და ტელევიზიით დააჯილდოვა, ადრე კი, დედაქალაქის მერიის განათლების მთავარმა სამმართველომ 67-ე სკოლის ეს ახალგაზრდა პედაგოგი წლის საუკეთესო მასწავლებელთა კონკურსში გამარჯვებულებს შორის ერთ-ერთ საუკეთესოდ აღიარა.

ხათუთი ხვედელიძემ ჭიათურის მე-5 სკოლის შემდეგ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა და სკოლაში დაიწყო მუშაობა.

—„მასწავლებლობა ჭიათურაში ჩემი ქართულის მასწავლებლის შუშანა რამიშვილის სიყვარულით ავირჩიე. სკოლა და მოსწავლეები რომ არა, არ ვიცი რა მეშველებოდა. ჩემს ოჯახში რელიგიის მიმდევარი არავინ იყო, არც ბიბლიით გავზრდილვარ; როგორღაც ჩემი ბავშვობისას თავისთავად მოვიდა რწმენა, ღმერთის ძალა და იმედი. ჩვენთვის მაშინ მიუწვდომელი იყო რელიგიური ლიტერატურის კითხვა, ბიბლიის გაცნობა...

ჭიათურაში არის კლდეში გამოკვეთილი უძველესი მონასტერი, მაგრამ იქ ასვლა მოსწავლეებს აკრძალული გვქონდა, — იხსენებს ის და დღემდე არ ავიწყდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გვანცა კოპლატაძის საუბრები, გრივერ ფარულავას მკაცრი, აუღელვებელი ტონით წაკითხული ლექციები, რომლებმაც მას ეკლესიისაკენ უბიძგეს, და ის რწმენა, რომელიც ბავშვობიდანვე იდგამდა ფესვებს, თანდათან გაიშალა და საბოლოოდ ჩამოუყალიბდა.

როცა საქართველოს სკოლებში რელიგიის სწავლება შემოიღეს, იმ კურსების მსმენელი გახდა, რომელსაც პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ამ საგნის მასწავლებლები სასულიერო სემინარიაში ისმენდნენ.

თავად ასე სწამს:

—„ბავშვმა, რომ დაგიჯეროს, საკუთარი მაგალითით უნდა დააჯერო. სკოლაშიც ხელს მიწყობენ, ისე ავაწყო ამ საგნის სწავლება, მოსწავლეს ცხოვრებაში თავისი ადგილი ვაპოვნინო, დავეხმარო საკუთარი თავის შეცნობაში. ეს ძალზე მნიშვნელოვანია დღეს.

„რელიგიის ისტორიის“ მასწავლებლები, ძირითადად ეკლესიის წევრები ვართ, პედაგოგებს გვეხმარება ამ საგნის პირველი სახელმძღვანელო, რომლის ავტორია რეზი თვარაძე. სწავლების მეთოდიკა კი ჯერ არ არსებობს, მას თვითონ დღითი-დღე, გაკვეთილებზე ჩვენ თავად ვქმნით. რაკი ორივეს ერის სულიერი სიწმინდის დაცვა ევალება, სკოლა და ეკლესია ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში უნდა იყვნენ. ჩემს სკოლას ეკლესიასთან ურთიერთობა არ უჭირს. იგი თბილისის ძველ უბანში, ლესელიძის ქუჩაზე მდებარეობს, რომელი საკლასო ოთახიდანაც არ უნდა გაიხედოთ, ეკლესიის გუმბათი მოჩანს. გაკვეთილებზე მისი ზარების რეკვა გვესმის და, რა თქმა, უნდა ჩვენზეც გადმოდის ღვთიური მადლი. კარის წმინდა გიორგის ეკლესიის მოძღვარი მამა ლევან ფირცხალაიშვილი ყურადღებითაა ჩვენს მიმართ, მან სკოლას წმინდა გიორგის გამოსახულებიანი გობელინი აჩუქა, რითაც ძალიან გაგვიხარეთ“ — ამბობს ხათუთი ხვედელიძე.

როცა დედაქალაქში საუკეთესო მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად კონკურსი გამოცხადდა, სამონაწილეოდ სკოლამ ის წარადგინა. „რელიგიის ისტორიის“ მასწავლებელმა იცოდა კონკურსის მკაცრი წესები. ცოტა არ იყოს შეკრთა კიდეც ახალგაზრდა პედაგოგი. დებულებით კონკურსის მონაწილეს გაკვეთილი სხვა სკოლაში უნდა ჩაეტარებინა, სადაც დაესწრებოდნენ დედაქალაქის ამ საგნის საუკეთესო მასწავლებლები, მეთოდისტები, თბილისის მერიის განათლების მთავარი სამმართველოსა თუ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და ხელოვნების ინსტიტუტის წარმომადგენლები. გაკვეთილი მე-3 ქართულ გიმნაზიაში ჩაატარა. გიმნაზიის დირექტორის ოთარ თეთვაძის ყურადღება არ მოკლებია კონკურსის მონაწილე სხვა სკოლის ახალგაზრდა პედაგოგს. ოპერის თეატრში გამართულ დედაქალაქის მასწავლებელთა ზეიმზე კი საზეიმოდ გამოაცხადეს კონკურსში გამარჯვებულთა შორის ხათუთი ხვედელიძის გვარი, საჩუქარიც გადასცეს.

— ახლახან საპატრიარქომ სადვთისმეტყველო ჯგუფი გახსნა, რომელიც X-XI კლასების მოსწავლეებით კომპლექტდება... სურვილი, ამ ჯგუფის მსმენელი გამხდარიყო, თითქმის მისმა ყველა მოსწავლემ გამოთქვა.

—„ თავიდან, როცა „რელიგიის ისტორიის“ სწავლება მაღალ კლასებში შემოიღეს, ძალიან გამიჭირდა, ბავშვებს არავითარი რწმენა არ გააჩნდათ და ძნელი იყო მათი მოქცევა“ — ამბობს იგი და ისე, როგორც ადრე, წლეულსაც გულმოდგინედ მოემზადა ახალი სასწავლო წლისათვის.

პედაგოგის აზრით მისთვის მთავარი მოსწავლეების სიყვარულია, რომელსაც კარგად გრძნობს ხათუთი მასწავლებელი. თავადაც ჰყავს გამორჩეული მოსწავლეები ჭეშმარიტად მართლმადიდებლური რწმენის გზას რომ ადგანან და მთელი შეგნებით ეკიდებიან ამ საგნის სწავლებას. ახალგაზრდა პედაგოგი X-XI კლასებში ქართულ ენასა და ლიტერატურასაც ასწავლის. ამ საგნის სწავლებისას საჭიროებისამებრ ბიბლიასთან ავლებს ხოლმე პარალელებს, ამას კიდევაც მოითხოვს მოსწავლეებისათვის ქართული ლიტერატურის შედევრების „შუშანიკის წამების“, „აბო თბილელის“, „გრიგოლ ხანძთელის“, „ვეფხისტყაოსნის“, „დავითიანის“ ახსნა.

თავად ასე სწამს:

—„არაფერია უფრო დიადი და მშვენიერი, ვიდრე უფალი ადამიანის სულში! თუ არ დავეხმარებით, ხელს მაინც ნუ შევუშლით, რომ ბავშვის სულის კარი ღია იყოს ამ „სტუმრის“ მისაღებად.

—„კაცთმოყვარე ღმერთმა სასჯელის შემსუბუქებისა და სიკვდილის შიშის მისუსტების მიზნით, კაცობრიობას ახალშობილები მოუვლინა, ხატად და იმედად მომავალი აღდგომისა“ — გვასწავლის იოანე ოქროპირი, — ბავშვი ნორჩი ხეა, საითაც გადავხრით, იქით გაიზრდება და ვაი მას, ვინც ცოდვილთა ნუგეშს მრუდედ ნაზარდ ხეს დაამსგავსებს. მას ყველა ცოდვილზე მეტად მოეკითხება“ — ამბობს ახალგაზრდა პედაგოგი და კვლავ ჩვეული მონდომებით ემზადება მოსწავლეებთან შესახვედრად...

ნათელა ფაილოძე,

სურათზე: ახალგაზრდა პედაგოგი მოსწავლეებთან ერთად ქაშვეთის ეკლესიის კართან.

საქართველოს რესპუბლიკა
№223. სამშაბათი, 1 სექტემბერი, 1998 წელი.

წყვდიადიდან - წყალში

რუსეთი იძირება. და ეს — მხოლოდ ფოტოზე მოჩანს ლამაზად.

დაშნაკები: „რა ვაკეთოთ?“

ერევანში მუშაობა დაამთავრა სომხეთის „დაშნაკცუტუნის“ პარტიის ორგანიზაციის უმაღლესმა კრებამ. კრების გახსნას დაესწრო რესპუბლიკის პრეზიდენტი რობერტ ქოჩარიანი. „რა და როგორ ვაკეთოთ?“ — ასე დააყენა საკითხი სომხეთის „დაშნაკცუტუნის“ პარტიის უმაღლესი ორგანოს წარმომადგენელმა ვან ოვანესიანმა. მან განაცხადა, რომ დღეს, ისევე როგორც ათი წლის წინათ, პასუხი უნდა გაეცეს უკვე დიდი ხნის წინათ მომწიფებულ და ჯერაც გადაუწყვეტელ საკითხებს. ამავე დროს მან გამოთქვა რწმენა, რომ ყოველთა დაშნაკთა მხოლოდ უმაღლესი კრება მიიღებს მათზე სწორ, მაგრამ „არასასურველ“ გადაწყვეტილებას. წარმოდგენილი იყო პარტიის ძირითადი ამოცანები, გამოითქვა რწმენა, რომ მთავრობა ყურადღებით შეისწავლის პარტია „დაშნაკცუტუნის“ ორგანიზაციის თითოეულ გადაწყვეტილებას, გაუწევს შესაბამის დახმარებასა და მხარდაჭერას. კრება დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

მსოფლიოს ინფორმაციული მოზაიკა

ვაშინგტონი. „ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ რუსეთმა მოაწესრიგოს თავისი ფინანსური საქმეები და დაიწყოს რუბლის, სახელმწიფო ვალისა და საბანკო სისტემისადმი ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც რუსეთს დაუბრუნებს ფინანსურ სტაბილურობას“, — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯეიმს ფოულიმ.

ტოკიო. მიმდინარე წელს ყველაზე დაბალ დონეზე დაეცა ტოკიოს საფონდო ბირჟაზე ნიკეის ინდექსი, რომელიც ასახავს იაპონიის 225 წამყვანი კომპანიის აქციების საერთო დონეს. დილის ვაჭრობის დროს იგი 3,03 პროცენტით დაეცა და მიაღწია 14.415 პუნქტის დონეს. წელს წინა რეკორდული დაცემა აღირიცხა 13 იანვარს. მაშინ ნიკეი 14. 546 პუნქტის დონემდე დაეცა.

ნიუ-იორკი. ფლორიდის შტატში კანავერალის კონცხზე მდებარე კოსმოდრომიდან თავისი პირველი გაშვების დროს აფეთქდა კორპორაცია „ბოინგის“ უახლესი მძიმე რაკეტა „დელტა-3“. სტარტის მომენტიდან წუთზე ცოტა მეტი ხანი იყო გასული, რომ რაკეტა ცეცხლოვან ბურთად გადაიქცა და ძირს ჩამოვარდა. რაკეტმზიდთან ერთად დაიწვა კავშირის თანამგზავრი „გელექსი“, რომელიც ორბიტაზე უნდა გაეყვანა რაკეტას.

პეკინი. საფრანგეთის გვიანაში მდებარე კოსმოდრომიდან ორბიტაზე გაუშვეს ტაივან-სინგაპურის პირველი ერთობლივი ტელესაკომუნიკაციო თანამგზავრი. როგორც ჰონკონგის პრესა იტყობინება, 240 მილიონი ამერიკული დოლარის ღირებულების თანამგზავრი „ეს-ტი-1“, რომელიც ეკუთვნის ტაივანის კომპანია „ჯუნხუა ტელეკომს“ და „სინგაპურ ტელეკომს“, გაიყვანა ორბიტაზე საფრანგეთის რაკეტამ „არიან 44 პი“.

დელი. მთავრობის კრიზისის თავიდან აცილების მიზნით ნეპალის პრემიერ-მინისტრმა გირიჯა პრასად კოირალმა მოახდინა მთის სამეფოს მინისტრთა საბჭოს რეორგანიზაცია და მის შემადგენლობაში შეიყვანა 13 კომუნისტი. ნეპალის მეფე ბირენდრამ მიიღო ახალი მინისტრების ფიცი, რომლებიც წარმოადგენენ ნეპალის კომუნისტურ პარტიას (გაერთიანებულ მარქსისტულ და ლენინურ პარტიას).

დელი. პაკისტანში მწვავდება პოლიტიკური სკანდალი იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს პრემიერ-მინისტრი ნავაზ შარიფი დათანხმდა შეერთებულ შტატებს, პაკისტანის სივრცე გამოეყენებინათ გასულ კვირას ავღანეთში ტერორისტების ბაზებისათვის სარაკეტო დარტყმის მისაყენებლად. გუშინ აქ ისლამაბადიდან მიღებული ცნობების თანახმად, სარაკეტო დარტყმამდე რამდენიმე საათით ადრე პაკისტანის დედაქალაქს ეწვია პენტაგონის მაღალი თანამდებობის წარმომადგენელი, რომელმაც პაკისტანის სამხედრო ხელმძღვანელობას აცნობა მომავალი დამსჯელი აქციის შესახებ. ეს, როგორც ამტკიცებენ, „დაუყოვნებლივ მოახსენეს პრემიერ-მინისტრს“.

ტოკიო. იაპონიის საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ ოფიციალურად უარყო ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნებული ცნობები იმის შესახებ, რომ რუსეთში გაღრმავებული ფინანსური კრიზისის ფონზე ტოკიო იწყებს მოსკოვთან ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამის კარდინალურ გადასინჯვას. იტარ-ტასის კორესპონდენტის შეკითხვის პასუხად ამ უწყების პასუხისმგებელმა თანამშრომელმა განაცხადა, რომ ეს ინფორმაცია „სინამდვილეს არ შეესაბამება“.

ნაირობი. კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის კინშასის რაიონში კვლავ განახლდა ბრძოლა მეამბოხეებსა და კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ლორან-დეზირე კაბილას მომხრე შეიარაღებულ ძალებს შორის, რომლებსაც შეუერთდნენ ანგოლის, ზიმბაბვესა და ნამიბიის არმიების რეგულარული ნაწილები. როგორც თვითმხილველები მოწმობენ კინშასის ჩრდილოეთით აეროპორტის მიდამოებში ისმის ბომბების აფეთქების ხმა, მიმდინარეობს მძიმე საარტილერიო ქვემეხების სროლა.

ზხენიანი. ჩრდილოეთ კორეის თითქმის მთელი ტერიტორია დიდად დაზიანდა კოკისპირული წვიმებისა და გრიგალისაგან. აბობოქრებულმა სტიქიამ, როგორც კორეის საინფორმაციო სააგენტო იტყობინება, უამრავი ადამიანი იმსხვერპლა, დიდი ზარალი მიაყენა მეცხოველეობას. დაზარალებულ რაიონებში ხორციელდება სასწრაფო სამაშველო ღონისძიებანი, აგროვებენ ცნობებს დაღუპულების, დაშავებულებისა და უკვალოდ დაკარგულების შესახებ, ანგარიშობენ მატერიალურ ზარალს, აღნიშნავს სააგენტო.

ბელგრადი. იუგოსლავიის წინააღმდეგ ვაშინგტონის სანქციების მოხსნას დაუჭირა მხარი იუგოსლავიის სამოკავშირეო რესპუბლიკის პრეზიდენტმა სლობოდან მილოშევიჩმა, რომელიც ბელგრადში შეხვდა ამერიკის ელჩს მაკედონიაში კრისტოფერ ჰილსს. „თუ ამერიკის შეერთებულ შტატებს ნამდვილად სურს სიკეთე ევროპის ამ ნაწილისათვის, მათ უნდა გააუქმონ სანქციები და სხვადასხვაგვარი შეზღუდვები, რომლებიც ხელს უშლის თავისუფალ განვითარებას და უდიდეს ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ ზარალს აყენებს იუგოსლავიას ხანგრძლივი დროის მანძილზე“, — განაცხადა იუგოსლავიის ლიდერმა.

ანკარა. თურქეთის სახელმწიფო მინისტრმა და რუსეთ-თურქეთის სავაჭრო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შერეული სამთავრობათშორისო კომისიის თანათავმჯდომარემ გიუნეშ ტანერმა თურქეთის ბანკებსა და კომერციულ სტრუქტურებს მოუწოდა, გააძლიერონ აქტიურობა რუსეთში. მან, აგრეთვე, მხარი დაუჭირა რუსეთის საქონლის იმპორტის გადიდებასა და მათი შესყიდვის დაფინანსებას ბანკების მიერ, ამასთან, აღნიშნა, რომ ეს დადებით გავლენას მოახდენს თურქეთში ინფლაციის შემცირების ტენდენციაზე.

ანკარა. სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში საგანგებო წესების რეჟიმის მოქმედების ზონაში მოკლულია აკრძალული ქურთების მუშათა პარტიის წევრი 12 ბოევიკი. შირნაკის, ჰაკიარისა და თუნჯელის პროვინციებში მათთან ბრძოლების დროს დაიღუპა 3 სამხედრო მოსამსახურე, იტყობინება საგანგებო წესების რაიონის ადმინისტრაცია.

ნიქოზია. კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გლაფკოს კლირიდისმა მოლაპარაკება გამართა საბერძნეთის პრემიერ-მინისტრთან კონსტანტინოს სიმიტისთან. ათენის შეხვედრაზე განიხილეს ფართო წრის საკითხები, მათ შორის კვიპროსის პროცესის მოწესრიგებასთან დაკავშირებით ამჟამად არსებული სიტუაცია, ევროპის კავშირში კვიპროსის შესვლის პროცესი, აგრეთვე თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის თავდაცვის შესახებ პაკეტის ფარგლებში.

თელ-ავივი. ლიბანის საზღვარზე სიმშვიდე აღდგენილია, ისრაელის ჩრდილოეთი რაიონების მოსახლეობას ნება დართეს დატოვოს თავშესაფარი. სამშაბათს საღამოს ქალაქ ქირიათშმონსა და ისრაელ-ლიბანის საზღვრის სიახლოვეს მდებარე ზოგიერთ სხვა ქალაქს რაკეტები დაუშინეს ლიბანის ტერიტორიიდან. 12 ისრაელი, მათ შორის ორი სამხედრო მოსამსახურე, მსუბუქად დაიჭრა. შეტევა მოეწყო ლიბანის ქალაქ ტირის მახლობლად ისრაელის მიერ განხორციელებული აქციის პასუხად, სადაც ისრაელის ვერტმფრენავიდან ნასროლი რაკეტა მოხვდა მოძრაობა „ამალის“ ერთ-ერთი ლიდერის ავტომანქანას და იგი დაიღუპა.

ალო, ჩვენ ვეძებთ პრეზიდენტს!

ნუთუ, შენც განმიდექ, უფალო?!

რუსები ბულგარეთის პრეზიდენტს პეტრე სტოიანოვს უნდა უმადლოდნენ უკანასკნელი დღეების უნიკალურ გარემოებას — მოსკოვში მისი ოფიციალური ვიზიტის წყალობით ნახონ რუსეთის პრეზიდენტი და მოუსმინონ მას; გარემოება უნიკალურის გარდა საგანგებოც არის, და „რუხ“ რეზიდენციაში სახელმწიფოს პირველი პირი გამოკეტვას ხსნის ვითომდა რუსეთ-ამერიკისა და სხვა სამიტების სამზადისით.

მაშინაც კი, როდესაც აშკარად აუფასურებდა თავის პრეზიდენტულ სიტყვას, ხშირად გაუგებარს და თითქმის ყოველთვის — რეალობას დაშორებულს, ბორის ელცინი კრიზისულ სიტუაციებში მაინც არ ეუბნებოდა ქვეყანას უარს ოპტიმისტურ ენაწყლიანობაზე. გავიხსენოთ, სულ რამდენიმე დღის წინათ, როდესაც ხუთდღიანი შვებულებიდან გამოვიდა, როგორ შეგვახსენა, რომ რუსეთს პრეზიდენტი ჰყავს. მოგვილოცა რუსეთის დროშის დღე, რომელიც „რუსეთის აღორძინების მაცნედ დაგვიბრუნდა“. მიესალმა კურსკის რკალზე გამარჯვების 55 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრების მონაწილეებს. წუხილი გამოთქვა დაღესტნის სულიერი ლიდერის მკვლელობის გამო. ტელეფონით ელაპარაკა კოლსა და კლინტონს, და, მოსკოვში, მისი პრესმდივნის თქმით, საუცხოო გუნებაზე დაბრუნებულმა, სახტად დატოვა მსოფლიო თავისი უბადლო პროტეჟეს კირიენკოს გადაყენებითა და პრემიერის პოსტზე მარტში დათხოვნილი ჩერნომირდინის დანიშვნით. ამასთან, ხეირიანად არ განუმარტავს, რატომ იყო ასე გაფაციცებული აღმასრულებელი ხელისუფლების საკვანძო ფიგურების შესაცვლელად წინათ, და მათი სკანდალური გადაადგილების მისაღწევად — ახლა! ამას მოჰყვა რუბლის გაუფასურება, რომელმაც აუხსნელი დუმილის დამლა დაასვა პრეზიდენტის ბაგეს.

განსაცდელის ჟამს ხელისუფლების ავანსცენაზე ქვეყნის პრეზიდენტის არყოფნა ამძაფრებს კრიზისს და აღრმავებს დესტაბილიზაციას. სახელმწიფოს მეთაურისა და საზოგადოების დიალოგი, სურვილი, ახსნას სიტუაცია, ანდა, თუ ამას გაურბის — ახსნას თავისი საქციელი, საკუთარი, თუნდაც, მცდარი მოქმედების მოტივი, — ეს საყოველთაოდ მიღებული ნორმაა ჯეროვანი სახელმწიფოებრივი ქცევისა. საჯარო მონანიება კი, როდესაც სახელმწიფოს მეთაური აღიარებს ჩადენილ ცოდვებს, აბსოლუტურად მარგებელია ქვეყნის ჯანმრთელობის თვალსაზრისით, და იგი ყოველთვის მოიტანს პოლიტიკურ და ზნეობრივ დივიდენდებს. მაგრამ ხელისუფლების სრული გაკოტრების პირობებში დივიდენდებზე ლაპარაკი ზედმეტია. როგორც ჩვენი კრემლელი წყაროები მოწმობენ, უკვე აღარავის აფიქრებს პრეზიდენტის სახის გადარჩენა — ლაპარაკია მხოლოდ პოლიტიკურ უწონობაში მისი უსაფრთხო გადასვლის პირობებზე. და, როგორც ჩანს, ეს სიმძიმე იტვირთა პრემიერის მოვალეობის შემსრულებელმა ჩერნომირდინმა — სათათბიროში თავისი დამტკიცების, მომავალი მთავრობის შემადგენლობისა და პლატფორმის მოწონების შესახებ, აგრეთვე რუსეთისათვის დამატებითი თავდასაზღვევი კრედიტების გამოყოფის თაობაზე მოლაპარაკებისა და კონსულტაციების პარალელურად.

შექმნილ ვითარებაში დუმილს ნამდვილად არ ეთქმის ოქრო — მაშინ, როდესაც სხვა კაპიტალი არ გაგაჩნია, სიტყვაც კაპიტალია. ახლა ეს კაპიტალი ვიქტორ ჩერნომირდინის ხელშია, მაგრამ იგი არ აპირებს უახლოეს დღეებში მიმართოს ხალხს, რათა „დააშოშმინოს იგი“. და ეს ფრიად სამწუხაროა, იმიტომ, რომ მისი დუმილი კვლავინდებურად გვტოვებს იმ პერმანენტული გაოცების მდგომარეობაში, რომელშიც როგორც კლასიკოსმა შენიშნა, ჩვეულებრივ ამყოფებენ რუსეთის ხელისუფალნი მოსახლეობას. არა ნაკლებ, თუ უფრო მეტად არა, მნიშვნელოვანია, რომ პერიოდი, რომელიც შუა უდევს მოვალეობის შემსრულებელი ჩერნომირდინისა და სრულფასოვანი პრემიერ ჩერნომირდინის სიტყვას, არ გაჭიანურდეს იმ ვადით, რომელიც ხელისუფლების კოლაფსს მის ლეტალურ აღსასრულად გადააქცევს. ხელისუფლების გადაცემისა და გაფორმების პროცედურა, რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს, რადგან ასეთ სიტუაციაში ქმედუნარიანი მთავრობის დანიშვნის დაყოვნება თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება. მაგრამ ასეთი სწრაფი მოქმედების ცხადზე უცხადესი აუცილებლობის მიუხედავად, ასევე ცხადზე უცხადესია სხვადასხვა დაჯგუფების მისწრაფება, გამოწურონ ახლანდელი უხელისუფლობის ნაყოფს პოლიტიკური წვენის მაქსიმუმი. ეკონომიკური კრიზისი სულ უფრო მკაფიოდ იძენს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მსხვრევის ხასიათს. პრეზიდენტის სავარძლის, ვიცე-პრემიერებისა და მინისტრების პორტფელების პოტენციური მაძიებლების გამჭვირვალე კრიტიკული გამონათქვამები და სისტემის ოპოზიციის მანევრები, რომელსაც გაუჩნდა შანსი, თავისკენ მიითალოს ძალაუფლების გვარიანი ნაჭერი, ზიუგანოვის მოთხოვნები პრეზიდენტის გადადგომის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პირობების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ, შოხინის ნოვაციები კონსტიტუციაში შესწორებათა შესატანად საკონსტიტუციო თათბირის მოწვევის თაობაზე და ა. შ. ყოველივე ეს ქმნის ქაოსურ მოძრაობას, რომელიც უფრო ამძლავრებს სიტუაციის გაურკვევლობას, და, როგორც ყოველთვის, თავის გადარჩენის პრობლემით შეწუხებული ხელისუფლების კულუარებში მიმდინარე გაფაციცებული აქტიურობა შეუღწევადი იდუმალების საბურველშია გახვეული.

როდესაც ქვეყნის კატასტროფული უქმეობის პირობებში პრეზიდენტი ქეიფზე კარგად არის — ეს ის საიდუმლოა, რომელიც წარმოშობს ჭორებს, ფინანსური რღვევის პირობებში დამანგრეველ ძალას რომ იძენენ. რჩეულმა კარის პრესამაც კი, რომელსაც ყველაზე მეტად მიუწვდება ხელი კრემლის ინფორმაციის წყაროებზე, არ იცის, მაგალითად, რატომ არის, რომ მისი მარჩენალი პრეზიდენტის პრესმდივანი იასტრჟემბსკი ზიუგანოვს ხვდება. და ეს, — იმ სიტუაციაში, როდესაც აურაცხელი ექსპერიმენტებით გულგაწყალებული მდუმარე უმრავლესობა არღვევს მდუმარებას.

...რით ვუპასუხებთ ტრადიციულ ბულგარულ მისალმებას: „დობრე დოშლი დრუგარი!“? („მშვიდობის მოხველთ, მეგობრებო!“?) — მოვედით, მაგრამ არავინ უწყის, სად!

თეიმურაზ მამალაძე,
„ნოვიე იზვესტია“.



გულმავიწყობა ძვირი სიამოვნებაა

რა ჯდება გულმავიწყობა? იტალიის სტატისტიკა დარწმუნებით ასახელებს თანხას: გულმავიწყობა იტალიელებს 200 მილიარდი ლირა უჯდებათ წელიწადში. დაახლოებით ამ თანხას კარგავენ აპენინის ნახევარკუნძულის მცხოვრებნი ყოველწლიურად საბანკო ჩეკების, შემნახველი სალაროს წიგნაკების, ბანკნოტების, აქციების, თამასუქების სახით.

აქ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, წელს გულმავიწყობის „აბსოლუტური რეკორდი“ დაამყარა იტალიის ფირმა „სპონტექსმა“, რომელიც სარეცხი საშუალებების მწარმოებელი ცნობილი კომპანიაა. კომპანიის ხელმძღვანელობამ, როგორც ცნობილი გახდა, სახელმწიფო ორგანოებს გაუგზავნა განცხადება ფასიანი ქაღალდების — 2,5 მილიარდი ლირის ღირებულების აქციების დაკარგვის შესახებ. ერთი წლით ადრე გულმავიწყობის რეკორდსმენი გახდა ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ პორდენონეს კომერსანტი, რომელსაც რესტორანში მაგიდაზე დარჩა 2,7 მილიარდი ლირის ღირებულების საბანკოჩეკებიანი საქაღალდე. საბედნიეროდ, რესტორანის პატრონი „გულმავიწყ“ კომერსანტს ავტოსადგომზე დაეწია და დაუბრუნა საქაღალდე. კიდევ უფრო სასაცილო ამბავი შეემთხვა ერთ რომაელს, რომელმაც შემთხვევით ამოაჩინა მანქანა, ცოტა ხნის წინათ რომ მოიპარეს. მანქანაში გამტაცებელს დარჩენოდა 50 მილიონი ლირის ღირებულების მომგებიანი ლატარიის ბილეთი. არანაკლებ გაუღიმა ბედმა ტურინის ერთ გულმავიწყ მოქალაქესაც, რომელსაც ტაქსში დარჩა 30 მილიონი ლირის ღირებულების ძვირფასეულობა. ტაქსის მძღოლმა ქალს მიაგნო ჩანთაში ჩარჩენილი უბის წიგნაკით და დაუბრუნა მას დაკარგული. მაგრამ გულმავიწყობის ყველაზე ორიგინალური შემთხვევა შარშან ერთ იტალიელ მუსიკოსს უკავშირდება. მილანში მატარებლიდან რომ ჩამოვიდა, მას ვაგონის თაროზე დარჩა სტრადივარიუსის ნახელავი ვიოლინო. პოლიციამ მოძებნა დაბნეული მუსიკოსი და გადასცა 30 მილიონი ლირის ღირებულების ვიოლინო.

აზერბაიჯანი არ დაზარალდება

„ფინანსური კრიზისი რუსეთში სერიოზულ გავლენას არ მოახდენს აზერბაიჯანის ეკონომიკაზე“, — განაცხადა რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ფასიანი ქაღალდების სამმართველოს უფროსმა ბეხრუზ ალახიროვმა. მისი აზრით, რუსეთის კრიზისს „შინაგანი ხასიათი“ აქვს და ცხადყოფს რუსეთის დამოკიდებულებას უცხოეთის კაპიტალზე.

რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის ეკონომიკური ურთიერთობა ისეთნაირად არის აგებული, რომ ფინანსური კრიზისი რუსეთში „მინიმალურ გავლენას“ მოახდენს აზერბაიჯანის ეკონომიკურ სიტუაციაზე, აღნიშნა ალახიროვმა. ამავე დროს მას არ გამოურიცხავს, რომ რუბლის კურსის დაქვეითება დოლარის მიმართ „უარყოფით გავლენას“ მოახდენს რუსეთის ვალუტაზე, რომელიც აზერბაიჯანის ბანკებშია.

თუ ხვალ ომია...

კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ლორან-დეზირე კაბილა, რომელიც დედაქალაქიდან გაიქცა, მოულოდნელად დაბრუნდა კინშასაში თავისი მშობლიური კატანგის პროვინციიდან. მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, დაამარცხოს მეამბოხენი.

ამბოხებულები უკვე ემზადებიან კონგოს დედაქალაქ კინშასაში საზეიმო შესვლისათვის. ახლა ისინი ჩექმებს იპრიალებენ და იმარაგებენ სპორტიან სასმელებს საქეიფოდ — დაპყრობილ ქალაქებში ძარცვავენ სირაჯხანებს.

ჩუბაისი ქვეყნის მორიგ გაკოტრებას წინასწარმეტყველებს

ანატოლი ჩუბაისს მიაჩნია, რომ უახლოესი 3-4 კვირა ყველაზე მწვავე იქნება რუსეთის მთავრობისათვის. ჟურნალისტებთან საუბრისას, სააქციო საზოგადოების მეთაურმა თქვა: „ობიექტურად, ეკონომიკურად ჩვენ მართლაც უმძიმეს მდგომარეობაში აღმოვჩნდით“. მისი აზრით, სსრ კავშირის დაშლის შემდეგ მთელი შვიდი წლის განმავლობაში რუსეთს არ განუცდია ასეთი სიტუაცია. „ვვაქვს საკუთარი მიზეზებიც, შეცდომები და ხარვეზები, მაგრამ ნამდვილად არის მსოფლიო კრიზისიც, რომელიც უკვე თითქმის წელიწადია ბობოქრობს“. კრიზისმა, რომელმაც წამოაჩოქა თხუთმეტიოდე ქვეყანა, — ეს კი პოტენციით უკანასკნელი არ არის, — რუსეთსაც ლახვარი ჩასცა, ხაზგასმით აღნიშნა ა. ჩუბაისმა. ახალ მთავრობას „უმძიმესი ამოცანა აქვს გადასაწყვეტი — არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას რუსეთის საბანკო სისტემის კატასტროფა, მაგრამ, ამასთანავე, მთავრობამ და ცენტრობანკმა აბსოლუტურად აწონილ-დაწონილი პოლიტიკა უნდა განახორციელონ. მისი აზრით, არაეფექტიანი საბანკო საქმიანობის, უნიჭო ხელმძღვანელობის, უვიცი მენეჯმენტის შედეგი აუცილებლად გაკოტრება იქნება. მაგრამ, ამავე დროს, სახელმწიფომ უნდა იკისროს ვალდებულება კერძო მეანაბრეების წინაშე.

ვიდეოკამერა მძღოლზე თავდასხმის წინააღმდეგ საბრძოლველად

სპეციალურ ვიდეოკამერებს დააყენებენ სიდნეის ტაქსებში მძღოლებზე თავდასხმის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, რომელთა მუშაობა ავსტრალიის უდიდეს ქალაქში გაცილებით უფრო სახიფათოა, ვიდრე ნიუ-იორკში. როგორც გაზეთი „სიდნეი მორნინგ ჰერალდი“ იუწყება, ტაქსის კაბინაში მომხდარისადმი სათვალთვალო კამერები დაემატება პლასტიკურ ტიხარს, რომელიც მაინცდამაინც საიმედოდ ვერ იცავს მძღოლებს საეჭვო მგზავრებისაგან. ოფიციალური მონაცემებით, სიდნეიში ყოველდღე საშუალოდ ექვსი თავდასხმა ხდება ტაქსისტებზე. და, თუ გამჭვირვალე პლასტიკისაგან დამზადებული დამცავი ეკრანი-ტიხრები იცავენ ტაქსისტს უკნიდან დარტყმებისაგან, კამერებს შეუძლიათ პოლიცია პირდაპირ მძარცველებზე გაიყვანოს.

ამასთანავე, ავსტრალიაში გამოჩნდნენ ამ იდეის მოწინააღმდეგეები, რომლებიც აცხადებენ, რომ კამერების მეშვეობით თვალთვალი ლახავს ჩვეულებრივ მგზავრთა პირად უფლებებს, რადგან არავინ იცის, ვინ და რა მიზნით შეიძლება იღდოს ხელთ ამგვარად გადაღებული კადრები.

ინტერფაქსის, უცხოეთის სააგენტოების, გაზეთების და სააგენტო „მედიანას“ მასალების მიხედვით.

გვერდის რედაქტორი
არჩილ მანჯგალაძე.

განსჯა

„თუ ქუთაისის ისტორიული გარემო შეიცვალა, იგი უკვე ქუთაისი აღარ იქნება..."

თითოეული ერის ისტორიისა და თვითმყოფადობის განმსაზღვრელ ძირითად კრიტერიუმს დღეს მისი კულტურული მემკვიდრეობა წარმოადგენს. ამ მხრივ ქართველებს ბევრი გვაქვს საამაყო. ამის დასტურად დიდი რუდუნებით ნაშენები, ჩვენამდე მოღწეული ისტორიულ-არქიტექტორული ძეგლებიც კმარა.

სწორედ ასეთი ფასეულობების მქონე ქუთაისის ისტორიული ზონისა და მისი დაცვითი სარეჟიმო ტერიტორიების განსაზღვრის პრობლემები, მათი მეცნიერულ დონეზე დადგენის აუცილებლობა დაუდო საფუძვლად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ურბანისტიკის კათედრის უფროსმა მასწავლებელმა, არქიტექტორმა მირიან გედენიძემ თავის პროექტს, რომლის განხილვაც ამას წინათ მოეწყო ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროში, ქალაქთმშენებლობის პრობლემებისათვის შექმნილ სპეციალურ საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე.

პროექტი ჩვენში არასასოფლო დანიშნულების მიწების პრივატიზების პროცესის დაწყებამდე, ისტორიის, არქეოლოგიის, ქალაქთმშენებლობის, არქიტექტურის და მონუმენტური ხელოვნების უძრავი ძეგლების გარშემო, აგრეთვე, ბუნებრივი ლანდშაფტების დაცული ტერიტორიების გამოვლენის, მათი ტერიტორიული საზღვრების დადგენის და გამოყენების რეჟიმების განსაზღვრის პრობლემებს ეხება. მიწების პრივატიზებამდე წინასწარ თუ არ დავიცავით ტერიტორიები და მათი გამოყენების რეჟიმი, მაშინ ძნელი წარმოსადგენია, თუ რის გაკეთებას მოისურვებს მიწის კერძო მესაკუთრე თავის ტერიტორიაზე. არადა, მის სუბიექტურ კაპრიზებს შესაძლებელია, ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის კულტურულ-ისტორიული ფასეულობების დეგრადირება ან განადგურება მოჰყვეს. ამ თვალსაზრისით კრიტიკას ვერ უძლებს დღეს მოქმედი ყოფილი საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1983 წლის დადგენილებით დამტკიცებული ქ. ქუთაისის კულტურულ-ისტორიული ნაწილის სარეჟიმო, დაცვითი ზონების საზღვრების პროექტი. მისი დამტკიცების დღიდან მას ბევრი მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგი მოჰყვა.

განსახილველად წარმოდგენილი თეორიული, ფოტო და გრაფიკული მასალის საფუძველზე დამტკიცდა, რომ 1983 წლის პროექტში იგნორირებულია ქუთაისის ჩრდილო-აღმოსავლეთ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში მოქცეული მდ. წყალწითელას მარჯვენა ნაპირზე მდებარე ბუნებისა და დიდი ეროვნული კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის მქონე პალეოლითის ხანის ორი ძეგლი, პირველყოფილი ადამიანის მღვიმე-საცხოვრისები, იაზონის მღვიმე და ე.წ. დამარხული გამოქვაბული. ისინი ერთიან ტერიტორიულ საზღვრებში მოაქცევენ მდ. წყალწითელას ხეობის მარჯვენა მხარეს მდებარე მსოფლიოში ცნობილ „საკაჟიას", „ზედაშიძის", „ორთვალის" გამოქვაბულებს, ძვ. წ. VIII ს-ით დათარიღებულ არქეოლოგიურ ტერიტორიას მოწამეთას კონცხზე, ბუნებრივ ლანდშაფტთან შესანიშნავად შერწყმულ XVII ს-ის მოწამეთას სამონასტრო კომპლექსს და გელათის უნიკალურ ანსამბლს.

ქალაქგეგმარებით თეორიასა და პრაქტიკაში დამკვიდრებული ჭეშმარიტება, რომ პირობითად მიღებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს არ ემორჩილებიან კულტურულ-ისტორიულ ფასეულობების საზღვრები, მთელი თავის სიცხადით ვლინდება სწორედ ქუთაისის შემთხვევაში, რაც ცხადად მიუთითებს იმაზე, რომ ქუთაისის კულტურულ-ისტორიული ზონის საზღვრები უნდა ვრცელდებოდეს ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთაც, განსაკუთრებით მის ჩრდილო აღმოსავლეთით.

სწორედ ხსენებული ტერიტორიების ერთიან დაცულ ტერიტორიად გამოცხადების იგნორირებას, მათი მნიშვნელობების შეუფასებლობას მოჰყვა მდ. წყალწითელას ხეობასა და მის მიმდებარე სოფელ გოდოგნის კირქვული მასივის ტერიტორიებზე სრულიად დაუგეგმავი ახალი სამრეწველო ზონის სპონტანურად ჩამოყალიბება. საინტერესოა, მათზე რატომ არ ვრცელდება დაცული ტერიტორიებისათვის კანონით განსაზღვრული მიწათსარგებლობის წესები და ნორმები? როგორც სპეციალური კომისიის დასკვნაშია ნათქვამი, ამ კარიერებზე წარმოებული ბურღვააფეთქებებით გავრცელებული მიწისქვეშა ტექტონიკური რხევების შედეგად რეალური დანგრევის საფრთხე შეექმნათ ბაგრატის ტაძარს, გელათის და მოწამეთას სამონასტრო კომპლექსებს!

ამავე დროს, როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა დაცული ტერიტორიების 1983 წლის პროექტის უმთავრესი ნაკლი ის არის, რომ მასში უგულებელყოფილია და სათანადო ყურადღება არ ექცევა 1976-2000 წლების ქუთაისის გენერალური გეგმის პროექტით მონიშნულ დაცვითი ტერიტორიების საზღვრებს და მათ კლასიფიკაციას. უფრო მეტიც, დაცული ტერიტორიების 1983 წლის სქემა დამტკიცდა კანონის უხეში დარღვევით, საპროექტო ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტთან" და თავად გენგეგმის პროექტის ხელმძღვანელთან შეუთანხმებლად.

ქუთაისის ისტორიული ზონის დაცვითი ტერიტორიების საზღვრების ახალი პროექტის დამუშავებისას, თუ კი ასეთი სამუშაო განხორციელდებოდა, იმის მაგივრად, რომ დამტკიცებულიყო გენგეგმაზე გაცილებით სრულყოფილი სქემა, — მოხდა პირიქით — მივიღეთ უფრო ცუდი ვარიანტი.

განხილვამ დიდი ინტერესი გამოიწვია. საბჭოს იქ დამსწრე წევრთა ერთსულოვნება კი ერთ-ერთი წევრის, აკადემიკოს გიორგი ბათიაშვილის ფრაზამ გამოხატა — „თუ ქუთაისის ისტორიულ-სივრცითი გარემო შეიცვალა, იგი უკვე ქუთაისი აღარ იქნება".

ამიტომ, როდესაც დღის წესრიგში დგება 1976-2000 წლების ქუთაისის გენგეგმის ახლით შეცვლის საკითხი, მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი უკვე შესრულებულია. მით უმეტეს, რომ არქიტექტორ მირიან გედენიძეს პროექტზე მუშაობის დროს, საკუთრივ ქუთაისის გარდა, მისი შემოგარენის კულტურულ ისტორიულ ფასეულობებიც გაუთვალისწინებია და ეს ყოველივე მსოფლიო ქალაქგეგმარებით თეორიასა და პრაქტიკაში მიღებული გამოცდილების, ძეგლთა დაცვის საერთაშორისო ნორმების და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო მასალების მიხედვით დაუსაბუთებია. ბუნებრივია, ეს პროექტის ღირსებად უნდა ჩაითვალოს.

თეიმურაზ კინწურაშვილი.

სურათზე: გელათის სამონასტრო კომპლექსი.
ჯავარ ლომაძის ფოტო.

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო აცხადებს

საჯარო კონკურსს

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. სახელმწიფო ვეტერინარული ინსპექცია.

სახელმწიფო ვეტერინარი ინსპექტორი — 4 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 38 ლარი);

2. ეპიზოოტიებთან, ინვაზიურ და არაგადამდებ დაავადებებთან ბრძოლის ორგანიზაციისა და კონტროლის მთავარი სამმართველო

— ეპიზოოტიებთან ბრძოლის ღონისძიებათა ორგანიზაციისა და კონტროლის სამსახური

სამსახურის უფროსი — მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე — 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 76 ლარი);

მთავარი ვეტექიმი — 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 38 ლარი);

— ინვაზიურ და არაგადამდებ დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებათა ორგანიზაციისა და კონტროლის სამსახური

სამსახურის უფროსი — მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე — 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 76 ლარი);

მთავარი ვეტექიმი — 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 38 ლარი);

— ეპიზოოტიებთან ბროძლის ვეტერინარიული ექსპედიცია

მთავარი ვეტექიმი — 9 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 38 ლარი);

3. ვეტერინარიულ-სანიტარიული ზედამხედველობისა და სურსათის ხარისხის მთავარი სამმართველო

მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე — 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 76 ლარი);

მთავარი ვეტექიმი — 3 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 38 ლარი);

— სალიცენზიო სამსახური

სამსახურის უფროსი — 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 60 ლარი);

მთავარი ვეტექიმი — 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 38 ლარი);

4. რეგულირებისა და რეფორმების მთავარი სამმართველო

მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე — 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 76 ლარი);

— კანონშემოქმედებისა და ვეტსაქმის ორგანიზაციის სამსახური

იურისტი — 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 38 ლარი);

მთავარი ვეტექიმი — 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 38 ლარი);

— ექსპრეს-საინფორმაციო მონიტორინგის სამსახური

სამსახურის უფროსი — 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 60 ლარი);

ქსელის უფროსი — 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 38 ლარი);

პროგრამისტი — 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 38 ლარი);

— საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახური

თარჯიმანი — 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 38 ლარი);

მთავარი ვეტექიმი — 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 38 ლარი);

5. ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველო

სამმართველოს უფროსის მოადგილე — 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 54 ლარი);

მბეჭდავ-ოპერატორი — 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 38 ლარი);

სტილისტი — 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 38 ლარი);

კონკურსის პირობები

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას, აქვთ უმაღლესი განათლება.

კონკურსს ატარებს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტის საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

საკონკურსო-საატესტაციო კომისია სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის მონაწილეთა შეფასებას ახდენს განათლების, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების, სახელმწიფო სამსახურის გავლის, შრომითი საქმიანობის შესახებ მონაცემების საფუძველზე.

კონკურსის მონაწილეები გაივლიან ატესტაციას.

საკონკურსო-საატესტაციო კომისია უპირატესობას მიანიჭებს:

— სახელმწიფო ვეტერინარი ინსპექტორის ვაკანტურ თანამდებობებზე მათ, ვისაც აქვს უმაღლესი ვეტერინარიული განათლება და გამოცდილება, გამოამჟღავნებს ვეტერინარიული კანონმდებლობის, საერთაშორისო ვეტერინარიული კოდექსის და შესაბამისი კანონების ცოდნას.

— ეპიზოოტიებთან, ინვაზიურ და არაგადამდებ დაავადებებთან ბრძოლის ორგანიზაციისა და კონტროლის მთავარი სამმართველოს ვაკანტურ თანამდებობებზე მათ, ვისაც აქვს უმაღლესი ვეტერინარიული განათლება, შესაბამისი კვალიფიკაცია, პრაქტიკა და წარმოადგენს მომავალი საქმიანობის კონკრეტულ პროგრამას.

— ვეტერინარიულ-სანიტარიული ზედამხედველობისა და სურსათის ხარისხის მთავარი სამმართველოს ვაკანტურ თანამდებობებზე მათ, ვისაც აქვს უმაღლესი ვეტერინარიული განათლება, შესაბამისი კვალიფიკაცია, პრაქტიკა და წარმოადგენს მომავალი საქმიანობის კონკრეტულ პროგრამას.

— რეგულირებისა და რეფორმების მთავარი სამმართველოს ვაკანტურ თანამდებობებზე მათ, ვისაც აქვს შესაბამისი უმაღლესი განათლება და გამოამჟღავნებს ვეტერინარიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების, კანონმდებლობის და საერთაშორისო ვეტერინარიული კოდექსის ცოდნას. თარჯიმანის ვაკანტურ თანამდებობებზე მათ, ვინც ფლობს ინგლისურ, ფრანგულ ან გერმანულ ენებს. ექსპრესს-საინფორმაციო მონიტორინგის სამსახურის ვაკანტურ თანამდებობებზე პროგრამისტებს, რომელთაც აქვთ პროგრამირებისა და ქსელში მუშაობის გამოცდილება.

— ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს ვაკანტურ თანამდებობებზე მათ, ვისაც აქვს უმაღლესი განათლება და შესაბამისი გამოცდილება.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტში წერილობით განცხადებასთან ერთად, სადაც მითითებული იქნება ვაკანტური თანამდებობის დასახელება, უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. განათლების და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა;
3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი.

საბუთები მიიღება ორი კვირის ვადაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები (საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ" 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან სამი კვირის შემდეგ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი, თამარაშვილის 15 ა,
საქართველოს სოფლის მეურნეობისა
და სურსათის სამინისტროს
ვეტერინარიის დეპარტამენტი.
ტელ. 94-35-97; 39-41-20.**

იუბილე

ნახევარი საუკუნე— სცენაზე...



არიან ადამიანები, რომლებიც ჩუმად, უხმაუროდ აკეთებენ თავიანთ საქმეს, ხოლო ნაღვაწს იმით ზომავენ, თუ რა სარგებლობა მოუტანეს თავის ხალხსა და სამშობლოს. ერთ-ერთი მათგანია საქართველოს სახალხო არტისტი გელა რევაზიშვილი. ამ დღეებში მას 70 წელი შეუსრულდა, აქედან 50 — მსახიობმა სცენას უძღვნა.

ალბათ, სწორი არიან ისინი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ადამიანის სიბერე იმ ენერგიის პროპორციულია, რომელსაც სიკეთისათვის ხარჯავს. იქნებ სწორედ ამან განაპირობა ის, რომ მტერიც რომ იყო, მას 60 წელზე მეტს ვერ მისცემ, როცა ის თეატრზე და სცენაზე ლაპარაკობს, იგონებს წარსულს და სამომავლო გეგმებზე მოგითხრობს, თვალები ჭაბუკივით ენთება და გჯერა, რომ, იგი მართლაც, ჭაბუკია...

ყველაფერზე უფრო კი ის გაგაოცებს, თუ რა კმაყოფილების გრძნობით იგონებს იგი, ვფიქრობ, არცთუ ისე იოლ წარსულს. მე, ამბობს იგი, ბედნიერი კაცი ვარ, რადგან ცხოვრებაში იმდენი კარგი ადამიანი შემხვდა და თეატრისადმი სიყვარული გამიათკეცა, თანაც ყოველთვის მწყალობდა მისი უდიდებულესობა — შემთხვევითობა. იგი ადრე დაობლებულა და დედას ორი ბიჭუნა დარჩენია. ომის და ომისშემდგომ მძიმე წლებსაც კი, როდესაც ოჯახს ძალზე უჭირდა, ხშირად საჭმელიც სანატრელი იყო, ხოლო ორ ძმას ერთი შარვალი ჰქონდა, ბატონი გელა დიდი სიყვარულით იხსენებს. განსაკუთრებით თბილად ლაპარაკობს იგი დედაზე, რომელსაც, თურმე, გულზე შემოსვლია, როცა შეიტყო, რომ გელა მფრინავობაზე არა თუ ოცნებობდა, არამედ გზებსაც ეძებდა სადღაც რუსეთში სპეციალურ სასწავლებელში წასასვლელად...

და, აი საოცრება, ჯერ კიდევ ომი მძვინვარებდა, როცა გელა პიონერთა სასახლეში არსებულ თეატრალურ სტუდიაში მოხვდა.

— აი, პირველი მისი უდიდებულესობა, შემთხვევითობა, — ამბობს იგი. მაშინ პირველად შემერყა რწმენა — მფინავობა თუ სცენა? და ეს მოხდა ქალბატონ მარიამ აბრამიშვილთან და მის მეუღლესთან, ბატონ დავით ჯალაღონიასთან ჩემი შეხვედრის შემდეგ. ისინი თოჯინების თეატრს ხელმძღვანელობდნენ. წამაკითხეს ლექსი, მომიწონეს, მართალი გითხრათ, თოჯინების თეატრზე უფრო სცენაზე გასვლა მიზიდავდა და, აი, მეორე შემთხვევითობა, პლეხანოვის გამზირზე გიორგი სულიაშვილი და გრიგოლ კოსტავა შეგვხვდა მე და ჩემს მეგობარს შოთა ქოჩორაძეს. ვილაპარაკეთ. გრიშამ გვითხრა — წამოდით, ბიჭებო, მარჯანიშვილშიო. პროტექციაც გაგვიწია შალვა ღამბაშიძესთან და სათანადო შემოწმების შემდეგ მარჯანიშვილის თეატრალურ სტუდიაში მოვხვდით. და, ისევ შემთხვევითობა — პირველ დღესვე რეჟისორმა ირაკლი გრატიაშვილმა როლი შემომთავაზა ვასო ყუშიტაშვილის სპექტაკლში „ბაგრატიონი". მართალია, როლი უმნიშვნელო იყო — ჯარისკაცი, რომელიც სულ ორ-სამ სიტყვას წარმოთქვამდა, მაგრამ იგი უკვე იმ საღამოსვე უნდა მეთამაშა. მომცეს ფორმა, თოფი, ტექსტი და — თუმცა თეატრი დაცარიელდა — საღამომდე ბევრი დრო რჩებოდა, მე სცენას არ მოვშორებივარ. რაც იმ დღეს განვიცადე, ალბათ, ერთი კაცის ცხოვრებად ღირდა...

ასე დამკვირდა იგი მარჯანიშვილის სცენაზე. უკან დარჩა სტუდია, წინ ახალი როლები იყო სპექტაკლებში „რაც გინახავს, ველარ ნახავ", „ჭირვეულის მორჯულება", „ქამთაბერის ასული", „ურიელ აკოსტა", „დავით აღმაშენებელი", „მოკვეთილი", „კოლმეურნის ქორწინება" და სხვა. როლიდან როლამდე იზრდებოდა ჭაბუკი, იხვეწებოდა სცენური ოსტატობა და დღეს იგი სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ ამაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ისეთი ბუმბერაზების გვერდით დგომამ, როგორიც შალვა ღამბაშიძე, სერგო ზაქარიაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ვასო გოძიაშვილი, გიორგი შავგულიძე, სანდრო ჟორჟოლიანი, სესილია თაყაიშვილი, და მარჯანიშვილის იმდროინდელი ახალგაზრდა პლეადა იყო...

თუმცა საქმე აეწყო, მაგრამ ჯერ კიდევ ომისშემდგომი მძიმე წლები იყო და ისევ შემთხვევამ გაითამაშა. გიორგი ქურულმა სოხუმის თეატრში გადასვლა და უფრო დიდი ხელფასი შემომთავაზა, — იგონებს ბატონი გელა. თადაპირველად, დედაჩემმა უარი მითხრა წასვლაზე, მაგრამ ჩემი დაჟინებით — აბა, რუსეთში წავალ, მფრინავის სკოლაში-მეთქი და დედაც მოტყდა...

და, კვლავ შემთხვევითობა. სოხუმის თეატრში შესანიშნავი რეჟისორი და ადამიანი — გიორგი გაბუნია დამხვდა. იგი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. მამასავით მზრუნველი კაცი. იმ დროს თეატრი „ახალგაზრდა გვარდიაზე" მუშაობდა და პირველსავე დღეს სერგეი ტიულენინის როლზე დამამტკიცეს. ხუთი სეზონი ვითამაშე სოხუმში, ბევრი კარგი და მთავარი როლიც შევასრულე, მაგრამ დედა გახდა ავად და თბილისსა და სოხუმს შუა სირბილმა მაიძულა მეფიქრა ოჯახში დაბრუნებაზე. სოხუმში ვანო გვინჩიძე შემხვდა და მითხრა, ჩამოდი პირველ სექტემბრამდე, მარჯანიშვილში ადგილი არისო. მაგრამ მე პრემიერა უნდა მეთამაშა სოხუმში და თბილისში მხოლოდ ნოემბრის დამლევს დავბრუნდი. თეატრში ადგილი დაკავებული იყო და, აი კიდევ შემთხვევითობა, ჩემი აზრით, ყველაზე ბედნიერი. სერგო გვარამაძემ მოზარდ მაყურებელთა თეატრში შემომთავაზა მისვლა. პირველი როლი გაბრო იყო „გლახის ნაამბობში". მაშინ ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი დასში, დღეს 46 სეზონის შემდეგ ყველაზე ხნოვანი ვარ. ამ სცენაზე 100-ზე მეტი როლი, ძირითადად, მთავარი, შევასრულე. აქაც ბედმა ისეთ შესანიშნავ რეჟისორებს შემახვედრა, როგორც შალვა გაწერელია, რომან აბულაძე, თენგიზ მაღალაშვილი, ასიკო გამსახურდია და გიგა ლორთქიფანიძე ბრძანდებიან. ბატონმა გიგამ, შეიძლება ითქვას, გადაარჩინა ჩვენი თეატრი. დღეს იგი ჩვენი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია. ალბათ, იცით, ჩვენი თეატრის ოდისეა: შენობა აღარ გვქონდა და რკინიგზელთა კულტურის სახლმა შეგვიკედლა. პირველი სექტემბრიდან თეატრი რუსულ მოზარდ მაყურებელთა თეატრის შენობაში გადადის და ამიერიდან იქ ორი თეატრი ერთად იმუშავებს.

ბატონი გელა თავისი კოლექტივის სახელით მადლობას უხდის რკინიგზის დეპარტამენტის კოლექტივს და მის უფროსს, ბატონ აკაკი ჩხაიძეს, რომელიც ყოველთვის ეხმარებოდა თეატრს და ახლაც მისი სპონსორობა იკისრა.

განსაკუთრებით სიყვარულით ლაპარაკობს მსახიობი თავის თეატრზე და მის მაღალ მისიაზე. ბავშვთა აუდიტორია, — ამბობს იგი, ყველაზე პასუხსაგებია. საკმარისია სცენაზე მცირე სიყალბეც კი, რომ დარბაზი ახმაურდეს. ბავშვს ვერ მოატყუებ, იგი ხომ თავისებურად, ხალასად აღიქვამს სცენურ მოქმედებას და ვაი იმ მსახიობს, ვინც მოზარდს სიყალბით დააეჭვებს...

გელა რევაზიშვილმა მრავალ ქართულ ფილმშიც დაიდო წილი. ესენია: „აკაკის აკვანი", „წარსული ზაფხული", „ფატიმა", „მსაჯი", „ცეროდენა რაინდები", „მარადისობის კანონი", „ვინ არის მეოთხე", „ხსოვნა", „ჭერი" და სხვა. მაგრამ ყველაზე დიდ ბედნიერებად მას მოზარდის აუდიტორიასთან შეხვედრა მიაჩნია. განსაკუთრებით დღეს, როდესაც ბევრი ფასეულობა გადაფასდა და ამან მოზარდის სული შეარყია.

ბატონი გელა გატაცებით საუბრობს თავის ახალ როლზე, თეატრის პერსპექტივებზე, იგონებს თავისი ცხოვრების ძვირფას ეპიზოდებს, შესანიშნავ, აწ გარდაცვლილ მსახიობებს, ეროსი მანჯგალაძეს, იაკობ ტრიპოლსკის, ვახტანგ ნინუას, სხვებს და ვატყობ, დროდადრო სევდიანი ნოტებიც გაისმის — აღარ არის დედა, გარდაიცვალა მეუღლე — შესანიშნავი მანდილოსანი, ლარისა კაკულია, მაგრამ ბატონ გელას სანუგეშოდ ვაჟი და მისი ოჯახი — ორი შვილიშვილი — ელენე და ირაკლი ჰყავს.

ძნელია კაცის ცხოვრება ერთ საგაზეთო სტატიაში ჩაატიო. მით უმეტეს, თუ ეს ცხოვრება ისეთი მრავალწახნაგოვანია, როგორიც ბატონი გელა რევაზიშვილისა გახლავთ. და ერთ-ერთი ამ წახნაგთა შორის ის დიდი გრძნობაა, რომელსაც მეგობრობა ჰქვია. დიახ, იგი მეგობრებისათვის და მეგობრებით ცხოვრობს და მათდამი გრძნობებში მხოლოდ სცენისადმი სიყვარული თუ შეეცილება...

და, კიდევ ერთი — თავის წარმატებებს იგი, ძირითადად, შემთხვევითობას მიაკუთვნებს. შემთხვევითობის ბრალია ყოველივე, თუ ბატონი გელას ნიჭისა და თეატრისადმი მისი დიდი და უანგარო სიყვარულისა?!

ლამარა გაგუა,
საქინფორმი.

სურათებზე: გელა რევაზიშვილი და მის მიერ განხორციელებული როლები — ფილმში „ვინ არის მეოთხე" და სპექტაკლში „ბედნიერი ბილეთი".

სპორტი

„საქართველოს რესპუბლიკის" სპეციალური გვერდი

დღეს 1 სექტემბერია

მხატვარი ვახტან კუცია.

სპეციალისტი

ბავშვთა სპორტს არ უღალატეს...

ჩვენი სტუმარია თბილისის მერიის განათლების მთავარი სამმართველოს მოსწავლეთა საქალაქო ფიზკულტურულ-სპორტული გაერთიანების გენერალური დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ვაჟა ჭკუასელი.

— სპორტთან თერთმეტი წლის ასაკიდან მეგობრობთ. ვინც საქართველოში კალათბურთის განვითარებას ადევნებს თვალ-ყურს, ალბათ, ახსოვხართ კიდეც, თავიდან კალათბურთელი, შემდეგ კი ნორჩ კალათბურთელთა მწვრთნელი...

— სპორტთან 34 წლის მეგობრობა მაკავშირებს, ამაზე საინტერესო საქმე არ მეგულება. დღეს არა მარტო ჩემი საყვარელი სპორტული სახეობის — კალათბურთის განვითარება მევალება დედაქალაქში, არამედ ახალგაზრდა თაობის ჩართვა სპორტის ყველა სახეობაში.

— მერედა, როგორაა საქმე მოსწავლეთა საქალაქო ფიზკულტურულ-სპორტული გაერთიანებას დაქვემდებარებულ სპორტულ სკოლებში, როგორ გვარდება დედაქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა?

— მიუხედავად უკანასკნელ წლებში ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში შექმნილი მძიმე პირობებისა, ვეცადეთ არც ერთი სპორტსკოლის კარი არ მიხურულიყო ბავშვებისათვის.

სპორტული სკოლები თითქმის ყველა რაიონში გვაქვს. ჭიდაობის, მძლეოსნობის, ველოსპორტის, ჭადრაკის — დიდუბეში; რაგბისა — ისნის რაიონში; სპორტულ ტანვარჯიშის, ფარიკაობისა ვაკეში; ჩოგბურთის — მთაწმინდაში, ხელბურთის — გლდანში; ნორჩ ფეხბურთელთა სპორტული სკოლა — „ავაზა" დიღმის მასივში მდებარეობს, ფიგურული სრიალის — საბურთალოში; წყალთა სახეების, სკოლა გვაქვს ფრენბურთის, კალათბურთის — ვაკეში... ასე რომ, თითქმის ყველა რაიონშია შექმნილი სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის განვითარებისათვის გარკვეული პირობები.

წუწუნი არ მჩვევია, მაგრამ იმ მწირი შესაძლებლობებით, რაც შემოგვრჩა, ვფიქრობ, მაინც ყველაფერი კეთდება დედაქალაქის „ჯანმრთელობის სკოლისათვის".

— კონკრეტულად, როგორ ხვდებით ახალი სასწავლო წლის პირველ ზარს?

— 20 აგვისტოდან ყველა ადგილზე ვართ. 1 სექტემბერს 14-ვე სპორტულ სკოლაში თავისებური ზარი დარეკავს, სკოლის ზარისაგან განსხვავებული, მაგრამ ნორჩ სპორტსმენთა მომხმობი. სექციებში პირველი დღიდანვე განახლდება მუშაობა.

ახალი სასწავლო წლის შესახვედრად თბილისის მერიის გამოყოფილი თანხით გარემონტდა ჭიდაობის, კალათბურთის, სპეციალიზებული, ტანვარჯიშის სკოლები, მოვაწესრიგეთ წყალთა სახეობების ბაზა სიონში, რომელიც სავალალო მდგომარეობაში იყო. სახურავი გამოვცვალეთ და აქ უკვე ვგეგმავთ სპორტის წყალთა სახეობებში მოზარდთა შეჯიბრებებს.

— მოსწავლეთა საქალაქო ფიზკულტურულ-სპორტულ გაერთიანებას დაქვემდებარებულმა ბაზებმა აქამდე უვნებლად რომ მოაღწიეს, მათი ხელმძღვანელთა დამსახურებაა თუ სხვა ვინმე წამოგეშველათ?

— პირველ რიგში — მათი დირექტორებისა. საერთოდ, საქართველოში სპორტსკოლები ბევრგან გაევერანდა, თბილისში კი ყველა გადარჩა. საციგურაო სკოლა გადაარჩინა მისმა დირექტორმა ირაკლი ჯაფარიძემ, ჭიდაობისა — ალეკო გიორგობიანმა, კალათბურთისა — მერაბ კეკელიძემ, ხელბურთისა — ზაზა დოლიძემ, ტანვარჯიშისა — გივი ჩხარტიშვილმა, ჭადრაკისა — გია გრძელიშვილმა, წყალთა სახეობისა — ირაკლი მოდრეკილაძემ და იქ მომუშავე მწვრთნელებმა, მომსახურე პერსონალმა. ენთუზიასტებმა ბავშვთა სპორტს არ უღალატეს, მადლობა მათ.

თბილისის მერია კელავ დაგვპირდა ფინანსებს, როგორც კი მივიღებთ თანხებს, კრწანისის რაიონის სპორტ-სკოლა ხელახლა გადაიხურება (წყალი ჩამოდის), ხოლო ფიგურული სრიალის სპორტულ სკოლას ინტერიერს შევუცვლით. მერიის მისამართით მადლობის მეტი რა გვეთქმის. ადგილებზე კი მშობლები და სპონსორები გვშველიან. პირობების გაუმჯობესება მათი ხელშეწყობით შევძელით. განსაკუთრებით მხარში გვიდგას და ბევრს აკეთებს ბავშვთა სპორტის განვითარებისათვის „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია" და მისი პრეზიდენტი თემურ ჭყონია. მათი დიდი დამსახურებაა 14 სპორტული სკოლის სექციებში 12000 მოსწავლე რომ მეცადინეობს, ახალი სასწავლო წლიდან კი მათი რიცხვი გაიზრდება.

სპორტის სახეობებით მშობლებისა და თვით ბავშვების დაინტერესება იზრდება. ჩემი აზრით, ქაღალდზე არ დარჩენილა საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 22 დეკემბრის ბრძანებულება „ქვეყნის მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და განვითარების ღონისძიებათა შემუშავების შესახებ".

მოზარდებს 1335 მწვრთნელი-პედაგოგი ემსახურება. ბევრ მათგანს არც ამ ზაფხულს დაუსვენია. 9 წლის შემდეგ, წლეულს, მანგლისში პირველად შევძელით სპორტული ბანაკის გახსნა. 600-ზე მეტმა ნორჩმა სპორტსმენმა დაისვენა და მწვრთნელებს მათთან საწვრთნელი მუშაობის შესაძლებლობაც მიეცათ. ამ საქმეში გვერდით გვედგა განათლების მთავარი სამმართველოს უფროსი ზაზა მარუაშვილი. საერთოდ, მისი პირადი თანადგომით ბევრი რამ კეთდება თბილისში ბავშვთა სპორტის განვითარებისათვის.

დედაქალაქის ყოფილმა მერმა ბადრი შოშიტაიშვილმა 1999 წელი განათლების სისტემაში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის წლიწადად გამოაცხადა, ბევრჯერ გაგვიწია კონკრეტული დახმარება.

— მერიაში ახალი მერი ვანო ზოდელავა მოვიდა...

— შევკრიბა კიდეც განათლების მუშაკებთან ერთად ყველა, ვისაც მოზარდებთან უხდება მუშაობა. ყურადღება ბავშვთა სპორტზე, მისი განვითარების გზებზე გაამახვილა: — ბავშვთა სპორტის განვითარება მერიის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი იქნებაო. დაგვპირდა დედაქალაქის განათლების სისტემას 1998-99 სასწავლო წლისათვის 2 მილიონით გაუზრდის ბიუჯეტს და აქ ბავშვთა სპორტის განვითარებაც იგულისხმება. ეს აუცილებელიც არის. გახსოვთ ალბათ, ივლისში, მოსკოვში გამართულ ბავშვთა პირველ თამაშებში მსოფლიოს 131 ქვეყანა მონაწილეობდა. მათ შორის საერთო გუნდურ ჩათვლაში მე-6 ადგილი საქართველომ დაიკავა. საქართველოდან ჩასულ 83 მონაწილეთა შორის უმეტესობა თბილისელი გახლდათ, — დიახ, თბილისი სიჯანსაღის ქალაქად უნდა ვაქციოთ, ამას მხოლოდ სპორტთან მოსწავლე ახალგაზრდობის დამეგობრებით თუ მივაღწევთ. მოსკოვიდან თბილისში ჩამოსულები აეროპორტიდან პირდაპირ საქართველოს პრეზიდენტმა მიგვიღო. წარმოიდგინეთ, ბატონ ედუარდთან შეხვედრით გამოწვეული მოზარდების სიხარული. პრეზიდენტის სიტყვებმა კინოფილმი „ნერგები" გამახსენა. მოხუცი ხეჭეჭურის ნერგებს, სოფელ-სოფელ რომ დაეძებს. ნერგი კი 10 წლის შემდეგ მოისხამს ნაყოფს; ასეა, ბავშვთა სპორტშიც. თუ ყურადღება არ მოაკლდება და ვისაც შეუძლია მისთვის სახსრებს გაიღებს, მომავალში ეს მოზარდები ათმაგად აანაზღაურებენ ამაგს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ცნობილი კალათბურთელია — მაიკლ ჯორდანი. მან თავისი სპორტული მოღვაწეობით 10 მილიარდი დოლარი შეიტანა სახელმწიფო ხაზინაში. დიდ სპორტს დიდი დოვლათი მოაქვს და ამაზეც უნდა ვიფიქროთ. მოზარდთა სპორტის განვითარებისათვის გაღებული თანხა სრულიადაც არ არის დაკარგული.

— სკოლებში ფიზაღზრდის საქმე რომ ვერა დგას სათანადო დონეზე, ამაზე რას გვეტყვით?

— ვეთანხმებით, ყველაზე მძიმე მდგომარეობა სკოლაში გვაქვს. ფიზკულტურის მასწავლებლების 70 პროცენტი უკვე ასაკოვანია, ფიზკულტურის მასწავლებლებად ახალგაზრდა სპორტსმენები არ მოდიან, რამაც უკვე თავისი დაღი დაასვა სასკოლო სპორტს. საათები დაეთმო ჭადრაკს, სპორტის სხვა სახეობათა გაკვეთილებს, მაგრამ ამისათვის სპეციალისტებია აუცილებელი, გარდა ამისა, სასწრაფო შეკეთება-მოწესრიგებას მოითხოვს სკოლებში სპორტული დარბაზები, ცუდ დღეშია ინვენტარიც.

მასწავლებელთა კადრები ფიზკულტურის აკადემიამ უნდა მოგვცეს. ვთხოვეთ კიდეც მის ხელმძღვანელს მე-2, მე-3 კურსის სტუდენტი სპორტსმენები გამოეგზავნათ სკოლებში სამუშაოდ, მაგრამ ჯერჯერობით არ ჩანან.

ამ პრობლემის გადაჭრას ჩვენი ძალებითაც ვაპირებთ, გვსურს გავხსნათ სპორტული ლიცეუმი, რომელიც სკოლისათვის ფიზაღზრდის მასწავლებლებს მოამზადებს. დედაქალაქში პანსიონატის ტიპის სამხედრო ლიცეუმის დაარსებას ვფიქრობთ და ბავშვთა ფიზკულტურის დიაგნოსტიკური ცენტრის გახსნასაც. სამედიცინო გასინჯვა მშობელს 10-დან 20 ლარამდე უჯდება. ამის შესაძლებლობა ბევრს არ გააჩნია, შედეგიც სახეზეა — ზოგჯერ ექიმის მიერ შეუმოწმებელი ბავშვები არიან სპორტულ სექციებში გაერთიანებული. ამ საქმეში კელავაც თბილისის მერიისა და განათლების მთავარი სამმართველოს იმედი გვაქვს.

— ესე იგი, იმედი გაქვთ, ჩანაფიქრი შესრულდება...

— ვინც წვრთნის დროს თუ ოფიციალურ შეჯიბრებებზე, სპორტულ სექციებსა თუ კლუბებში ჩვენს მოზარდებს შეხვდება, არ შეიძლება მომავლის იმედი დაკარგოს. (დარწმუნებული ვარ, 2000 წელს ავსტრალიაში გამართულ ოლიმპიადაში საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციაში ბევრი იქნება თბილისის ბავშვთა სპორტულ ქურაში გამოწრთობილი ახალგაზრდა. ეს უკეთ მაშინ მოგვარდება თუ სათანადო ყურადღება მიექცევა მასობრივ სპორტს, საქართველოს პრეზიდენტის ცნობილი ბრძანებულების „ქვეყნის მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და განვითარების ღონისძიებათა შემუშავების შესახებ" შესრულებას.

ესაუბრა
ნათელა ფაილოძე.

რეგიონი

„ავანგარდის" ავანგარდში

დღეს, პირველ სექტემბერს, ისევ ახმაურდება ქუთაისის სპორტული ლიცეუმის დერეფნები და კაბინეტ-ლაბორატორიები. 700-მდე გოგონა და ვაჟი კელავ მიუჯდება მერხებს, მეცადინეობების დამთავრების შემდეგ კი ყმაწვილები სპორტულ ბაზებზე გადაინაცვლებენ. აქ ძიუდოს, ბერძნულ-რომაული ჭიდაობის, ფარიკაობის, კრივის ჩინებული დარბაზები და ჭადრაკის კაბინეტები ელოდება მათ.

მეგზურობას სპორტული ლიცეუმის დირექტორი **თამაზ ჭაბუკიანი** გვიწევს. სასწავლო კლას-კაბინეტების დათვალიერების შემდეგ სპორტულ ბაზებს მივაშურეთ. შენობის მეორე-მესამე სართულებზე განთავსებულია ძიუდოს და ჭიდაობის დარბაზები ორ ხალიჩით, ფარიკაობის სამი დარბაზი ექვსი ბილიკით, მოკრივეთა უზარმაზარი დარბაზი რინგითურთ. აღსანიშნავია, რომ სასწავლებელმა არაერთხელ უმასპინძლა როგორც რესპუბლიკურ შეჯიბრებებს, ასევე ნაკრები გუნდების სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებს, რადგან ყველა დარბაზი კეთილმოწყობილია, აქვს თავ-თავისი გასახდელები და სამხაპეები. აქვეა ორმოცადგილიანი სასტუმრო და სასადილო 200 კაცზე, მოჭადრაკეების განკარგულებაშია 3 კაბინეტი, ერთი მათგანი კომპიუტერითაც არის აღჭურვილი. ლიცეუმის სარდაფში საერთო ფიზიკური მომზადებისათვის 500 კვადრატულ მეტრ ფართზე ტრენაჟორებიანი სპორტული მანეჟია მოწყობილი, რომლის ხშირი სტუმრები არიან ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელები და „აიას" მორაგბეები. ლიცეუმის ეზოში ფაქიზად მოვლილი კალათბურთის, ხელბურთის, ფეხბურთისა და რაგბის მოედნებია.

— ჩვენი მოსწავლეები, როგორც წესი, სპორტულ სექციებში არიან ჩაბმული. მათთან ერთად ქალაქის სხვადასხვა სკოლიდან კიდევ 550-მდე ბავშვი მეცადინეობს სპორტის ხუთ სახეობაში, — გვიხსნის ბატონი თამაზი. — მათს დაოსტატებას 18 მაღალკვალიფიციური პედაგოგი ემსახურება, რომელთა შორის 5 საქართველოს დამსახურებული მწვრთნელია. ესენი არიან — კუკური შავგულიძე და თემურ ლორთქიფანიძე — კრივში, თამაზ ოყროშიძე — ფარიკაობაში, დაზმირ ონიანი — ძიუდოში, გია მენაბდე — ჭადრაკში.

ლიცეუმის გოგო-ბიჭებს ხშირად სტუმრობენ ცნობილი სპორტსმენები: დავით ხახალეიშვილი, თეიმურაზ აფხაზავა, აკაკი კიბორძალიძე, თენგიზ მესხაძე, აკაკი კაკაურიძე, გია გიორგაძე, ხვიჩა სუპატაშვილი. მათთან შეხვედრები და ვარჯიში კარგ სტიმულს აძლევს ყმაწვილებს.

— უეჭველია, მიღწევებიც გექნებათ?

— ჩვენი სასწავლებელი ჯერ ქალაქის მე-10-ე საშუალო სკოლა იყო, 1991 წელს ჩემი ინიციატივით იგი გახანგრძლივებული დღის რეჟიმის სპორტული პროფილის სკოლად გადაკეთდა, 1994 წლიდან კი — სპორტულ ლიცეუმად, რომელიც ამგვარი ტიპის ერთადერთი სასწავლებელია საქართველოში. მართალია ეს არცთუ დიდი ხნის წინათ იყო, წარმატებები უკვე საკმაო გვაქვს.

აქ დაოსტატდნენ მოჭადრაკეები სოფიკო ტყეშელაშვილი და ნათია აფხაიძე, ტანმოვარჯიშე სოფიკო მანაგაძე, ძალოსანი ვალერი სარაევა, ფეხბურთელი გია მეგრელაძე. ამჟამად ჩვენთან სწავლობენ ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ვიცეჩემპიონი ნანა ძაგნიძე, ევროპის პირველობის მესამე პრიზიორი ინგა ჭარხალაშვილი, საქართველოს ჩემპიონები კრივში გიგა ბოლქვაძე და გიორგი მამასახლისი. სხვაც ბევრი გვყავს ნიჭიერი, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ერთს კი უეჭველად აღვნიშნავ: წლეულს მოსკოვში გამართულ მსოფლიო ახალგაზრდობის თამაშებზე საქართველოს მოფარიკავეთა ნაკრები მთლიანად ჩვენი მოსწავლეებით იყო დაკომპლექტებული და 57 ქვეყანას შორის დაკავებული მეცხრე ადგილი ურიგო არ უნდა იყოს.

ისიც მინდა დავძინო, რომ ჩვენი ლიცეუმი, რომელსაც ოლიმპიური იდეალებისადმი ერთგულებისთვის 1995 წელს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სიგელი გადაეცა, ხოლო შარშან გიორგი ნიკოლაძის სახელი მიენიჭა, არ არის ჩვეულებრივი სპორტული სკოლა: აქ ფიზიკურ წრთობასთან ერთად უდიდესი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ინტელექტუალურ განვითარებას — ბევრი სპორტსმენი რესპუბლიკური საგნობრივი ტურის მონაწილეა. მაგალითად, მოჭიდავე თენგიზ ადეიშვილმა გაზაფხულზე ისტორიის ტურში გაიმარჯვა, მოჭადრაკემ, სოროსის სტიპენდიატმა ნათია გორგოძემ ქიმიის ტურში აჯობა ყველას.

გარდა იმისა, რომ სპორტული ლიცეუმი საქართველოში ოლიმპიური რეზერვების ერთ-ერთი ძლიერი კერა გახდება, იგი თავის ძირითად დანიშნულებასთან ერთად „ავანგარდის" დასახლებაში კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქციასაც შეასრულებს. ამის შესაძლებლობები და რეზერვები ნამდვილად გვაქვს. უყურადღებოდ არ დაგვრჩება დასახლებაში მცხოვრები არც ერთი ახალგაზრდა იმის მიუხედავად, არის თუ არა ჩვენი მოსწავლე.

— ამგვარი დანიშნულებისა და მიზნების სასწავლებელი ეულად, ალბათ, ვერაფერს გახდება. თუ გეხმარებიან?

— ცხადია, ქალაქის მერიისა და სპორტკომიტეტის დაუხმარებლად ვერაფერს მივაღწევთ. საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული იმერეთის მხარეში თემურ შაშიაშვილიც ყურადღებას არ გვაკლებს. ამ ცოტა ხნის წინათ, ბატონი ჯანო ბაგრატიონის რჩევით, ნორვეგიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ადვოკატი იენ ქრისტიან თუნე გვესტუმრა, ჩვენი ბაზები რომ დაათვალიერა, აღფრთოვანება ვერ დაფარა. საკუთარი სახსრებიდან გარკვეული მატერიალური დახმარებაც გაგვიწია, რომელიც ლიცეუმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას მოხმარდა. თანაც შეგვპირდა, რომ ევროპის ჩემპიონატის საქართველო-ნორვეგიის შესარჩევ მატჩზეც გვესტუმრება. უცხო კაცმა გამოგვიწოდა დახმარების ხელი, ქართველ ბიზნესმენთაგან კი დღემდე არავის გახსენებია სპორტული ლიცეუმი თავისი 1200-ზე მეტი აღსაზრდელით, რომელთა ერთი ნაწილი მალე ეროვნული ნაკრები გუნდების წევრი გახდება.



ვიმედოვნებ, რომ საქართველოში ეკონომიკური პრობლემების მოგვარებასთან ერთად ჩვენი წარმატებებიც იმრავლებს, რადგან მომავალი სპორტულ ლიცეუმს ეკუთვნის.

ესაუბრა
ვაჟა დანელია,
„სრ" სპეც. კორ.
ქუთაისი — თბილისი.

სურათებზე: თამაზ ჭაბუკიანი; ლიცეუმის შენობის ხედი.
ავტორის ფოტო.

ყოველი მხრიდან

უეფა რეფორმას აპირებს

სუპერლიგის შექმნის გეგმის განხორციელებისათვის ევროპის ფეხბურთის ასოციაციების კავშირის — უეფას ბრძოლა ახალ ეტაპში შევიდა. ევროპის ამ საფეხბურთო შტაბის პრეს-ატაშეს გვიდო ტონიონის თქმით, უეფა მზად არის უახლოეს ხანში ერთ ტურნირად გააერთიანოს უეფას თასისა და თასების თასის გათამაშება, ასევე სერიოზული ცვლილებები შეიტანოს ჩემპიონთა ლიგის ფორმატში, კერძოდ, გაზარდოს ძირითადი ტურნირის მონაწილე გუნდების რიცხვი 24-დან 32-მდე. ასეთი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობა აღნიშნეს ჟენევაში გამართულ თათბირზე, როდესაც უეფას ხელმძღვანელობა შეხვდა 8 წამყვანი საფეხბურთო სახელმწიფოს — იტალიის, ესპანეთის, ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, პორტუგალიის, ბელგიისა და ავსტრიის — ლიგების წარმომადგენლებს. „თათბირის არსი მოკლედ ასეთია: ლიგები უეფას აძლევენ ევროპის საკლუბო შეჯიბრებების რეფორმის მანდატს".

ევროპის კავშირმა საამისოდ უკვე შექმნა პროფესიული ფეხბურთის კომიტეტი, რომელსაც მეთაურობს იტალიელი ანტონიო მატარეზი, უეფას ვიცე-პრეზიდენტი. მან სუპერლიგის შექმნის პროექტს, რომელიც შეიმუშავა მილანში დაფუძნებულმა კომპანიამ **Media Partner**, მიუღებელი და ნაკლებად საყურადღებო უწოდა. უეფას აზრით, კლუბებს უფლება აქვთ, მოითხოვონ თავიანთი მოგება-შემოსავლების გადიდება ევროთასებში მონაწილეობისათვის, მაგრამ როგორ შეიძლება ამის მიღწევა, კავშირმა უნდა გადაწყვიტოს.

საფეხბურთო რეფორმაზე მსჯელობა, ალბათ, დიდხანს გაგრძელდება.

ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობა ძვირფასია

მართალია, თბილისის „დინამო" ესპანეთში დასანანი წაგების გამო გამოეთიშა ევროპის ჩემპიონთა ლიგის ტურნირს, მაგრამ ჩვენი მკითხველებისათვის მაინც საინტერესო იქნება, თუ რა თანხას (შვეიცარიულ ფრანკებში) ღებულობენ გუნდები ამ პრესტიჟულ ტურნირში მონაწილეობისათვის:

— საკვალიფიკაციო რაუნდში მონაწილეობისათვის — 200 000;
— საკვალიფიკაციო რაუნდში გამარჯვებისათვის — 80 000;
— ჯგუფურ ტურნირში გასვლისათვის — 2 000 000;
— ჯგუფური ტურნირის მატჩში გამარჯვებისათვის — 1000 000;
— ჯგუფური ტურნირის მატჩში ფრესათვის — 500 000;
— ნახევარფინალში გასვლისათვის — 3 000 000;
— ფინალში გასვლისათვის — 4 000 000.

ჭიდაობა

ტრადიცია არ დარღვეულა

1994 წელს გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში თბილისელმა ბაკურ გოგიტიძემ ვერცხლის მედალი მოიპოვა. მას შემდეგ 4 წელმა განვლო და ქართველ ფალავნებს ამ რანგის შეჯიბრებებზე არანაირი სინჯის მედალი აღარ მოუპოვებიათ. ეს უსიამო ტრადიცია არც კვირას შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმის მახლობლად დამთავრებულ 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე დარღვეულა, სადაც 7 ქართველი ფალავანი გამოდიოდა. ჩვენი მოჭიდავეები სამშობლოში კელავ ხელმოცარულნი ბრუნდებიან. მძიმეწონოსანმა მირიან გიორგაძემ V ადგილი დაიკავა...

სამაგიეროდ, ჩინებულად იჭიდავა 97 კილოგრამი წონითი კატეგორიის „თერგადალეულმა" (ყოფილმა ქუთაისელმა) ფალავანმა გოგი კოლუაშვილმა, რომელმაც მეოთხედ მოიპოვა ოქროს მედალი. როცა კოლუაშვილი გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე ავიდა, სპორტის სასახლეში რუსეთის ჰიმნი აჟღერდა...

მძიმე წონაში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა ციმბირელმა გოლიათმა ალექსანდრე კარელინმა, რომელსაც 11 წელიწადია არ წაუგია არც ერთი შეხვედრა. გასულ კვირას ევროპის 9-გზისა და ზედიზედ 3 ზაფხულის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულმა მერვედ დაისაკუთრა მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი.

შოთა ბოკერია.

ჩოგბურთი

გუშინ დაიწყო...

...ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატი, ანუ როგორც მას სხვანაირად უწოდებენ, ფლეშინგ მიდოუ მსოფლიოს უკლებლივ ყველა უძლიერესი ჩოგბურთელის მონაწილეობით. საპრიზო ფონდი უჩვეულოდ მაღალია — 14 მილიონი დოლარი. ამასთან, პირველი ჯილდო როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის 700 ათასია!

როგორც წესი, იუ. ს. ოუპენს უამრავი თანამგზავრი ტურნირი უსწრებს ხოლმე წინ. პირველ ნომრებად ახლა განთესეს პიტ სამპრასი (აშშ) და მარტინა ჰინგისი (შვეიცარია). „ახლა" ვამბობთ იმიტომ, რომ ამას წინათ, სამპრასს რეიტინგით სულ რამდენიმე დღით (!) გაასწრო ჩილელმა მარსელო რიოსმა და თანაც ეს წლეულს უკვე მეორედ მოხდა. ამასთან, რიოსმა წარუმატებლად ითამაშა რამდენიმე მეორეხარისხოვან ტურნირში და როგორც სწრაფად დაწინაურდა, ისევე სწრაფად მოუხდა კელავ „მეორე საფეხურზე" გადასვლა. ერთი სიტყვით, კელავ სამპრასი დაწინაურდა, თუმცა პირადად რიოსს არც შეხვედრია. ამ ორი ოსტატის გარდა, ფლეშინგ მიდოუში პირველი ადგილის პრეტენდენტად ითვლება ავსტრალიელი პატრიკ რაფტერიც.

ქალთა ლიდერი მარტინა ჰინგისი ამჯერად უწინდელი ბრწყინვალებით ველარ თამაშობს და მას ნაწილობრივ ჩრდილავს ოლიმპიური ჩემპიონი ლინდსეი დევენპორტი (აშშ), აშკარად აუმჯობესებს შედეგებს მონიკა სელეში (აშშ), ხოლო ლეგენდარული შტეფი გრაფი (გერმანია) ორგანიზატორებმა ახლა მერვე ნომრად განთესეს.

გივი თორელი.

ფეხბურთი

მოკლედ

დედაქალაქის კლუბების — „ლოკომოტივისა" და „ვიტ-ჯორჯიას" გუშინდელი მატჩით დასრულდა ფეხბურთელთა მეათე ეროვნული ჩემპიონატის მეოთხე ტური. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს რკინიგზელებმა. თამაში მცხეთაში მოეწყო.

აქვე გაუწყებთ კვირას გამართული შეხვედრების შედეგებს: „ტორპედო" — „ბათუმი" 3:3, „დინამო" — „სიონი" 8:1.

ოთხი ტურის შემდეგ 10 ქულით დაწინაურდა გორის „დილა".

მეხუთე ტური 8 და 9 სექტემბერს მოეწყობა.

„ფაზისი" — ახალგაზრდული გუნდი

ფეხბურთელთა წლევანდელი ეროვნული ჩემპიონატის მეორე ჯგუფში ფოთს ორი გუნდი ჰყავს — „კოლხეთი-2" და „ფაზისი" . ისინი დასავლეთის ზონის იმ ჯგუფში ასპარეზობენ, რომელიც სამეგრელოს, გურიისა და აჭარის ფეხბურთელებს აერთიანებს.

— მეცხრე ეროვნული ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გუნდი მთლიანად გადავახალისეთ. — გვითხრა „ფაზისის" უფროსმა მწვრთნელმა რომან ოდიკაძემ. — ვინც კი გვყავდა 25 წელს გადაცილებული, ყველა გავუშვით, ამგვარად, გუნდის საშუალო ასაკი 19 წელს არ აღემატება, უმთავრესად ფოთელები არიან, საფეხბურთო სკოლის აღზრდილები. ახალი სეზონისთვის მზადება დროულად დავიწყეთ. ერთთვიანი საწვრთნელი შეკრება გავიარეთ. გავმართეთ ამხანაგური შეხვედრები სამტრედიის „იბერიასთან" (2:2), ლანჩხუთის „გურიასთან" (2:3), ფოთის „კოლხეთის" ფარმკლუბთან (6:2) და თბილისის „არსენალთან" (0:5).

ფინანსურად ფოთის მერია გვეხმარება. კლუბის პრეზიდენტია პირველი ვიცემერი ჯემალ გურგენაძე. ქალაქის ხელმძღვანელობა ადგილობრივ სპორტკომიტეტთან ერთად დიდ დახმარებას გვიწევს: დროულად შეგვიძინეს ბურთები და სათამაშო ფორმები. გვაქვს საკუთარი სტადიონი, რომელიც, სამწუხაროდ, კეთილმოუწყობელია: შესაკეთებელია ტრიბუნები, დარბაზში უმუქობა გვაწუხებს, სავალალო მდგომარეობაშია გასახდელები და სამხაპეები, ცივ წყალსაც დანატრებულები ვართ.

სიძნელეების მიუხედავად, ვეცდებით, პირნათლად შევასრულოთ მთავარი მიზანი — ფოთის „კოლხეთს" პერსპექტიული ფეხბურთელები მოვუმზადოთ. ამ მხრივ არც აქამდე შეგვირცხვენია თავი — შარშან ქალაქის უპირველეს გუნდში ჩვენგან 9 ფეხბურთელი გადავიდა.

არც ეროვნულ ჩემპიონატში ვაპირებთ მაჩანჩალობას: ჯგუფში პირველი ადგილისთვის ვიბრძოლებთ. ამის თქმის საბაბს გვაძლევს მოსამზადებელი პერიოდისას გამართული ამხანაგური შეხვედრები და, რაც მთავარია, ახალი საფეხბურთო სეზონის ორი ოფიციალური მატჩი, რომლებშიც საქართველოს თასის გათამაშების სამოცდამეოთხედფინალში სამტრედიის გუნდს ვძლიეთ და მომდევნო ეტაპზე გავედით.

თამაზ ცინცაძე.
სურათზე: „ფაზისის" ფეხბურთელთა გუნდი.
ავტორის ფოტო.

კრივი

ოსკარ დე ლა ჰოია — „ოქროს ბიჭი"

წლების განმავლობაში მექსიკელი ხულიო სეზარ ჩავესი უძლეველ მოკრივედ ითვლებოდა. ვის აღარ შეხვდა იგი ნახევრადსაშუალო წონაში და ყოველთვის დამაჯერებლად იმარჯვებდა. 1966 წლამდე პოპულარობით მძიმეწონოსნებსაც კი აღემატებოდა, რაც კრივის სამყაროში უჩვეულო ამბად ითვლება.

მაგრამ, ნათქვამია, მჯობნის მჯობნი არ დაილევაო. და აი, გამოჩნდა ოსკარ დე ლა ჰოია, „ოქროს ბიჭად" წოდებული. ისიც წარმოშობით მექსიკელია, მაგრამ აშშ-ს სახელით გამოდის. დე ლა ჰოიამ დაამარცხა არა მარტო ყველა ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი მეტოქე, არამედ თვით მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი ჩავესიც. ეს შეხვედრა ნოკაუტით დამთავრდა. ამას მოჰყვა „ოქროს ბიჭის" გამარჯვება პერნილ უიტაკერთან, რომელსაც „ჯამბაზის" სახელი აქვს. „ჯამბაზი" იმით არის ცნობილი, რომ მსოფლიო ჩემპიონი იყო ოთხ სხვადასხვა წონაში, მეტოქეს თითქმის არ ურტყამს, მაგრამ აიძულებს უაზროდ იქნიონ ხელები. თუმცა უიტაკერი სულ 167 სმ სიმაღლისაა, მაგრამ ასე აპამპულებს მასზე გაცილებით უფრო მაღალ მოკრივეებსაც. აი, დე ლა ჰოიასთან კი მაინც წააგო. მას „ოქროს ბიჭმა" პუერტორიკელი უილფრედი რივერაც მიაყოლა და, ამრიგად, ამ მომენტში მსოფლიოს ერთადერთი ჩემპიონია, როდესაც პროფესიულ რინგზე არასოდეს წაუგია.

18 სექტემბერს ლას-ვეგაში დაინიშნა მატჩ-რევანში ოსკარ დე ლა ჰოიასა და მის მიერ ორი წლის წინათ დამარცხებულ „ყოფილ უძლეველ" ხულიო სეზარ ჩავესს შორის. ორივე მხარე ირწმუნება, რომ აუცილებლად გაიმარჯვებს.

ვნახოთ, ვინ-ვის...

სურათზე: ოსკარ დე ლა ჰოია და მოჰამედ ალი (მარჯვნივ) „ოქროს ბიჭისა" და უილფრედო რივერას ორთაბრძოლის დაწყებისადმი მიძღვნილ პრეზენტაციაზე.

ღიმილის დოზა



ლევან მართაშვილის ნახატი.

გვერდის რედაქტორი
ანზორ ბასილაია.

ლემელთა ყრილობა ქუთაისში

27 აგვისტოს ქუთაისში, მწერალთა სახლში გაიმართა სრულიად საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციის ლემის წევრთა პირველი ყრილობა. ყრილობას ესწრებოდა სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების მინისტრი თენგიზ გაზდელიანი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ყოლბაია, პურ-პროდუქტების კორპორაციის პრეზიდენტი ანზორ ბურჯანაძე, იმერეთის გუბერნატორი თეიმურაზ შაშიაშვილი, მოწვეული სტუმრები. ყრილობაზე გაშუქდა ლემის მიერ ექვსი წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის მნიშვნელოვანი დეტალები. აღინიშნა, რომ პარტიის პოლიტიკური კურსის მიზანია მშვიდობიანი და ცენტრალიზებული საქართველოს მშენებლობა.

შეკრებილებმა ისაუბრეს პარტიის საქმიანობაზე, აღინიშნა, რომ აფხაზეთის ომში, გუმისთასთან 27 ლემელი დაეცა. პარტია დიდ წინააღმდეგობას უწევდა სამოქალაქო ომს. ლემელებმა ამაყად აღნიშნეს, რომ პარტიას არ ჰყავს კრიმინალი წევრები, აგრეთვე, ის ერთ-ერთი უწმინდესი ორგანიზაციაა სახელმწიფო სახსრებთან მიმართებაში. ყრილობის ბოლოს აღინიშნა, რომ ლემი ყოველთვის იყო და იქნება სიწმინდეზე, ეროვნულობაზე და ხალხის ინტერესებზე დაყრდნობილი პოლიტიკური პარტია.

ბიუჯეტს „თაგვი“ შეეჩვია...

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა სისხლის სამართლის საქმე აღძრა მეწვეული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯი-ეუ-გი-სის“ გენერალური დირექტორის მ. ბაქანიძის მიმართ. საზოგადოების ხელმძღვანელობას სახელმწიფოს კუთვნილი თანხის მითვისებასა და გასაცემი ხელფასების საკუთარი საჭიროებისათვის დახარჯვაში ადანაშაულებენ. კერძოდ, როგორც ირკვევა, „ჯი-ეუ-გი-სიმ“ საავიაციო საწარმო გაერთიანებასთან და კულტურის სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელა ურთიერთჩათვლები, რის შედეგადაც მას შექმნა აქტივები საბაჟო დეპარტამენტისა და საგადასახადო ინსპექციის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციაში — შესაბამისად, 5,177 მილიონი და 300 ათასი ლარი. საბაჟო დეპარტამენტში მოზიდული სახსრებით მოხდა სხვადასხვა ფირმების სახელზე შემოსული ტვირთის განბაჟება 5 მილიონი ლარის ოდენობით. ფირმებიდან მიღებული თანხა კი, ნაცვლად იმისა რომ საავიაციო ქარხნის მუშათა ხელფასები გაეცათ, „ჯი-ეუ-გი-სის“ ხელმძღვანელობამ პირადი საჭიროებისათვის გამოიყენა.

გარდა ამისა, ამავე საზოგადოების ხელმძღვანელობის მიერ, მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის თანამშრომლების ხელშეწყობით, შედგენილი სხვადასხვა ორგანიზაციათა სახელით ბიუჯეტში თანხების ჩარიცხვის ფიქტიური დოკუმენტებით სახელმწიფოს 284 634 ლარი დააკლდა.

ამჟამად მ. ბაქანიძე დაპატიმრებულია და საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს.

ჯაყელს არ ექადრებოდა

ბინების უნებართვო პრივატიზაციისათვის ამხილეს ბათუმის მეხუთე სახლმმართველობის უფროსი 48 წლის რევაზ ჯაყელი, — აცნობეს პრაიმ-ნიუსს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახურში.

რევაზ ჯაყელმა 1997-1998 წლებში ბათუმში უნებართვოდ აშენებული რამდენიმე სახლის პრივატიზაცია მოახდინა.

პრეს-სამსახურის ინფორმაციით, ბათუმში 5 ათასი აშშ დოლარის გატაცებისათვის პოლიციელებმა 22 წლის მალხაზ ლალეიშვილი დააკავეს. მან ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მახოში, მაქრო წიწქალაძეს ხელჩანთა გაიტაცა.

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.

სხვა გაზეთიდან



სალაღობოდ-სათრევლად

სად არის და როგორ გრძნობს თავს ვახუშტი კოტეტიშვილი? ამ კითხვას დღეს ხშირად გაიგონებთ სალიტერატურო წრეებში. ალბათ, იმიტომაც, ამ ზაფხულს რამდენიმე მძიმე ოპერაცია რომ გადაიტანა და მეგობარ-ნათესავები გვარიანადაც შეაშინა.

ბატონი ვახუშტი ამჯერად თითქმის სრულიად გამოჯანმრთელებულია და თავსაც მშვენივრად გრძნობს. ის კი არა, თავის სალაღობო ციკლსაც წარმატებით აგრძელებს გაზეთ „გლდანი-2001“-ის ფურცლებზე, რომლის ერთ-ერთ ბოლო ნიმუშსაც ქვემოთ გთავაზობთ.

ჩვენს ფოლკლორისტულ სამმოს სულ თავიდან სამი კაცი შევადგენდით: ალექსი ჭინჭარაული (ენათმეცნიერი, ლიტერატორი, ფოლკლორისტი და თვითონაც მოარული ფოლკლორი), მხატვარი თენგიზ მირზაშვილი, რომელსაც „ჩუბჩიკას“ სახელით უფრო იცნობენ პარიზსა თუ დართლოში, მადაგასკარზე თუ ბერინგის სრუტეში, კეთილი იმედის კონცხზე თუ ვესტმინსტერის სააბატოში და მე, თქვენი მონა-მორჩილი.

მე და ალექსი ხასიათით ბევრ რამეში ვგავართ ერთმანეთს: ორივენი „ფაიზალი“ ხალხი ვართ, ვიცით პურ-მარილის ყამი და ყადრი, გვიყვარს სადღეგრძელოების თქმა და ა.შ.... ჩუბჩიკა — ნურას უკაცრავად. სუფრასთან ვერ დასვამთ, სადღეგრძელოს ვერ ათქმევინებთ, აიღებს ერთ ბოთლ ღვინოს, მივა ღუმელთან, გაათბობს (ყელს უფრთხილდება, ვითომ პავაროტი მყავდეს) და უხმოდ, უსიტყვოდ წრუპავს. ეს არის მისი „ქეიფი“.

ერთხელ ალექსიმ ჰკითხა: — მირზაშვილები საიდანა ხართო? — შინდისიდანო — უპასუხა ჩუბჩიკამ. — შინდისში თუ დაგრჩათ რამე, სახლი ან მამული? — არ ეშვებოდა ალექსი. — არაო, — უთხრა ჩუბჩიკამ, — აბა, რა უნდა გელაპარაკო, უშინდისო ყოფილხარო!

ჩუბჩიკას „ავი ზნე“ მხოლოდ ის კი არ არის, თვითონ რომ არ არის მოქეიფე, არამედ ის, რომ სხვასაც უშლის. ამის გამო დაიჩივლა ლექსო პაპამ:

საიდან გადამეყარა
ეს შინდისელი მაჩვია,
რაც ამას დავუმეგობრდი,
სმა-ჭამას გადამაჩვია!

ერთხელ ჩუბჩიკა ალექსის ჩააცივდა: — გეყოფა ღვინის სმა, ახლა კომპოტი დალიეო. გაბრაზებულმა ალექსიმ შეუღრინა:

კომპოტს ისა სვამს, ჩუბჩიკო,
ვინც დაბადებით ლენჩია,
ანდა ის, ვისაც ეძლევა
სიბერის მცირე „პენცია“,
შემირცხვენია ღვინოსთან
კომპოტის კომპეტენცია!

ჩუბჩიკას ჰყავს შესანიშნავი მეუღლე, ნიჭიერი არქიტექტორი და მხატვარი ქალბატონი მანანა თავაძე, რომელსაც ძველი ინერციით რუსული ფრაზები წამოსცდება ხოლმე. ალექსის ყურს (მიუხედავად სიყრუვისა), რასაკვირველია, ეს არ გამორჩენია და მომენტი ხელიდან არ გაუშვია:

ჩუბჩიკას მისცეს „ნაგრადა“,
ხელსაც ართმევენ მაგრადა,
მანანა იბადრებოდა:
„კლიანუს“: ია ტაკ რადა!“

ალექსის კოლეგამ და თანამშრომელმა ქალბატონმა მაია მაჭავარიანმა ვრცელი მოხსენება გააკეთა რთულ ლინგვისტურ პრობლემაზე. ალექსიმ იქაც გამოძებნა თავისი სახრავი:

ძალიან გრძელი გამოდგა
ეს აკუზატავ-დატივი,
მეცნიერებას შემვენის
ტერმინი მოკლე, მარტივი,
და, იქნებოდეს იქნება,
მაიამ დაგვდოს პატივი,
— მისგან მიკვლეულ ფენომენს
დაარქვას „დაკუზატივი“.

ალექსი ჭინჭარაულის უფროსი სიძე გახლავთ პოეტი ჯარჯი ფხოველი. ერთ სუფრაზე პოეტმა ვახტან გოგოლაშვილმა ლექსად მიმართა ალექსის და უმალვე ხმისჩამკმენდი პასუხიც მიიღო:

ვახტანგი:

თუ არ მეშლება, ალექსი,
შენ სიმამრი ხარ ჯარჯისა?

ალექსი:

შენ რა გრჯის პოეტობასა,
ანდა იმ ჯარჯის რა რჯისა?!

ჩვენი საერთო მეგობარი იყო დიდებული ქართველი მწერალი, სულგანათლებული რეზო ინანიშვილი, რომელთან ერთად მოვლილი გვქონდა საქართველოს მთა და ბარი. მე უფრო შეხუმრებული ვიყავი რეზოსთან (ის ჩემზე თითქმის ათი წლით უფროსი ბრძანდებოდა) და ცოტა „მწარე-მწარეებსაც“ ვუბედავდი ხოლმე და ისიც იმწამსვე მიბრუნებდა „ხურდას“. ალექსი კი უფრო დარბაისლურ ურთიერთობაში იყო ცხონებულთან და ეს რეზოსადმი მიძღვნილ კაფიებშიც აისახა:

რეზო ინანიშვილს

როგორც გინდა თქვი, თუ თქმაა,
და როგორც არ უნდა სთქვა,
— სხვათა რეზონანსი სხვაა,
რეზოს რეზონანსი — სხვა!

და კიდევ ერთი ასეთი:

პასუხი რეზო ინანიშვილის შეკითხვაზე: — როგორა ხარ, პაპავ?

არც ძალიან კარგადა ვარ,
არც მთლად ცუდად, ჩემო რევაზ,
მაინც ვებრძვი კაცთა გუნდში
არაკაცთა შემორევას.

ალექსი ჭინჭარაული, როგორც ჭეშმარიტ მელექსეს შეჰფერის, უაღრესად ობიექტურია და თავისიანისა და სხვისი გარჩევა არ იცის. თუ კაცი ლექსს იმსახურებს, მიიღებს კიდეც, თანაც ზუსტად ისეთს, როგორსაც იმსახურებს.

ფშავ-ხევსურეთის საგზაოს უფროსს ბესიკ ბაჩალის ძე გოგოჭურს:

ხევსურეთში ვინაც წახვალთ,
გადაეცით „ბაჩალიჩსა“;
— რო სჩალიჩობ, ბაჩალიჩო,
ვინ გიფასებს მა ჩალიჩსა?!

და ამ ლექსის ადრესატიც იგივეა:

პასუხი ბეწიკა (ბესიკ) გოგოჭურის კითხვაზე: „საისკე, წიქავ?“

შენ ბეწიკა ხარ,
მე — წიქა,
სადაც შენ წახვალ,
მეც — იქა!

იყო დრო, როდესაც ბიჭვინთის მწერალთა შემოქმედებით სახლში ქართველი მწერლები ისვენებდნენ და ნაყოფიერადაც მუშაობდნენ ხოლმე, მათ შორის, ბუნებრივია, ხევსური პოეტებიც, რომელთა რიცხვი არც თუ მცირეა, მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ ცნობილი პოეტის ცნობილ გამონათქვამს — „ყველა ხევსური, ვიცი, დანტეა“. ალექსიმ თავისი მოძმეებიც არ დაინდო (ამ ლექსის სათაური, როგორც ჩინელ პოეტებს სჩვევიათ, თვითონ ლექსზე ორჯერ გრძელია):

ხევსურ პოეტებს, რომელთაც მოუხშირეს ბიჭვინთაში დასვენებას

აღარ მიდის ბიჭი მთაში,
იჭინთება ბიჭვინთაში.

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1998 წლის 28 აგვისტო - 4 სექტემბერი.

Chevron
Chevron
Lubricants

GIOC
TRADING COMPANY

Chevron Products Company და
საქართველოს ნავთობის
საერთაშორისო კორპორაციის
სავაჭრო კომპანია

გილოცავთ
ახალი სასწავლო წლის
დაწყებას!

ყურადღება!

ვაქვეყნებთ იმ მოქალაქეების მონაცემებს, რომლებმაც იუსტიციის სამინისტროს მიმართეს განცხადებით საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის შესახებ:

1. **ნატალია პაველს ასული გრიგორიანი,** მცხ. უკრაინაში, ხარკოვის ოლქი, ვ-ბურლუკის რ-ნი, სოფ. პრიკოლოტნოე, ოლშანსკის ქ. 26;
2. **ვლადიმერ მიხეილის ძე გრიგორიანი,** მცხ. უკრაინაში, ხარკოვის ოლქი, ვ-ბურლუკის რ-ნი, სოფ. პრიკოლოტნოე, ოლშანსკის ქ. 26;
3. **ედუარდ ვლადიმერის ძე გრიგორიანი,** მცხ. უკრაინაში, ხარკოვის ოლქი, ვ. ბურლუკის რ-ნი, სოფ. პრიკოლოტნოე, ოლშანსკის ქ. 26.

მოქალაქეებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ორგანოებს, რომელთა მიმართ საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის მსურველ პირს აქვს შეუსრულებელი მოვალეობები, ან ქონებრივი ვალდებულებანი, ვთხოვთ, ერთი თვის ვადაში მიმართონ იუსტიციის სამინისტროს და წარმოადგინონ აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მისამართი: 380082, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 30. მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამმართველო.
ტელ.: 99-67-98, 99-03-44, 99-05-23.

საპირველსექტემბრო ღიმილის დოზა



— რატომ არ წერ თხზულებას „ჩემი მასწავლებელი“?
—სიტყვები არ მყოფნის.

— რა სახის დენი იცი?
— მუდმივი, ცვალებადი და... „ლევი“.

მხატვარი ვახტანგ კუცია.

გეპატიჟებით „ქართული სახლი“

გსურთ ისიამოვნოთ ევროპული კლასის სასტუმროსთვის დამახასიათებელი კომფორტით, ქართული სტუმართმოყვარეობითა და ხელმისაწვდომი ფასებით? — მობრძანდით სასტუმრო „ქართულ სახლში“... გვენდეთ, კმაყოფილი დარჩებით! ვახტანგ მეექვსის ქ. № 38 (მეტრო „ავლაბართან“), ტელ: 79-19-19; 79-19-21; 79-19-20 (ფაქსი).

სასტუმროს ადმინისტრაცია.

შვილები გივი, არჩილ გეგეშიძეები, ძმა პეტრე, და ნორა გოგოლაშვილები, რძლები ქეთო წილოსანი, თამარ ჯანაშია, დეა ლადუა, შვილიშვილები მიშიკო, ნიკუშა, ნიტა გეგეშიძეები, ძმისწულები თათული, მანანა გოგოლაშვილები, დისწული ანი სამნიაშვილი, მული თინა მეგრელიშვილი ოჯახებით, მძახლები თემურ ლადუა, მანანა ჯაფარიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რუსუდან არსენის ასული გოგოლაშვილი

პანაშვიდი 1, 2 IX, 6 საათზე, გამოსვენება 3 IX, 3 საათზე. ი. აბაშიძის 43 (ყოფ. ბარნოვის ქ. 141), II სადარბაზო, ბინა 22.

შვილები გია, ქეთინო აბულაძეები, და ნული ბახვილაძე, შვილიშვილები თორნიკე, ნინო აბულაძეები, თამარ გორგასანიძე, რძალი ნანა ჯანელიძე, სიძე გოგა გორგასანიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მზია მახვილაძე

პანაშვიდი 1, 2 IX, 6 სთ. გასვენება 3 IX 4 სთ. გმირთა მოედანი, 11 სართულიანი სახლის V სადარბაზო, V სართული.

მეუღლე ლეილა ბახტაძე, შვილები ალიკო, მერაბ კახიანები, რძლები მანანა ბოჭორიშვილი, მაია ზარანდია, შვილიშვილები მაიკო, რეზიკო, აკაკი, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რევაზ გიორგის ძე კახიანი

პანაშვიდები 1, 2 IX, 5 სთ. გამოსვენება 3 IX, 3 სთ. ძმები ზუბალაშვილების (ყოფ. ათარბეგოვის) 33, II სადარბაზო, IV სართული.

დიდუბის რაიონის განათლების განყოფილება, მეთოდური უზრუნველყოფის ცენტრი, ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლები და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები ღრმა მწუხარებით იუწყებიან სადამოს მე-4 საშუალო სკოლის დირექტორის დიტო შალამბერიძის შვილის

ირაკლის

ტრაგიკულ დაღუპვას და საძმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



მეუღლე ფლორა ნიკურაძე, შვილები ქეთი, ბაია რუხაძეები, რძლები ნათელა ლოლაშვილი, ნანი ტრაპაიძე, ძმისწულები გია, ნათია, დეიდა პაშა, დეიდაშვილები ცისანა, ვაჟა სულაბერიძეები, ეთერ ღლონტი ოჯახებით, მამიდაშვილები ზაური, ბუჭუ, ლიანა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნოდარ გრიგოლის ძე რუხაძე

პანაშვიდი 1, 2 IX, 6 სთ. გამოსვენება 3 IX, 3 სთ. ბაგრატიონის 51. (მეტრო წერეთელთან).

შვილები ომარი, ვაჟა, შვილიშვილები ნინო, კახა, ეკა, ლიკა, რძლები ნანა, ლალი მანჯგალაძეები, ნელი კრავეიშვილი, დები ქეთევან, ზინა, მარიკა, ძმა სერგო მანჯგალაძეები, დისწულები ზაური, იზა, ბიჭი ცაგარეიშვილები, მიშა პოლშინი, მანანა, მადონა კეშელავები, ძმისწულები შოთა, დავით მანჯგალაძეები, ბიძაშვილი მარო მანჯგალაძე, მძახლები თამაზ, დოდო თავბერიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვლადიმერ პავლეს ძე მანჯგალაძე

პანაშვიდი 1, 2 IX 5 სთ, გამოსვენება 3 IX, 3 სთ. დიღმის მასივი, მე-5 კვარტალი, მე-11 კორპ. I სადარბაზო.

ვასიკო, ზაირა ფოცხვერიები, კორნელი, ლამარა დარსაველიძეები, სულიკო, ქუქუნა არველაძეები, ოთარ, მედიკო გიორგიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვლადიმერ პავლეს ძე მანჯგალაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

სს „ცენტრალური სადაზღვევო კომპანიის“ კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს კომპანიის გენერალურ დირექტორს ნიკოლოზ დვალაძეს ძმის

გიორგი (ჟორა) ალექსანდრეს-ძე დვალაძის

გარდაცვალების გამო.

ხსოვნა

ლევან მეგრელიშვილი

გარდაიცვალა ცნობილი სატრანსპორტო მშენებელი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, საპატიო რკინიგზელი, საპატიო სატრანსპორტო მშენებელი, მრავალი ორდენისა და მედლის კავალერი, სსრკ მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი, სატრანსპორტო მშენებლობის სააქციო საზოგადოება „ტრანსმშენის“ გენერალური დირექტორი ლევან მეგრელიშვილი.

დაიბადა 1930 წელს, წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა და თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინრო ინსტიტუტი ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით. შრომითი საქმიანობა დაიწყო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე და განვლო გზა მშენებლობის ოსტატიდან ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილის თანამდებობამდე ჯენერლის წოდებით. ბოლო 12 წლის განმავლობაში მუშაობდა ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის სპეციალიზებული ტრესტის მმართველის თანამდებობაზე, ხოლო მისი სააქციო საზოგადოებად „ტრანსმშენად“ გარდაქმნის შემდეგ გენერალურ დირექტორად.

ძალზე დიდია ლევან მეგრელიშვილის დამსახურება ამიერკავკასიის რკინიგზის რეკონსტრუქციასა და განვითარების საქმეში. მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით აშენდა ისეთი სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტები როგორიცაა რკინიგზის მეორე ლიანდაგები, თბილისის რკინიგზის სამგზავრო ვაგზალი, მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზი და სხვა მრავალი საზოგადოებრივი სოციალურ-კულტურული-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები.

საქართველოში მომხდარი სტიქიური უბედურებით დაზარალებულთათვის ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო მშენებლობა და ასეულობით მათგანი უზრუნველყო საცხოვრებელი სახლებით.

ბატონი ლევანი, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტი აფხაზი სეპარატისტების მიერ გაჩაღებული ომის პირობებში პირადად ხელმძღვანელობდა სოხუმისა და სოხუმის რაიონში აღდგენით სამუშაოებს. მუდმივი დაბომბვის პირობებში აღდგენილი იქნა მრავალი საცხოვრებელი სახლი (ზოგიერთი რამდენიმეჯერ), სკოლა და სხვა მნიშვნელოვანი დანიშნულების შენობანაგებობანი.

ქვეყნის ერთგული მოქალაქე, გამორჩეული ორგანიზატორი, ბურჯი თავისი ოჯახისა, მზრუნველი მეუღლე, მამა და ბაბუა, მეგობრებისა და კოლეგების დიდი იმედი, გულუხვი და ხელგაშლილი, მოხდენილი რაინდი და ჩინებული მომლხენი. ასეთი იყო ჩვენი ლევანი.

დიდია იმ ადამიანთა მწუხარება, ვინც ახლოს იცნობდა ლევან მეგრელიშვილს, ვისთანაც ერთად მუშაობდა, ცხოვრობდა და საქმიანობდა.

ლევან მეგრელიშვილის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი ახლობლების, მეგობრებისა და თანამშრომლების გულში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

სატრანსპორტო მშენებლობის
სააქციო საზოგადოება „ტრანსმშენი“;
პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტი.

ალბერტ ბდეიანი

გარდაიცვალა ალბერტ ბურბენის ძე ბდეიანი, სულითა და გულით ნამდვილი თბილისელი, მაღალი კლასის სპეციალისტი კარგი მეუღლე, მამა, ბაბუა. გულისხმიერი მეგობარი. სადაც კი უმუშავია ალბერტ ბდეიანს, ყველგან სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით და სიყვარულით.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობდა საქართველოს მშენებლობისა და კვების სამინისტროების სისტემებში, სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

1977 წლიდან ალბერტ ბდეიანი მუშაობას იწყებს საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე (დღევანდელი საგამოფენო ცენტრი „ექსპოჯორჯიაში“) დირექტორის მოადგილედ.

მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ჩატარდა არაერთი გამოფენა. მოეწყო მუზეუმები, სხვადასხვა სახის თემატური გამოფენა-ექსპოზიციები.

ალბერტ ბდეიანის მუშაობა დაფასდა მთავრობის ჯილდოებით.

ალბერტ ბდეიანის ნათელი სახე მუდამ დარჩება როგორც საგამოფენო ცენტრ „ექსპოჯორჯიის“ კოლექტივში, ასევე მისი კოლეგებისა და მეგობრების ხსოვნაში.

საგამოფენო ცენტრი „ექსპოჯორჯია“.

საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის ყოფილი მოადგილე, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, საპატიო რკინიგზელი, სააქციო საზოგადოება „ტრანსმშენის“ გენერალური დირექტორი

ლევან მეგრელიშვილი

და გულწრფელად თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ჯუმბერ კახიძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მეგობარი, შესანიშნავი პიროვნება, ნაღდი თბილისელი

ლევან მეგრელიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ლევან მიქელაძე ოჯახით თანაუგრძნობს ლეილა, თემურ, მაია მეგრელიშვილებს

ლევან ივანეს ძე მეგრელიშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო იუწყება, რომ გარდაიცვალა სატრანსპორტო მშენებლობის სააქციო საზოგადოება „ტრანსმშენის“ გენერალური დირექტორი

ლევან მეგრელიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 1, 2 IX, 6 სთ. დაკრძალვა 3 IX, 3 სთ. ატენის ქ. 6/8.

საგამოფენო ცენტრი „ექსპოჯორჯია“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გენერალური დირექტორის მოადგილე

ალბერტ ბურბენის ძე ბდეიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

გამოსვენება 1 IX, 3 სთ. აწყურის ქუჩა № 3, მე-3 სადარბაზო.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა-98“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ბონდო მძინარაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“, რკინიგზის ჩიხი 20.